

ლატვია საქართველოს დახმარებას ჰპირდება A2



საკრებულოს წევრების შენახვის ხარჯები იზრდება A3



ნიკა გილაური პარლამენტარებს დახმარებას სთხოვს A7


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 28 მაისი, 2005 წელი. №118 (978)

ფასი 50 თეთრი

# არასამთავრობოების შენიშვნები

## უსაფრთხოების კონცეფციის პროექტისადმი

ვერიკო თევზაძე

*ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტის საპარლამენტო კომიტეტებში განხილვის პარალელურად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები საკანონმდებლო ორგანოში წარდგენილი დოკუმენტის შესახებ თავიანთ დამოკიდებულებას და შენიშვნებს გამოთქვამენ. სამხედრო-სამოქალაქო ფორუმმა, რომელიც თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებს განიხილავს, თავის ბოლოდროინდელ შეკრებაზე უსაფრთხოების კონცეფციის პროექტზე იმსჯელა. "24 საათი" ესაუბრა ფორუმის მონაწილეებს.*

სამხედრო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციამ "სამართალი და თავისუფლება" ხელისუფლებას კანონპროექტის ალტერნატიული ვარიანტიც კი შესთავაზა. **"ჩვენი უპირველესი შენიშვნა ის გახლავთ, რომ უსაფრთხოების კონცეფცია ზოგადი დოკუმენტი უნდა იყოს, ის დეტალებს არ უნდა ულრმავდებოდეს. პროექტის გაცნობისას შთაბეჭდილება დამრჩა, რომ პრეზიდენტის ანგარიშს ვისმენდი. აქ რამდენჯერმე არის ნახსენები "ვარდების რევოლუცია" და საუბარია იმაზე, თუ რას მიაღწია საქართველომ რევოლუციის შემდგომ პერიოდში. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის პრეზიდენტის მიერ საკუთარი თავის შექება. გამოდის, რომ საქართველო უსაფრთხო გარემოში იმყოფება,"** - აცხადებს ასოციაციის წარმომადგენელი, ყოფილი სამხედრო ომბუდსმენი ირაკლი სესიაშვილი. მისივე შეფასებით, პროექტში ყურადღება ნაკლებად არის გამახვილებული დემოკრატიულ ღირებულებებზე, ადამიანის ძირითადი უფლებების და თავისუფლებების დაცვაზე.

**"ენერგეტიკაზე ზოგადი კუთხით არის საუბარი. პროექტში საერთოდ ვერ ვნახე ხელისუფლების დამოკიდებულება ე. წ. ენერგოგამტარებლებისადმი. მაგალითად, გაზსადენთან მიმართებაში სახელმწიფომ ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს თავისი პოზიცია, რომ ეს არის არა უბრალოდ გაზსადენი, არამედ უსაფრთხოების და ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტი."** ირაკლი სესიაშვილი იმასაც შენიშნავს, რომ სოციალურ საკითხებზე საუბრისას ხელისუფლება ეთნორელიგიურ კონფლიქტებს არ ახსენებს. **"გასაგებია, რომ მსგავსი ტერმინების ხსენებას ვერიდებით, მაგრამ რეალობას არ უნდა მოვწყდეთ,"** - დასძენს სესიაშვილი. მისი აზრით, არალეგალურ მიგრაციაზეც ჯეროვანი ყურადღება უნდა გამახვილდეს.

კონცეფციის პროექტის გაცნობის შემდეგ, ექსპერტი დავით დარჩიაშვილი ამგვარ განმარტებებს იძლევა: **"საფრთხე - ეს არის მტრული განზრახვა საქართველოს მიმართ, ქვეყნის შიგნით ან ქვეყნის გარეთ მოქმედი ძალების მიერ. რისკი - ეს არის ობიექტურად არსებული პროცესები, რომელიც,**

გაგრძელება A3 გვერდზე

# შეთანხმება მიღწეულია

## თეატრის ხელმძღვანელობა შეიცვლება

ვერა ნეფარიძე

*თუკი მარჯანიშვილის თეატრში წლობით დაგროვილ უკმაყოფილებას ახალი ხელმძღვანელობის მისვლა უშველის, გამოდის, რომ თეატრის თანამშრომლებს პრობლემების გადალახვამდე სამი თვე აშორებთ. სწორედ ამგვარ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში გაიოზ კანდელაკი და გიორგი გაბაშვილი.*

"თუ თეატრმა თავად არ გამოთქვა საქმის კეთების სურვილი, ძალიან გართულდება ამ ხელმძღვანელობასთან მუშაობა. ორი წელიწადია, მარჯანიშვილის თეატრში რემონტის გარდა არაფერი ხდება, არ იქმნება პროდუქტი", - გიორგი გაბაშვილის ამ სიტყვებით ირკვევა, რომ თეატრის ხელმძღვანელობისადმი პრეტენზიები არა მარტო მსახიობებს, არამედ იმ უწყებასაც ჰქონია, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

გაგრძელება B1 გვერდზე



სექტემბერში გადაწყდება თუ ვინ იქნება მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი.

# ორი პრემია ფოტოაპარატით გადაღებული ფილმისთვის

## ლევან კოღუაშვილის მეორე წარმატება ამერიკაში

ნინო ხონელი

ლევან კოღუაშვილი. მისი სახელი ზოგს "იბერვიზიიდან" ახსოვს, ზოგს - ტელეკომპანია "მზიდან", ზოგს მისი ფილმები აქვს ნანახი და ზოგი მას, უბრალოდ, იცნობს. ლევან კოღუაშვილმა ორწლიანი უმაღლესი სარეჟისორო კურსები დაამთავრა "ვგიკ"-ში, სადაც მისი ხელმძღვანელი მარლენ ხუციევი იყო. დღეს ის ნიუ იორკის უნივერსიტეტში კინორეჟისურის სწავლას განაგრძობს.

ნიუ იორკის უნივერსიტეტი ამერიკის ერთ-ერთი მთავარი კინოსკოლაა და ის ვუდი ალენმა, ოლივერ სთოუნმა, ჯიმ ჯარმუშმა, სპაიკ ლიმ და მრავალმა ცნობილმა რეჟისორმა დაამთავრა. უკვე სამოცი წელიწადია, ნიუ იორკის კინოსკოლა ყოველწლიურად სადიპლომო და საკურსო ნაშრომების ფესტივალს ატარებს. წლევანდელ ფესტივალში 55 ფილმი მონაწილეობდა. ლევან კოღუაშვილმა მეორე ადგილი მოიპოვა.

გაგრძელება B1 გვერდზე



კირილ მიხანოვსკი და ლევან კოღუაშვილი.

ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.** A7

## ამინდი

| | 28/05 | 29/05 | 30/05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 30 | 30 | 32 |
| ქუთაისი | 29 | 30 | 30 |
| ბათუმი | 28 | 26 | 27 |
| სოხუმი | 28 | 28 | 28 |
| ფოთი | 30 | 29 | 30 |
| თელავი | 29 | 29 | 31 |
| ზუგდიდი | 31 | 31 | 30 |
| გორი | 23 | 23 | 24 |
| ახმეტა | 29 | 29 | 31 |
| ჭიათურა | 25 | 26 | 27 |
| გაგრა | 26 | 27 | 28 |
| სამტრედია | 30 | 30 | 30 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.2945 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3388 |
| რუბლი | 0.0652 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | გულახდილად | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | ტენდერი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | ტენდერი | B6 |
| სამართალი | A7 | ტენდერი | B7 |
| თვალსაზრისი | A8 | სხვადასხვა | B8 |


# თავისუფლების ინსტიტუტი მაია ნიკოლეიშვილის ბრალდებებს ბრალდებებითვე პასუხობს

*დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას და იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს ავადმყოფი პატიმრების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაში ადანაშაულებს.*

მაია ნიკოლეიშვილის განცხადებით, 25 თებერვალს ერთ-ერთ ეჭვმიტანილს, 27 წლის ფირუზ ჯაჭვლიანს სახელმწიფო ექსპერტიზის ცენტრში სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა. სახელმწიფო ექსპერტთა მიერ გაკეთებული დასკვნის თანახმად, ჯაჭვლიანი მძიმე ავადმყოფთა კატეგორიას არ განეკუთვნებოდა. 15 აპრილს კი იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსმა რამაზ ღულაძემ დაკავებულის ადვოკატს მისი დაცვის ქვეშ მყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვნად დამძიმების შესახებ აცნობა.

მაია ნიკოლეიშვილის თქმით, მის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნით, ჯაჭვლიანს CB-ჰეპატიტი დაუდგინდა და თუ დაკავებულის ინფექციურ საავადმყოფოში გადაყვანა არ მოხდებოდა, მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დადგებოდა.

მისივე თქმით, ფირუზ ჯაჭვლიანი, რომელიც საავმდყოფოში მოგვიანებით გადაიყვანეს და რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისადმი გამოჩენილი უგულისყურობის გამო, კიდევ უფრო დამძიმდა, საავადმყოფოში გადაყვანიდან ორ კვირაში, 13 მაისს დაიღუპა.

გაგრძელება A7 გვერდზე

# დემოკრატიის გაზაფხული ახლო აღმოსავლეთში

*საად ედინ იბრაჰიმი, დემოკრატიის და მშვიდობის აქტიური ეგვიპტელი ქომაგი, კაიროში ამერიკის უნივერსიტეტის პროფესორი და იბ კალდანის ცენტრის უფროსი, ამჟამად მემუარებს წერს ციხეში გატარებული წლების შესახებ.*

ახლო აღმოსავლეთში ჩატარებული არჩევნების შედეგებმა ახალი ტენდენცია გამოავლინა: ისლამურ კანონზე დაფუძნებული ისლამისტური პოლიტიკური პარტიები საკმაოდ პოპულარულები არიან. შესაბამისად, იქ, სადაც არჩევნები ტარდება, წარმატებას ისლამისტები აღწევენ: ჰამასი - მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში მცხოვრებ პალესტინელებში; მორწმუნე შიიტების კოალიცია - ერაყში; სამართლიანობისა და განვითარების პარტია - თურქეთში.

ლიბანში, ეგვიპტესა და რეგიონის სხვა ნებისმიერ ადგილზე დემოკრატიული მოძრაობები აწყდებიან გამოწვევას, რომელიც ისლამისტური პარტიების დემოკრატიულ სისტემასთან ადაპტირებას უკავშირდება. მაგრამ, შეიძლება კი ისლამისტების ნდობა? სცემენ კი ისინი პატივს უმცირესობასა და ქალებს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ? დატოვებენ კი ძალაუფლებას, არჩევნების წაგების შემთხვევაში? შეურიგდებიან იმ ადამიანებს, რომლებიც მათ პოლიტიკურ იდეებს არ დაეთანხმებიან? ან დაეფუძნება ასეთი არჩევნები პრინციპს: "ერთი ადამიანი, ერთი ხმა, ერთხელ"?

როგორც სოციოლოგი, 30 წლის განმავლობაში ვსწავლობდი ამ საკითხებს. ეგვიპტის საპატიმროში ყოფნისას მათ სხვა პატიმრებთან ერთად განვიხილავდი. ამ პატიმრების უმრავლესობა ეგვიპტის ისლამისტური მოძრაობის მხარდამჭერი იყო. ჩემი დასკვნა? - ისლამისტური პარტიების ბუნება იცვლება.

გაგრძელება A5 გვერდზე

თვალსაზრისი

# ეთნოკონფლიქტების დარეგულირების მარტივი გზა არ არსებობს

გურამ მაღლაკელიძე

თორმეტი წელია, მეტ-ნაკლები ინტენსივობით ვსუბრობთ იმის შესახებ, რომ ქართულმა საზოგადოებამ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით კონსენსუსს უნდა მიაღწიოს და ერთიანი მიდგომა ჩამოაყალიბოს. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკური სპექტრი დღემდე ორ ძირითად ნაწილადაა დაყოფილი. ერთი ნაწილი კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტის სამხედრო გზა არ არსებობს, საქართველო აფხაზებისათვის ეკონომიკურად რუსეთზე მიმზიდველი უნდა გახდეს და გამოსავალს საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის კონცეფციების შემუშავებაში ხედავს. მეორე ნაწილი, იმავე კატეგორიულობით მიიჩნევს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებები შედეგს ვერ მოიტანს, ამიტომ, უპირატესობას ძალისმიერ მეთოდებს ანიჭებს. მხარეთა კატეგორიულობა გასაგები იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება - არც ერთ და არც მეორე მხარეს არა აქვს დასაბუთებული პასუხი რამდენიმე მარტივ კითხვაზე:

- თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აფხაზური მოსახლეობისათვის ცხოვრების დონის კრიტერიუმის განსაზღვრისას, მაგალითს მოსკოვი და სოჭი წარმოადგენს და არა ვოლგისპირეთი, რამდენი წელი დაგვჭირდება იმისათვის, რომ ჩვენი აფხაზი თანამოქალაქეებისათვის საქართველო ეკონომიკურად რუსეთზე მიმზიდველი გახდეს? რას ვაკეთებთ, თუ მოლაპარაკებამ 3-5-10 წლის შემდეგაც არ მოიტანა დადებითი შედეგი?

- არსებული საერთაშორისო ვითარების შენარჩუნების შემთხვევაში, რამდენი წელი და რა მატერიალური რესურსები დაგვჭირდება ისეთი არმიის შესაქმნელად, რომელიც ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარების შემთხვევაში გარანტირებულ დადებით შედეგს მიაღწევს? რამდენი წლის შემდეგ შეიცვლება გეოპოლიტიკური ვითარება ისე, რომ რუსეთი იძულებული გახდეს, საქართველოს საშინაო საქმეებში აღარ ან ველარ ჩაერიოს?

ვფიქრობ, მკითხველი დამეთანხმება, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხში საერთო ეროვნული თანხმობის მისაღწევად აუცილებელია ვაღიაროთ:

1. თუ ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობის რეალური პერსპექტივა არ გამოჩნდა და ახალი სამუშაო ადგილები არ შეიქმნა, "ეკონომიკური მიმზიდველობა" და აფხაზეთი კი არა, სხვა პრობლემებიც "უკან დაგვრჩება";

2. ჩვენ აფხაზურ მხარეს, არა მხოლოდ დასავლურ ღირებულებებზე დაფუძნებული - საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის ევროპული სტანდარტების შესაბამისი კონცეფცია უნდა შევთავაზოთ, არამედ დავარწმუნოთ ისინი იმაში, რომ ქართველებს გულწრფელად გვაქვს გაცნობიერებული ერთი მარტივი ჭეშმარიტება - მონანიების, ურთიერთმიტევების და დიდი შერიგების, აფხაზეთზე და აფხაზებზე ზრუნვის გარეშე საქართველო წარმატებული სახელმწიფო ვერ გახდება;

3. არმიის მშენებლობა და სიძლიერე, ერთ-ერთი ძირითადი პირობაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის, ხოლო ქვეყნის მილიტარიზაციაზე გაუთავებელი საუბარი, არა მარტო არ შეესაბამება სინამდვილეს, არამედ საზიანოცაა. როგორც ჩანს, ოპონენტებს დაავიწყდათ, რომ საქართველო "არასტაბილურობის სარტყელში" მდებარეობს და არა ცენტრალურ ევროპაში. ისე, თუ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოსაც გადახედავენ, არც ეს იქნება ურიგო;

4. თუ გეოპოლიტიკური ვითარების მიმდინარე ცვალებადობამ შეუქცევადი ხასიათი არ მიიღო, აფხაზურ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან საერთო ენის გამონახვის შემთხვევაშიც, ქვეყნის გაერთიანება უაღრესად რთული ამოცანა იქნება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი აზრის, მასმედიის და ქვეყნის ხელმძღვანელობის კონცენტრირებამ ზემოთ აღნიშნულ ალტერნატივაზე, მთავრობის ყურადღების მიღმა დატოვა კონფლიქტის დარეგულირებისათვის აუცილებელი კიდევ ორი-სამი ძირითადი მიმართულება, რომელთა რეალიზაციის გარეშე არა მარტო რთული, არამედ ჩემი აზრით, შეუძლებელი იქნება საბოლოო მიზნის მიღწევა. გასული წლის 22 სექტემბერს "24 საათში" გამოქვეყნებულ წერილში აღვნიშნავდი: "გაუგებარია, რატომ ვერ ხერხდება ისეთი მნიშვნელოვანი მექანიზმის ამუშავება, როგორიცაა ინფორმაციული ზემოქმედება. ვფიქრობ, ამ მიზნით "ფსიქოლოგიური პროპაგანდის" საშუალებების უგულებელყოფა ჩვენს შესაბამის სამსახურებში დასაქმებული კადრების არასაკმარის კვალიფიკაციაზე მიუთითებს." იმას, რომ ამ მხრივ ვითარება პრაქტიკულად არ შეცვლილა, სეპარატისტული აფხაზეთის სამთავრობო ინფორმაციისა და მასობრივ კომუნიკაციათა საშუალებების სამმართველოს უფროსის კრისტიან ბჟანიას "Аргументы и факты"-სთვის მიცემული ინტერვიუც ადასტურებს. კორესპონდენტის კითხვაზე - როგორი დამოკიდებულება გაქვთ თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკასთან, ის პასუხობს: "...Мы ее не получаем, очень ограничен доступ к Грузинской прессе и в Интернете". ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა არა მარტო კარგად იცის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფასი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის საქმეში, არამედ შესანიშნავად ფლობს PR-ის დაგეგმარებისა და რეალიზაციის თანამედროვე მეთოდებს.

რომ არა საქართველოს პრეზიდენტის 25 მაისის განცხადება "შეშინებული ბიუროკრატიის" შესახებ, თავს შევიკავებდი საჯარო მიმართვისგან, მაგრამ "შეშინებული ბიუროკრატია" პირველ რიგში მოუმზადებელ, არაკვალიფიციურ კადრებს ნიშნავს, ამიტომ, ამჯერად მაინც რომ მიაღწიოს პრეზიდენტამდე ჩემმა წერილმა (26 აპრილი N5232), საზოგადოებას მინდა მისი შინაარსი მოკლედ გავაცნო.

კავკასიაში მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის ინიციატივით და რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე II-ის უშუალო მითითებით, XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, აფხაზეთიდან ოსმალეთის იმპერიაში ძალადობრივად გაასახლეს ათი-ათასობით აფხაზი. არ შეიძლება სისხლი არ გაგეყინოს და თვალზე ცრემლი არ მოგადგეს, როცა იმ ისტორიულ წყაროებს ეცნობი, რომელშიაც აღწერილია რუსი მოხელეების ბარბაროსული ქმედებები და ის ტანჯვა, რომელიც ამ ხალხს დაატყდა თავს. ქართული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და მრავალი სხვა, აქტიურად იბრძოდნენ აფხაზთა ინტერესების დასაცავად, მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა. აღსანიშნავია ის უანგარო დახმარება, რასაც აჭარის მოსახლეობა უწევდა უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილ აფხაზებს (მუჰაჯირების შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ აჭარაში).

ახლა, როცა აფხაზეთში, ამ მოვლენებში რუსეთის როლის "გადაფასება" მიმდინარეობს და ასპარეზზე ის თაობა გამოდის, რომელსაც არ ახსოვს და არაფერი იცის ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების შესახებ და ჩვენს მიმართ შეურიგებლობის და ზიზღის ატმოსფეროშია გაზრდილი, ჩვენი ვალია, თვალი ავუხილოთ მათ და აფხაზ ტელემაყურებელს მუჰაჯირობის პერიოდის ამსახველი დოკუმენტურ-პუბლიცისტური სატელევიზიო ფილმი შევთავაზოთ, რომელიც აფხაზებისა და რუსების ორასწლიანი "ურღვევი ძმობის ჰიმნი" იქნება. ისტორიას უყვარს პარალელები. რუსმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ აფხაზები სამშობლოდან გაასახლა, ქართველი მიხეილ ნიკოლოზის ძე კი მათ ევროპულ ოჯახში გაწევრიანებას სთავაზობს. ესაა და ეს, ღმერთმა დამიფაროს, პრეზიდენტი პირადი პრობლემების გამო შევაწუხო.

ეთნოკონფლიქტების დარეგულირების მარტივი გზა არ არსებობს. აუცილებელია გვახსოვდეს, რომ მათ მოგვარებაში ინფორმაციულ პოლიტიკას ისეთივე მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, როგორც ეკონომიკურ, დიპლომატიურ და სამხედრო კომპონენტებს.

# ლატვია საქართველოს დახმარებას ჰპირდება



ინტერპრესი

*პრემიერ-მინისტრებმა ზურაბ ნოღაიდელმა და აიგარს კალვისმა გუშინ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს.*

*26 მაისს ლატვიის დელეგაცია, პრეზიდენტ ვაირა ვიკე-ფრაიბერგას ხელმძღვანელობით, თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვია. პრეზიდენტმა საქართველო იმავე საღამოს დატოვა. ლატვიის პრემიერ-მინისტრმა აიგარს კალვისმა კი გუშინ ოფიციალური შეხვედრები გამართა. იგი თბილისში კიდევ რამდენიმე დღეს დარჩება.*

პრემიერ-მინისტრებმა ზურაბ ნოღაიდელმა და აიგარს კალვისმა გუშინ ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც, ლატვია საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში და ევროკავშირში გაწევრიანებაში დახმარებას გაუწევს.

როგორც მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე პრემიერმა ზურაბ ნოღაიდელმა აღნიშნა, დაგეგმილია ორმხრივი ურთიერთობების გაფორმება ეკონომიკის სფეროში, კონკრეტული პროექტების ხელმოწერის ცერემონიალი კი ერთი წლის შემდეგ გაიმართება, როდესაც ლატვიის და საქართველოს დელეგაციები ერთმანეთთან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას მიაღწევენ.

ნოღაიდელის ინფორმაციით, ეკონომიკურ სფეროში საქართველო ლატვიასთან ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებას გააფორმებს, ასევე გაფორმდება ხელშეკრულება ავიაციის სფეროში თანამშრომლობის თაობაზე.

ლატვიის პრემიერ-მინისტრის აიგარ კალვიტისის განცხადებით კი, საქართველოს და ლატვიას უფრო ინტენსიური ნაბიჯების გადადგმა მოუწევთ, რათა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდეს.

**"საქართველოსთვის პრიორიტეტს წარმოადგენს ევროკავშირში გაწევრიანება. ჩვენ ამ კუთხით სერიოზული გამოცდილება გვაქვს და მზად ვართ, საქართველოს ექსპერტები გამოვუგზავნოთ,"** - თქვა მან.

ამასთან, ლატვია საქართველოს ურჩევს, რუსეთთან ისეთი ხელშეკრულებები გააფორმოს, რომელიც რუსულ მხარეს ლავირების საშუალებას არ მისცემს. აუცილებელია, რომ რუსეთთან ურთიერთობის დროს ქართულმა მხარემ საქმის კურსში ჩააყენოს საერთაშორისო საზოგადოება, რომ ამ უკანასკნელს საქართველოს დახმარება გაუადვილდეს.

ლატვიის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ასევე აუცილებელია, რომ რუსეთთან სასაზღვრო ხელშეკრულება გაფორმდეს, დიდი ყურადღება მიექცეს საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას და ამით საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესებას.

**"ქართულმა მხარემ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანაში საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად იყოს ჩართული. თავის მხრივ, ლატვია ამისათვის ყველაფერს გააკეთებს,"** - დასძინა მან.

აიგარ კალვიტისი გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილსაც შეხვდა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლატვია მზად არის, საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაში დაეხმაროს.

შეხვედრა გაიმართა, ასევე, ეკონომიკური განვითარების მინისტრ ალექსი ალექსიშვილთანაც.

შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროებში არსებული ურთიერთობები, ასევე სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

როგორც ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, საქართველოს და ლატვიის მთავრობებს შორის უკვე ხელმოწერილია შეთანხმებები საჰაერო ტრანსპორტის დარგში, საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის, კავშირგაბმულობის სფეროში თანამშრომლობის, შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგრვის თავიდან აცილების და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ.

2005 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ლატვიის რესპუბლიკასთან სავაჭრო ბრუნვამ 1 მლნ 469 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, აქედან ექსპორტი - 200,9 ათასი აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი 1 მილიონ 268,4 ათასი დოლარი იყო, უარყოფითი სალდო - 1 მილიონ 67,5 ათასი აშშ დოლარი.

2005 წლის პირველ კვარტალში ლატვიიდან საქართველოში იმპორტი შედგებოდა, ძირითადად, სამკურნალო საშუალებების, ეთილის სპირტის, სპეციალური დანიშნულების ავტომობილების, თევზისა და ხიზილალისაგან, ხოლო საქართველოდან ექსპორტირებულია, ძირითადად, ღვინო და ეთილის სპირტი.

დღეს ლატვიის პრემიერ-მინისტრი სამხრეთ კავკასიაში NATO-ს სპეციალურ წარმომადგენელს შეხვდება, მოგვიანებით კი, ქუთაისსა და ბათუმს ესტუმრება. ხვალ, ლატვიის პრემიერ-მინისტრი კახეთში გაემგზავრება და ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებს.

*24 საათი*

# გუბერნატორი ერისთავი არ არის

## შეახსენებს ვასილ მაღლაფერიძე ზოგიერთ ყოფილ კოლეგას

გიორგი ასანიშვილი

*"მიუხედავად იმისა, რომ გუბერნატორის თანამდებობაზე, სულ რაღაც, ორთვენახევარია მუშაობს, ვასიკო მაღლაფერიძემ მცხეთელების გასაოცარი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა," - აღნიშნა ბადრი ხატიძემ გუშინ, რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას. ამასთან, მცხეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი მიიჩნევს, რომ პრეზიდენტის რწმუნებულის უფლებამოსილება ძალიან შეზღუდულია და მის გაფართოებას მოითხოვს.*



*მაღლაფერიძე პარლამენტში საქებარი სიტყვების მოსასმენად არ მისულა.*

ვასილ მაღლაფერიძე პარლამენტში საქებარი სიტყვების მოსასმენად არ მისულა. მცხეთა-მთიანეთის მხარის გუბერნატორი ყოფილ კოლეგებს სთხოვს, რაც შეიძლება სწრაფად მიიღონ კანონი თვითმმართველობის მოწყობის შესახებ.

**"ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა დონეებს შორის უფლებამოსილებები გამიჯნული არ არის. ეს განსაკუთრებით დიდ სირთულეებს საბიუჯეტო სფეროში ქმნის. მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციას საკუთარი ფინანსური რესურსები რომ ჰქონოდა, ამასწინანდელი სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია გაცილებით გაგვიადვილდებოდა,"** - აცხადებს გუბერნატორი.

მისი აზრით, ვიდრე თვითმმართველობის სფეროში არსებული საკანონმდებლო ვაკუუმი შეივსება და სამხარეო ბიუჯეტების ფორმირება მოხდება, უნდა დაკანონდეს ე.წ "რწმუნებულის ფონდი", რომელიც, შესაძლოა, რეგიონული ბიუჯეტის ერთგვარ ჩანასახადაც კი იქცეს. მაღლაფერიძე დეპუტატებს სთავაზობს, თვითმმართველობის მოწყობის შესახებ კანონპროექტმა მცხეთა-მთიანეთში გაიაროს აპრობაცია.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობის მიხედვით, გუბერნატორი მხოლოდ პრეზიდენტის წინაშეა ანგარიშვალდებული, მცხეთა-მთიანეთის მხარეში არსებული მდგომარეობის შესახებ ვასილ მაღლაფერიძე პარლამენტარებსაც აყენებს საქმის კურსში. იგი, ოფიციალურ სტატისტიკაზე დაყრდნობით, დეპუტატებს შეახსენებს, რომ "მისი" რეგიონი ქვეყანაში ყველაზე ღარიბად ითვლება. თუმცა, მდგომარეობის რადიკალურად შეცვლა შესაძლებლად მიაჩნია, თუ ხელისუფლება ყველაფერს საერთო საზომით მიუდგება.

ნათქვამის საილუსტრაციოდ, პრეზიდენტის რწმუნებულს ასეთი მაგალითი მოჰყავს: ბორჯომის რაიონი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი იმის გამოა, რომ მინერალური წყლის "ბორჯომის" თითოეული ლიტრი იბეგრება და ამ თანხებით რაიონის ბიუჯეტი ივსება, მაშინ, როდესაც ჟინვალის წყალსაცავიდან სასმელი წყალი ყველას ისე მიეწოდება, რომ ამით ადგილობრივი ბიუჯეტი საერთოდ ვერ ხეირობს.

დეპუტატების შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, ვასილ მაღლაფერიძე მხარეში შემავალ ცალკეულ რაიონებში არსებულ მდგომარეობასაც შეეხო. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ დუშეთის რაიონში მაქსიმალურად აილაგმა შავი სამყარო და თითქმის ორჯერ გაიაფდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

**"ერისთავი კი არა ვარ, რომ კანონზე მაღლა დავდგე და ყველაფერი ჩემს ნებაზე გადავწყვიტო,"** - ოდნავ გაცხარდა პრეზიდენტის რწმუნებული, როდესაც მარინა მოლოდინმა მას დუშეთში აგურების დატაცების საქმისა და რაიონის გამგებლის "დანაშაულებრივი საქმიანობის" შესწავლა მოსთხოვა.

გუბერნატორობა რომ დაუფასებელი შრომაა, ამის შესახებ რეგიონული პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ვასილ მაღლაფერიძეს სიტყვაც არ დაუძრავს. აღნიშნულის თაობაზე პარლამენტარები საუბრობდნენ.

**"როდესაც რაიმე კარგი საქმე კეთდება, პრეზიდენტის რწმუნებულის არსებობა საერთოდ გვავიწყდება, ხოლო თუ ცუდი რამ მოხდა, ყველა მისკენ იშვერს ხელს. ეს მაშინ, როდესაც გუბერნატორს ნორმატიული აქტის გამოცემის უფლებაც კი არა აქვს,"** - აღნიშნავს ბადრი ხატიძე და მთავრობისგან მოითხოვს, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში რაც შეიძლება მალე მომზადდეს კანონპროექტი "პრეზიდენტის რწმუნებულის შესახებ".

ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე სუამის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის მეორე სხდომაში მონაწილეობის მისაღებად დღეს იალტაში გაემგზავრება.

პარლამენტის თავმჯდომარის პრეს-სამდივნოს ცნობით, სუამის საპარლამენტო ასამბლეის მეორე სხდომაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს, უკრაინის, აზერბაიჯანისა და მოლდოვას პარლამენტის თავმჯდომარეები და საპარლამენტო დელეგაციები. შეხვედრაზე სუამის ფარგლებში თანამშრომლობის პერსპექტივებზე, ეკონომიკურ და ენერგეტიკულ საკითხებზე იმსჯელებენ. საქართველოს დელეგაციაში, პარლამენტის თავმჯდომარის გარდა, 7 დეპუტატი შედის: პარლამენტის ევროპული ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე, იურიდიული კომიტეტის წევრები ნაზი არონია, ნიკა გვარამია, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კოკა გუნცაძე, დეპუტატები ირაკლი კენჭოშვილი და დავით ბაზღაძე. საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია თბილისში 30 მაისს დაბრუნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი არც ადასტურებს და არც უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველომ, შესაძლოა, უახლოეს მომავალში დსთ დატოვოს. გუშინ მან ამ საკითხის კომენტირებისგან თავი შეიკავა. პრემიერის თქმით, საქართველოს ხელისუფლება აქტიურად არის დაკავებული 3 ივნისისთვის თბილისში დაგეგმილი დსთ-ს სამიტის მოსამზადებელი სამუშაოებით. როგორც ცნობილია, 3 ივნისს თბილისში დსთ-ს წევრი ქვეყნების 9 პრემიერ-მინისტრი ჩამოვა. სამიტის ფარგლებში ხელი მოეწერება მთელ რიგ ხელშეკრულებებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 29 მაისისთვის საქართველოს პრეზიდენტი 7-კაციანი ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცსკ) დასაკომპლექტებლად მის მიერ შერჩეულ 13 კანდიდატურას წარადგენს. როგორც სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა გელა ჩარკვიანმა განაცხადა, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, პრეზიდენტი პარლამენტს ცსკ-ს თავმჯდომარის პოსტზე ერთ კანდიდატურას შესთავაზებს დასამტკიცებლად, ხოლო ცსკ-ს რიგითი წევრის ერთ ადგილზე - ორ კანდიდატურას. წევრობის სურვილი საქართველოს 483-მა მოქალაქემ გამოთქვა, ხოლო ცსკ-ს თავმჯდომარეობაზე პრეტენზიას 32 აცხადებდა. პრეზიდენტის ბრძანებულებით, ცსკ-ს წევრების შესარჩევად კონკურსი 10 მაისს გამოცხადდა და მას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიგი უგულავა ხელმძღვანელობდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტმა სახელმწიფო გერბი უნდა შეცვალოს. აღნიშნული გადაწყვეტილება გერბის ავტორებმა და საორგანიზაციო კომისიის წევრებმა მას შემდეგ მიიღეს, რაც გერბის თაობაზე ბრიტანელი ჰერალდიკოსების შენიშვნები მიიღეს. საორგანიზაციო კომისიის წევრებმა და გერბის ავტორებმა პარლამენტში პრესკონფერენცია გამართეს.

როგორც კომისიის ხელმძღვანელმა ელდარ შენგელაიამ განაცხადა, გერბის პროექტი უკვე ერთი თვეა, გამოქვეყნებულია საერთო სახალხო განხილვისათვის, პარლამენტი კი მის განხილვას ორშაბათს შეუდგება. გერბის პროექტი წარედგინება პარლამენტის ბიუროს, რის შემდეგაც საკითხი დღის წესრიგში ჩაისმება და მომავალ კვირას პარლამენტი მას პლენარულ სხდომაზე განიხილავს. როგორც ელდარ შენგელაიამ განაცხადა, საუბარია საკმაოდ მნიშვნელოვან ცვლილებებზე. კერძოდ, გერბის ბაფთას დაემატა დროშის ჯვრები, გერბის ფერი კი - წითელი მეწამურით შეიცვალა. შეცვლილია, აგრეთვე, გერბზე ამოტვიფრული დევიზის შრიფტი.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას გერბის ავტორმა მამუკა გონგაძემ განაცხადა, ბრიტანელი ჰერალდიკოსების შენიშვნები მას საფუძვლიანად ეჩვენა, ამიტომ მან გერბის გამოსახულებაში რამდენიმე ცვლილება შეიტანა. კომისიის წევრთა განცხადებით კი, იყო რამდენიმე სხვა შენიშვნაც, მაგრამ "ჰერალდიკა თავის კანონებს ემორჩილება, ამიტომაც გერბის ავტორმა და კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს, მხოლოდ რამდენიმე ცვლილება განეხორციელებინათ." გერბის პროექტი ორშაბათს ყველა დეპუტატს დაურიგდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ბარამიძე სახელმწიფო კანცელარიაში ნატო-ს მეკავშირე ოფიცერს რომუალდო რაჟუქსა და ლატვიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს ედგარს რინკევიჩს მიიღებს. შეხვედრაზე მხარეები საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებსა და ქვეყნის პრიორიტეტებიდან გამომდინარე, მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებს განიხილავენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ივნისის დასაწყისში უკრაინის პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო საქართველოს ეწვევა. იგი ქვეყნის პირველ პირებს შეხვდება და 3 ივნისს დსთ-ს ქვეყნების მთავრობათა ხელმძღვანელების საბჭოს სხდომაში მიიღებს მონაწილეობას. ივნისის პირველ ნახევარში, ასევე დაგეგმილია იულია ტიმოშენკოს ვიზიტი პოლონეთში, სადაც მონაწილეობას მიიღებს, ე.წ. "უკრაინია-ვიშეგრადის ოთხეულის" ფორმატით დაგეგმილი პრემიერების შეხვედრებში "ვიშეგრადის ოთხეულის" წევრი ქვეყნებია: სლოვაკია, ჩეხეთი, პოლონეთი და უნგრეთი. 12-14 ივნისს იულია ტიმოშენკო საფრანგეთში ჩავა, ის ლე-ბურჟეში 46-ე საერთაშორისო ავიაკოსმოსურ სალონს მოინახულებს. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მადა ჭამაში მოდის

## საკრებულოს წევრების შენახვის ხარჯები იზრდება

ნანა ძადაგიშვილი

*თბილისის საკრებულოს დეპუტატებისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ხარჯები დღითიდღე მატულობს. გასულ წელს ქალაქის ბიუჯეტს 49 დეპუტატის შენახვა 1 მილიონ 22 ათას 472 ლარი დაუჯდა, წელს, თუ საკრებულომ საკუთარი ხარჯების გაზრდის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ასეთი ტემპით გააგრძელა, წლის ბოლოს ბიუჯეტიდან შარშანდელზე სამჯერ მეტი თანხა მაინც დაიხარჯება. წინა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეების პირველ მოადგილეებს ხელფასები გაეზარდათ, გუშინდელ სხდომაზე კი, ფრაქცია-კომისიების თავმჯდომარეთათვის ბენზინის ლიმიტი გაორმაგდა.*

საკრებულოს დეპუტატების საბიუჯეტო ხარჯების ზრდა გასული წლის ბოლოს დაიწყო, როცა რიგითი დეპუტატის შრომითი სარგო, მინიმუმ, 1050 ლარი გახდა. 2005 წელს კი მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. ახალი ბიუჯეტის დამტკიცებიდან ორ თვეში, საკრებულოს ხელმძღვანელობამ ხელფასები გაიორმაგა. საკრებულოს თავმჯდომარეს 2 300 ლარი გაუხდა, მდივანს - 2 000 ლარი, კომისიების თავმჯდომარეებს - 1 700 ლარი, ფრაქციების ხელმძღვანელებს - 1 600 ლარი. საკრებულოში ექვსი მუდმივმოქმედი კომისია და ცხრა ფრაქციაა. ასე რომ, მხოლოდ საკრებულოს ხელმძღვანელთა შრომის ანაზღაურებამ თვეში 28 900 ლარი შეადგინა. ცოტა ხანში, მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეების პირველ მოადგილეებს მობილური ტელეფონების დეპოზიტის შესავსებად 50 ლარი დაუწესდათ.



დეპუტატების საბიუჯეტო ხარჯების ზრდის ტემპმა განსაკუთრებით ბოლო თვეში იმატა.

დეპუტატების საბიუჯეტო ხარჯების ზრდის ტემპმა განსაკუთრებით ბოლო თვეში იმატა. გასულ კვირას ჩატარებულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეების პირველი მოადგილეების ანაზღაურება 1 450 ლარი გახდა. ანუ საკრებულოს ხელმძღვანელობის ყოველთვიური სახელფასო ხარჯი 37 300 ლარამდე ავიდა. ერთი კვირის შემდეგ კი, გუშინდელ სხდომაზე, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეთათვის ბენზინის ლიმიტი თვეში 350 ლიტრიდან 600 ლიტრამდე გაიზარდა, ფრაქციების თავმჯდომარეებისთვის კი - 400 ლიტრამდე.

არადა, მერიისა და საკრებულოს აპარატმა მერია-საკრებულოს მაღალჩინოსნებისათვის ახალთახალი მანქანები ("აუდის" მარკის 4 და "რენოს" მარკის 25 ავტომობილი) იმ მიზნით შეიძინა, რომ ბიუჯეტის ხარჯები შეემცირებინა. მართალია, ავტოპარკის განახლება ქალაქის ბიუჯეტს 800 ათასი ლარი დაუჯდა, სამაგიეროდ, მერიისა და საკრებულოს აპარატის უფროსის გივი ორდენიძის განცხადებით, ახალი მანქანები, ძველთან შედარებით, საწვავს ბევრად ეკონომიურად ხარჯავს. თუკი ძველ მანქანებს 100 კილომეტრზე 15-25 ლიტრამდე ბენზინი სჭირდებოდა, ახალი "რენო" 8-10 ლიტრსაც სჯერდება. თუმცა, როგორც ჩანს, აპარატის უფროსის ხერხმა არ გაჭრა. ბენზინზე დახარჯული საბიუჯეტო თანხები, ეკონომიის მაგივრად, გაორმაგდება.

ასე რომ, წელს თბილისის მოსახლეობას საკუთარი საკანონმდებლო ორგანოს შენახვა, შარშანდელთან შედარებით, ორ-სამჯერ მეტი დაუჯდება.

საკრებულომ დეპუტატებისთვის შრომითი სარგოსა და ბენზინის ხარჯების გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება ისე მიიღო, რომ ქალაქის ბიუჯეტში სათანადო ცვლილებები არ შეუტანია. როგორც ფრაქცია "ლეიბორისტების" თავმჯდომარემ გიორგი გუგავამ განაცხადა, ამით დაირღვა კანონი ბიუჯეტის შესახებ, რაც სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს.

გუშინდელ სხდომაზე საკრებულომ, საკუთარი ჯიბის გარდა, ქალაქის იერ-სახის განახლებაზეც იზრუნა. საკრებულოს გადაწყვეტილებით, პრეზიდენტს ეთხოვა, რომ მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე 10 ათასი ჰექტარი ფართის კლდოვანი ტერიტორია ჰოლანდიურ კომპანია "ვანდერვეი კომპანი"-ს პირდაპირი მიყიდვის წესით გადასცეს. აღნიშნული კომპანია ამ ადგილას, არქიტექტორ გოგი ჩახავას პროექტით, უზარმაზარი კომპლექსის აშენებას გვთავაზობს. ეს 25 მილიონად შეფასებული პროექტი "ჰილტონის" (სასტუმროების ცნობილი ქსელი) სასტუმროს, საცხოვრებელი სახლებისა და საოფისე შენობების აშენებას ითვალისწინებს. საკრებულოს გადაწყვეტილებით, ჰოლანდიურ კომპანიას აღნიშნული 10 ათასი ჰექტარი შედარებით იაფად (კვადრატული მეტრი 15 ლარის ნაცვლად, 12 ლარად) მიეყიდება.

# ფოთის საკრებულო თავმჯდომარის გარეშე დარჩა

*სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარეს თემურ წურწუმიას, უფლებამოსილების გადამეტების მოტივით, ბრალი წაუყენა. მისთვის აღმკვეთი ღონისძიება არ შეუფარდებიათ. ერთ-ერთი ბრალდება საკრებულოს წევრებისათვის ფულადი ანაზღაურების დანიშვნას ეხება. ქალაქის საკრებულოს წევრები ბრალდებას არ ეთანხმებიან და თბილისის საკრებულოს მაგალითს იშველიებენ.*

ქეთინო ჭაკობია
ფოთიდან

25 მაისს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სხდომაზე მსჯელობის თემა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლის ნუგზარ სარიას გადაწყვეტილება გახდა, რომლითაც იგი საკრებულოსგან თავმჯდომარის გადაყენებას მოითხოვს. საკრებულოს წევრებმა აღნიშნულ ბრძანებას ნონსენსი უწოდეს და განაცხადეს, რომ მოქმედი კანონმდებლობით, სასამართლოს აღმასრულებელი ხელისუფლების ან დანიშვნითი თანამდებობის პირის უფლებამოსილების შეჩერების ან მისი თანამდებობიდან გადაყენების უფლება აქვს, და არა კოლეგიალური ორგანოს ხელმძღვანელის.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, წურწუმიამ კოლეგებს სთხოვა, ამ საკანონმდებლო ლაფსუსს არ "გამოკიდებოდნენ" და ძიების ობიექტურად წარმართვისათვის ხელი არ შეეშალათ. სასამართლოს ბრძანება საკრებულომ ცნობად მიიღო. თავმჯდომარეს გამოძიების დასრულებამდე უფლებამოსილება შეუჩერდა და მის მოვალეობას, ორგანული კანონიდან გამომდინარე, საკრებულოს მდივანი კობა ცხადაია შეასრულებს.

**"გაუგებარია, უფლებამოსილებას გადაამეტოს პიროვნებამ, რომელიც კოლეგიალური ორგანოს არჩეულია და ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. ეს იგივეა, რომ თითოეულ ჩვენგანს წაუყენონ ბრალი, რატომ მივეცით ამა თუ იმ საკითხს თანხმობა ან პირიქით. რაც შეეხება თანხების გადახარჯვის შესახებ ბრალდებას, საკრებულოს თავმჯდომარეს ფინანსებთან შეხება არა აქვს და ვერც რომელიმე სამსახურის მიერ თანხის გადახარჯვაზე პასუხისმგებლობას აიღებს. აბსურდია ე.წ. კომპენსაციების თემა. თუ ერთხელ დაიშვა პრეცედენტი და მიიღო კანონის ძალა, იგი ვრცელდება აბსოლუტურად ყველაზე. თბილისის საკრებულომ, როცა მისი თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი გახლდათ, საკრებულოს წევრის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ სასამართლო პროცესიც კი მოიგო,"** - აღნიშნა თავის გამოსვლაში საკრებულოს წევრმა მაია ხომერიკმა. მისმა კოლეგამ ტარიელ ბაბილუამ ბრალდებებს "აბსურდული, შეთითხნილი" უწოდა; საკრებულოს წევრ მერაბ ასანიძის თქმით კი, "მავანთა სურვილია ქალაქის ერთ დიდ ტერმინალად გადაქცევა."

**"დღესა ცოტა გაუჭირდათ ჩემს კოლეგებს გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ყველანი დავდექით ფაქტის წინაშე, რომ ბრალი მაქვს წაყენებული და მას განეიტრალება ან დამტკიცება სჭირდება. ამ შემთხვევაში, მე კომენტარი ბრალდებულის პოზიციიდან უნდა გავაკეთო, რაც, ცხადია, მზღუდავს. ის, რომ პროკურატურამ საჭიროდ არ ჩათვალა ჩემთვის პატიმრობის შეფარდება და სიმართლისთვის ბრძოლის საშუალება მომცა, თავისთავად გულისხმობს, რომ კომენტარებით, პიარით ხელი შევუშალო ძიებას. ჩვენ აღნიშნულზე შევთანხმდით და არ მსურს პირობის დარღვევა,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას თემურ წურწუმიამ.

სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის კახა არდიას თქმით, იგი პროკურატურის დასკვნას მხოლოდ ზოგადად იცნობს და დასკვნებს ძიების შედეგებიდან გამომდინარე გააკეთებს. მხარის გუბერნატორმა ვერ დააკონკრეტა, თუ რა სახით ენიშნებათ ანაზღაურება ზუგდიდის საკრებულოს წევრებს, დედაქალაქის მაგალითზე კი განმარტა, რომ **"კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, მაგრამ მიღებულ იქნა ის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც თბილისის საკრებულოს წევრებს საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები აუნაზღაურდებათ."**

**"მე, პიროვნულად, წურწუმიასთან ნორმალური დამოკიდებულება მაქვს. გამორიცხეთ პოლიტიკური ნიშნით ბრალის წაყენება. რეალურად აღარ არის ისეთი ძალა, რომ პოლიტიკური მიზნით ვინმეს შევიწროება მოხდეს. თუ პროკურატურა თავის გადაწყვეტილებაში მიკერძოებული იქნება, საკანონმდებლო ნიუანსებში გარკვევა ყველასთვის ხელმისაწვდომია, არსებობს პრესა, ტელევიზია, და არაფერი დაიმალება,"** - აღნიშნა არდიამ "24 საათთან" საუბრისას.

# არასამთავრობოების შენიშვნები

პირველი გვერდიდან

**შესაძლოა, გადაიზარდოს საფრთხეში, შესაძლოა - არა. ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ პროექტში ეს საკითხები ცოტა სხვაგვარად არის წარმოდგენილი."** დარჩიაშვილის თქმით, სამხედრო-სამოქალაქო ფორუმზე ეს საკითხი სერიოზული განხილვის საგანი იყო. მიუხედავად ხანგრძლივი პოლემიკისა, პროექტის ავტორები მაინც პირვანდელ პოზიციაზე დარჩნენ, - შენიშნავს ექსპერტი.

**"ღირებულებების, ინტერესების და, შესაბამისად, პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში განსაკუთრებული აქცენტი უნდა იყოს თავისუფლებაზე, მშვიდობის უზრუნველყოფაზე, ლიბერალურ ღირებულებებზე, ტოლერანტობაზე, მულტიკულტურალიზმზე, ანუ ყველაფერ იმაზე, რაც რეალურად წარმოადგენს ევროპულ ღირებულებებს,"** - განუცხადა "24 საათს" დავით დარჩიაშვილმა. მისი აზრით, აფხაზეთის და ოსეთის პრობლემატიკასთან მიმართებაშიც ხელისუფლების დამოკიდებულება ცოტა სხვაგვარად უნდა იყოს წარმოდგენილი.

საბოლოო ჯამში, დავით დარჩიაშვილის პოზიცია ასეთია: **"ეს არის ხელისუფლების, აღმასრულებელი ხელისუფლების დოკუმენტი და როგორი ხედვაც აქვს მთავრობას, დოკუმენტიც ისეთნაირად უნდა დაიწეროს."**

მას შემდეგ, რაც დოკუმენტი ოფიციალურ სახეს მიიღებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები საჯაროდ გამოხატავენ თავიანთ პოზიციას კონცეფციის შესახებ.

მანამდე კი, როცა ჯერ კიდევ არ ვიცით, ყურს უგდებს თუ არა ხელისუფლება არასამთავრობოების შენიშვნებს, დავით დარჩიაშვილი იმავე ხელისუფლებას, სხვათა შორის, შეახსენებს: **"კარგი ხელისუფლება მაქსიმალურად ითვალისწინებს საზოგადოების დამოკიდებულებას."**

# აფხაზეთის სამღვდელოებაში განხეთქილებაა

ზურაბ აფხაზავა
სოხუმიდან

*უთანხმოება აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით 29 მაისს დაგეგმილი საეკლესიო კრებისთვის მზადების პერიოდში მკვეთრად გამწვავდა.*

23-24 მაისს ღვთისმსახურთა და საერო პირთა ჯგუფი მაიკოპში ადიღეს ეპარქიის მღვდელმთავართან შესახვედრად გაემგზავრა. აღნიშნული ვიზიტი ახალი ათონის წმინდა სიმონ კანანელის მონასტრისა და კამანის წმინდა იოანე ოქროპირის მონასტრის წინამძღვრების მამა ანდრიას და მამა დოროთეს მიერ იყო ორგანიზებული. ვიზიტის მიზეზი გახლდათ ის გამძაფრებული წინააღმდეგობები, რაც ეკლესიის შიგნით ახალგაზრდა ღვთისმსახურებსა და ეპარქიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელს მამა ბესარიონს შორის არსებობს.

საქმე ის არის, რომ ახალგაზრდა აფხაზი ღვთისმსახურები ხელდასხმული არიან რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ადიღეს ეპარქიაში, მაშინ, როცა მამა ბესარიონი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღიდან გამოსული სამღვდელო პირია. "საეკლესიო ოპოზიციისგან" თავის დაღწევის მიზნით, მამა ბესარიონმა ყველა ღონე იხმარა, რათა ადიღეს ეპარქიის მღვდელმთავარს ორი აფხაზური მონასტრის წინამძღვარი ადიღეს ეპარქიაში გაეწვია. ამ განზრახვის ხორცშესხმა მან ვერ მოახერხა, მაგრამ მაიკოპში მოგზაურობიდან დაბრუნებულმა მამა ბესარიონმა მღვდელმთავრის წერილი ჩამოიტანა, სადაც ეს უკანასკნელი მხარეებს "მშვიდობისა და შერიგებისკენ" მოუწოდებს.



ახალი ათონის მონასტერი საეკლესიო ოპოზიციის შტაბად იქცა.

უთანხმოების მიზეზი საერთოაფხაზური ეპარქიული საეკლესიო კრების მომზადება გახდა, რომელიც 29 მაისს უნდა გაიმართოს. აღნიშნული კრება, რომელიც 1917 წლის შემდეგ პირველია, ახალი ათონის მონასტერში უნდა შედგეს. ვარაუდობენ, რომ კრება, სადაც თავს მოიყრის 200-მდე ღვთისმსახური და საერო პირი, სოხუმი-აფხაზეთის ეპარქიაში სერიოზული რეფორმების დასაწყისი გახდება. ეს რეფორმები ეპარქიის დღევანდელი მმართველის მამა ბესარიონის ინტერესებში არ შედის.

დაგეგმილ კრებაზე სოხუმი-აფხაზეთის ეპარქიის მმართველობითი ორგანოები - ეპარქიული საბჭო, კანცელარია, არქეოლოგიური კომისია და ა.შ. აღდგენილ იქნება, მაგრამ უკვე რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში. გარდა ამისა, დადგინდება ეკლესიებში ღვთისმსახურების ახალი ნორმები. კერძოდ კი, ღვთისმსახურებს ჯვრისწერაში, ნათლობაში და ა.შ. მოქალაქეებისგან ფულის აღება აეკრძალებათ. მათ ასევე აეკრძალებათ კერძო საკუთრებაში ავტომანქანების ყოლა და ა.შ. ახალგაზრდა ღვთისმსახურები თვლიან, რომ ეს რეფორმები აფხაზეთში მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციებს გაამყარებს და ეკლესიის განვითარებას შეუწყობს ხელს.

მამა ბესარიონი აღნიშნული რეფორმების წინააღმდეგ გამოდის. როგორც ცნობილია, რეფორმებზე მეტად მას ის ფაქტი აშინებს, რომ შესაძლოა კრებამ აფხაზეთის ეპარქიის ახალი ხელმძღვანელი აირჩიოს.

ზოგიერთი ღვთისმსახურის მაიკოპში გაგზავნის უშედეგო მცდელობის შემდეგ, მამა ბესარიონმა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა ახალი ათონის მონასტრის წინამძღოლი, მღვდელმონაზონი მამა ანდრია და შემდეგ იგი მოქვის მონასტრის წინამძღვრად დანიშნა. იგივე ბედი ეწია კამანის მონასტრის წინამძღვარსა და ახალი ათონის სასულიერო სემინარიის რექტორს, მღვდელმონაზონს მამა დოროთეს. იგი ასევე გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან და დრანდის ღვთისმშობლის მიძინების მონასტრის წინამძღვრად გადაიყვანეს.

"ეს მონასტრის კეთილდღეობისთვის კეთდება," - აღნიშნა მამა ბესარიონმა ბრძანებაში. თუმცა, ღვთისმსახურების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ამგვარი ბრძანებულებების ხელისმოწერის უფლება მამა ბესარიონს არა აქვს. მათი თქმით, ეს ეპარქიის მმართველმა უნდა გააკეთოს, ხოლო მმართველი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი პირი, რომელსაც სამღვდელმთავრო ხარისხი აქვს. მამა ბესარიონი კი უბრალო მღვდელია და ეპარქიის მმართველის მოვალეობას მხოლოდ იმიტომ ასრულებდა, რომ ომის შემდეგ საეკლესიო საკითხებისთვის ჯეროვანი ყურადღების მიპყრობა ვერ მოხერხდა.

გარდა ამისა, ღვთისმსახურებმა მამა ბესარიონს შეახსენეს, რომ მისივე გადაწყვეტილების თანახმად, საეპარქიო საბჭო დათხოვნილია იმ დრომდე, ვიდრე საბჭოს არჩევა ეპარქიულ კრებაზე არ მოხდება. ეპარქიული კრების მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დასრულებულია. ძალიან მალე ცნობილი გახდება, თუ ვინ გაიმარჯვებს ამ ბრძოლაში.

# აზერბაიჯანი დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს



რამიზ ჰასანოვმა ნავთობსადენის სტრატეგიული მნიშვნელობა განსაკუთრებით აღნიშნა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების 87 წლისთავი გუშინ, თბილისშიც საზეიმოდ აღინიშნა. მიღებას, რომელსაც ქართული პოლიტიკური ელიტის თითქმის სრული შემადგენლობა ესწრებოდა, რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რამიზ ჰასანოვი მასპინძლობდა.

სტუმრებს შორის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილიც იყო.

ელჩმა დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოსვლისას მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორიაზე და საქართველოსთან, როგორც სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთთანამშრომლობაზე, სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრა.

ელჩის მხედველობიდან არც ბოლო დროის საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნა გამორჩენია. რამიზ ჰასანოვმა ნავთობსადენის სტრატეგიული მნიშვნელობა განსაკუთრებით აღნიშნა.

საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის ელჩის მიერ ორი ქვეყნის ახალგაზრდა პრეზიდენტების ახლო მეგობრობის თაობაზე საუბრის შემდეგ, დამოუკიდებლობის დღე მთელს საქართველოს მიულოცა.

# სასიკვდილო განაჩენი - დაუდევრობა თუ შემოსავლის წყარო?

*"არასოდეს გვიჩივლია, მაგრამ გვჯერა, ჩვენი გადაწყვეტილება მართებულია - ექიმს, ალბათ, ფულის "გაკეთება" სურდა, დედას სიმსივნის დიაგნოზი დაუსვა და ოპერაცია 1000 ლარად დაგვიფასა. მოტყუებული სხვაც რომ არ აღმოჩნდეს, ამ ისტორიის გახმაურება გადავწყვიტეთ," - აცხადებს ანსამბლ "მზიურის" პირველი თაობის წარმომადგენელი ეკა გოდერძიშვილი.*

ირმა კახურაშვილი

ლია ალანიამ პროფესორ ირაკლი ნადირაძესთან მისვლა ხალის გაღიზიანების გადაწყვიტა. პაციენტის დათვალიერების შემდეგ, ექიმმა დაუფარავად შეიცხადა, რომ ქალბატონი სასწრაფოდ საოპერაციოა, "რადგან ეს ყველაფერი, შესაძლოა, კიბოში გადაიზარდოს" შოკირებული პაციენტი ექიმს ონკოლოგიური ცენტრის ციტოლოგიურ ლაბორატორიაში, დალი თუშიშვილთან გადაუმისამართებია. "ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ხელებიც კი არ დაიბანა, ლანცეტით ისე უხეშად მომეპყრო, რომ ლამის გონება დავკარგე. ჭრილობიდან სისხლმა იფეთქა და რომ ვერ შეაჩერა, ცალი ხელით ერთჯერადი პარკი ამაფარა, მეორე ხელით კი დასვრილი იატაკი მოწმინდა. ციტოლოგიური ანალიზი უშუქოდ გაგვიკეთა და ეკას ჩუმად უთხრა, რომ მელანომა მქონდა," - იხსენებს ქალბატონი ლია. შესრულებულ სამუშაოში დალი თუშიშვილს 40 ლარი გადაუხადეს.

ანალიზის პასუხით ოჯახის წევრები პროფესორთან დაბრუნდნენ, რომელმაც განუცხადა, რომ საოპერაციოს ხვალვე იქირავებდა და ოპერაციას ათას ლარად გააკეთებდა. ეკა გოდერძიშვილმა, ყოველი შემთხვევისთვის, პროფესორის ვინაობის გადამოწმება იმავე საავადმყოფოში მომუშავე ექიმ რაიბულ თოდუასთან სცადა.

თოდუამ თავისი კოლეგა უარყოფითად დაახასიათა და ურჩია, ხელმეორე ანალიზი ონკოლოგიური საავადმყოფოს თანამშრომელ თამარ კალოიანის ბინაში მოწყობილ ლაბორატორიაში გაეკეთებინათ. ახალ დიაგნოზში, ნევუსის ტიპის მელანომის ნაცვლად, სიცოცხლესთვის უსაფრთხო პიოგენური გრანულომა ჩაიწერა... საბოლოოდ, ოპერაცია მცხეთის რაიონულ საავადმყოფოში 15-ოდე წუთში გაკეთდა, რაშიც ოჯახმა 108,80 ლარი გადაიხადა. რამდენიმე დღეში ეკა გოდერძიშვილს თუშიშვილმაც დაურეკა და შეცდომა აღიარა, მაგრამ გამწარებული ოჯახი ამ თემაზე საუბარს მოერიდა.

თუშიშვილის განაცხადებით, ის შეცდომაში შეიყვანა კლინიკურმა - დათვალიერებით მიღებულმა სურათმა, რომელიც კვანძოვანი ფორმის მელანომას წააგავდა. "გრანულომას და მელანომას დიფერენციაცია ურთულესია. მიკროსკოპს რომ ჩავხედე, მელანომას ტიპის ქსოვილს მივამსგავსე. თუმცა, ეკას რამდენჯერმე გავუმეორე, რომ მელანომას ჰიპერდიაგნოზად (ი.კ. - გადაჭარბებულ დიაგნოზად) ვსვამ, ოპერაცია მაინც უნდა გაკეთდეს, მორფოლოგიური კვლევა კი დაადასტურებს, ეს მოსაზღვრო ნევუსია თუ გრანულომა. რაც შეეხება სტერილურობას, ამაზე თავს დავდებ," - ამბობს თუშიშვილი.

"თუშიშვილისთვის და ნადირაძისთვის რომ დაგვეჯერებინა, დედას ქიმიოთერაპიაზე გადავიყვანდით, მერე გვეტყოდნენ, რა კარგად ვუმკურნალეთ, რომ ამდენ ხანს ცოცხლობსო. ორივემ, არაპროფესიონალიზმისა თუ ფულის გამო, ჯანმრთელი ადამიანი გაწირა," - დარწმუნებულნი არიან ალანიები.

"ჩემს პროფესიონალიზმს ნუ ეხებიან, ყოველდღიურად ათობით დიაგნოზს ვსვამ. მე დაშვებული შეცდომა ვაღიარე, მათ კი შეურაცხყოფა მომაყენეს," - ამბობს ციტოლოგიის განყოფილების უფროსი და ამატებს, რომ არავისთანაა "შეკრული". მისი თქმით, პროფესორ ნადირაძეს პაციენტებთან დამოკიდებულებაში "ზედმეტი ემოციურობა" ახასიათებს.

პროფესორ ირაკლი ნადირაძის თქმით, მან სასწრაფო ოპერაცია ლაბორატორიული ანალიზის გათვალისწინებით დანიშნა. "ონკოლოგიურში საოპერაციოები ოთხშაბათამდე არ მუშაობდა, ამიტომ, მეორე კლინიკურ საავადმყოფოში საოპერაციოს დაქირავება გადავწყვიტე. ეს კი სოლიდური თანხა დაჯდებოდა," - აცხადებს ნადირაძე.

საინტერესო ფაქტი: ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში მომუშავე ორივე ექიმი - ირაკლი ნადირაძე და რაიბულ თოდუა, წლების განმავლობაში ერთმანეთის არაპროფესიონალიზმის დამტკიცებას ცდილობენ და ამას არც ირაკლი ნადირაძე მალავს. რაც შეეხება, არასწორი დიაგნოზირების შემთხვევებს, ისინი ორივე ექიმის პრაქტიკაშია დაფიქსირებული. ასე თუ ისე, ამით მხოლოდ პაციენტები ზარალდებიან, რომლებსაც ხშირად არც ესმით, სწორი დიაგნოზი დაუსვეს თუ შიდაინტრიგების მსხვერპლნი გახდნენ...

ალანიების ოჯახის წევრები სამედიცინო მუშაკებს "ფულის კეთებაში" ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ სასიკვდილო დიაგნოზი პაციენტს ყოველგვარი დელიკატურობის გარეშე დაუსვეს, მით უფრო, რომ ის მცდარი იყო. საბედნიეროდ, მორალურად დაზარალებული პაციენტი მხოლოდ ძლიერი შოკით შემოიფარგლა, შეიძლებოდა კი, ყველაფერი გაცილებით რთულად ყოფილიყო.

# თერთმეტი "ოქროს ფრთა"

"თი ბი სი ბანკის" სათაო ოფისში გუშინ ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა 2005 წლის "ოქროს ფრთის" თერთმეტი ლაურეატი დაასახელა. "ოქროს ფრთა", ძირითადად, მასმედიის წარმომადგენლებს, ჟურნალისტიკის სფეროში გაწეული წვლილისთვის გადაეცემათ. თუმცა, ფონდი ამავე პრემიით იმ პირებსაც აჯილდოებს, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ეროვნული სულიერების, კულტურის, განათლების აღორძინებასა და საუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნებაში. პრემია მეცენატ და ქველმოქმედ ბიზნესმენებსაც ერგოთ.

13-კაციანმა ჟიურიმ წელს "ოქროს ფრთის" ლაურეატებად შემდეგი კანდიდატები დაასახელა: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, ჟურნალისტები - გიორგი ახვლედიანი, სოფო მოსიძე, მამუკა არეშიძე, გიორგი თევდორაშვილი, ლაშა ტუღუში და ვილენ მარდალეიშვილი. გარდაცვალების შემდეგ, "ოქროს ფრთა" მიიღო ჟურნალისტმა ზაზა დარასელმა.

"ოქროს ფრთით", აგრეთვე, დაჯილდოვდნენ საზოგადო მოღვაწეები და ქველმოქმედები - გოდერძი ბუკია, პაატა კურტანიძე და ანა კერესელიძე.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა "ოქროს ფრთის" ლაურეატები მეოთხედ გამოავლინა. პირველად ეს ცერემონიალი 2003 წელს ჩატარდა. ამ ხნის განმავლობაში, "ოქროს ფრთა" მიღებული აქვს 24 ადამიანს, მათ შორის - 20 ჟურნალისტს და 4 ქველმოქმედს. ფონდის საპატიო პრიზი გუშინ "თი ბი სი ჯგუფის" ხელმძღვანელს მამუკა ხაზარაძესაც გადაეცა.



*დაჯილდოების ცერემონიაზე.*

**"ოქროს ფრთამდეც" იყო პრემიები, მაგრამ მოკლე გაელვებებით. ამიტომ, მათი შთაბეჭდილება ფერმკრთალდებოდა. "ოქროს ფრთის" ცერემონიამ კი სისტემატური ხასიათი მიიღო. მიმაჩნია, რომ ეს გამორჩეული პრემიაა. იგი ნამდვილად გვჭირდება არა მხოლოდ წარსულისა და აწმყოს შეფასებისათვის, არამედ მომავლის მშენებლობისათვის. არსებითია ისიც, რომ ჯილდო არა ერთი ნაწარმოებისათვის, არამედ ხანგრძლივი შემოქმედებითი საქმიანობისათვის გაიცემა. ჟურნალისტია არა ის, ვინც წერს, არამედ ის, ვისაც კითხულობენ. ასეთები კი, საბედნიეროდ, ბევრი გვყავს. ამიტომაც გაუჭირდა ჟიურის კანდიდატთა გამოცალკევება,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას ჟიურის უცვლელმა თავმჯდომარემ ნოდარ ტაბიძემ.

*24 საათი*

# კეთილი ინიციატივა

ნინო ბერელიძე

გუშინ თბილისის 161-ე საშუალო სკოლამ პროფესორისა და ენათმეცნიერის გიორგი შალამბერიძის გარდაცვალების მეთექვსმეტე წლისთავი აღნიშნა. ამ დღეს მიეძღვნა მეცნიერის საოჯახო ბიბლიოთეკის, პირადი არქივისა და სამეცნიერო ნაშრომების სკოლისთვის გადაცემის ღონისძიება. სკოლის ბიბლიოთეკას 600-მდე წიგნი შეემატა, რომელიც სკოლას პირადად გიორგი შალამბერიძის მეუღლემ, ქალბატონმა თინა ჟვანიამ გადასცა.

**" ეს წიგნები დატყვევებულები აღარ იქნებიან, რადგან ამიერიდან ხელმისაწვდომია ყველა მსურველისათვის. ყველაზე კარგი მაინც ისაა, რომ ამით ბავშვები ისარგებლებენ. ეს სურვილი ჩემი სიყვარულის და მეგობრობის კიდევ ერთი დადასტურებაა სკოლის დირექტორის ჯუმბერ ცერცვაძის მიმართ,"** - აღნიშნა თინა ჟვანიამ. გულითადი მადლობა და პირადი სიმპათია გამოავლინა მეცნიერის ოჯახისადმი სკოლის დირექტორმა ჯუმბერ ცერცვაძემაც. მისი განაცხადებით, ამიერიდან სკოლის ბიბლიოთეკას გიორგი შალამბერიძის საპატიო სახელი ერქმევა. მან ასევე, მზადყოფნა გამოხატა ასეთივე კეთილი ინიციატივების მიმართ, თუკი, რა თქმა უნდა, მომავალში ვინმეს ამის სურვილი გაუჩნდება.



*სკოლის ბიბლიოთეკას 600-მდე წიგნი შეემატა.*

ამ ფაქტს მოსწავლეებიც სიხარულით შეხვდნენ. როგორც გაირკვა, უმეტესობა სკოლის ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარია. მეცნიერის წიგნებში რამდენიმე უნიკალური წიგნიც ურევია, რომლებიც მხოლოდ ერთხელ არის გამოცემული და ენათმეცნიერებისათვის დღესაც დიდ ღირებულებას წარმოადგენს. სკოლის ღონისძიებაზე ბავშვებმა ბატონი გიორგის მშვენიერი ლექსები წაიკითხეს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოსწავლეების მიერ შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა მოახდინა. მათ გემოვნებით შეასრულეს ისეთი რთული ნაწარმოებები, როგორიც არის "მრავალჟამიერი" და "შავლეგო".

# თბილისს სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ეწვია

გუშინ თბილისს ორდღიანი ვიზიტით ეწვია სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სერგო ერიციანი დელეგაციასთან ერთად. იგი თავის კოლეგას, ალექსანდრე ლომაიას შეხვდა. შეხვედრაზე მინისტრებმა განიხილეს საქართველოს სომხურენოვან სკოლებში სწავლების პროგრამები, აგრეთვე, სამინისტროებში მიმდინარე რეფორმები. "რეგიონული და ერთობლივი პროგრამები და განათლების განვითარების საკითხები მჭიდრო თანამშრომლობის საშუალებას გვაძლევს," - განაცხადა შეხვედრაზე სერგო ერეციანმა.

ალექსანდრე ლომაიას თქმით კი, საქართველოს განათლების სფეროს რეფორმის შედეგად, სომხურენოვანი სკოლების პროგრამები იცვლება და სამინისტროს მომავალში სომეხი სპეციალისტების დახმარება დასჭირდება.

სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი საქართველოში სომხეთის საელჩოს წარმომადგენლებს შეხვდა. სომხეთის დელეგაცია გუშინ სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტსაც ეწვია.

დღეს კი სომხეთის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი სომხურ ეკლესიას, თბილისის 104-ე სკოლას და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიურ უნივერსიტეტს ეწვევა, სადაც სომხური ენისა და ლიტერატურის კათედრის თანამშრომლებს, თბილისის სომხურენოვანი სკოლების სომხური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს შეხვდება.

*24 საათი*

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს არაქართულენოვან სკოლებში სახელმძღვანელოების სუბსიდირების პროგრამის დაფინანსების ფარგლებში ქართული ენის შემსწავლელი პირველი დონის სახელმძღვანელოს (დამწყებთათვის) კომპლექტის (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი) დაბეჭდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2. სავარაუდო ტირაჟი და მოთხოვნები:**

ა) **მოსწავლის წიგნი**: ფერადი, ცარცის ქაღალდი, მაქსიმუმ 128 გვერდი A4 ფორმატი. ტირაჟი 70 000 (სამოცდაათი ათასი)

ბ) **მოსწავლის რვეული**: შავ-თეთრი, ოფსეტის ქაღალდი, დაახლოებით 100 გვერდი A4 ფორმატი. ტირაჟი 70 000 (სამოცდაათი ათასი)

გ) **მასწავლებლის წიგნი**: შავ-თეთრი, ოფსეტის ქაღალდი, დაახლოებით 80 გვერდი A4 ფორმატი. ტირაჟი 4000 (ოთხი ათასი)

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ **ქართულ** ენაზე, **30.05.2005-**დან **17.06.2005** ჩათვლით შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. .N52, ოთახი 222**

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ და წესდების ნოტარიულად დამოწმებულ ასლს;

ბ) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა; **(ცნობა უნდა წარმოადგინონ საჯარო რეესტრის ეროვნული ცენტრიდან)**

გ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა უნდა წარმოადგინონ შს სამინისტროდან);**

**4.2** ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა **(ცნობა უნდა წარმოადგინონ სასამართლოდან);**

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის **(ცნობა უნდა წარმოადგინონ შს სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფა და ანალიზის სამმართველოდან);**

4.3 როგორც ფიზიკურმა ასევე იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:

ა) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე **(ცნობა უნდა წარმოადგინონ სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);**

ბ) **ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის დავალიანების შესახებ.**

**5**. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**6.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, **500 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო მოსაკრებლის სპეციალურ სალარე ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიში N000141408, ბანკის კოდი 2201101107) მისამართზე: **ქ. თბილისი, დ.უზნაძის ქ.N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222, სატენდერო კომისიის აპარატი.**

**7. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი:**

ა) სახელმძღვანელოების მიწოდების ვადა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული მასალის მიწოდებიდან ერთი თვის განმავლობაში;

ბ) ადგილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ქ. თბილისი უზნაძის ქ. N52.

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: დ. ბარაბაძე, ა. გაგნიძე, მ. ბუზალაძე, მისამართზე **თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52 ტ. 95-65-91, ოთახი N222**

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

Save the Children

## განცხადება

საერთაშორისო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" და ფონდი "ერანი" ახორციელებს შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებულ პროექტს სახელწოდებით "იძულებით გადაადგილებულ პირთა კომუნალური ცენტრების რეაბილიტაცია". ამ პროექტის ფარგლებში ცხადდება ტენდერი ქ. თბილისის 2 კომუნალური ცენტრის ელექტრო-მომარაგების სამუშაოებზე. ტენდერში მონაწილე იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს ლიცენზია ელექტროსამუშაოების შესრულებასა და დაპროექტებაზე.

სატენდერო პაკეტის გატანა იწარმოებს 1 ივნისიდან. წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 15 ივნისი 16 საათამდე. სატენდერო პაკეტის ღირებულებაა 20 ლარი.

**დაინტერესებულმა ფირმებმა მოგვმართეთ მისამართზე: თბილისი ლესელიძის ქ N32**
**ტ. 98 59 14 მობ 877 43 25 87;**
**საკონტაქტო პირი : ირაკლი ჩხიკვაძე**

# დემოკრატიის გაზაფხული ახლო აღმოსავლეთში

პირველი გვერდიდან

ეს პარტიები აცნობიერებენ, რომ ახლო აღმოსავლეთში მიმდინარეობს სოციალური ტრანსფორმაციები, რომლებსაც დემოკრატიისკენ მიჰყავთ ხალხი. ამ პარტიებს კი ამ პროცესში აქტიურად სურთ ჩართვა. ჩემი აზრით, ჩვენ შეიძლება მუსლიმურ-დემოკრატიული პარტიების წარმოქმნის მოწმენი გავხდეთ. ეს, დაახლოებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიების აღმოცენების ანალოგიური იქნება.

ძნელი არ არის მიხვდე, რატომ არიან ისლამისტები პოპულარულები. ახლო აღმოსავლეთში ავტორიტარულმა რეჟიმმა, ფაქტობრივად, ჩაახშო თავისუფალი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. მეჩეთი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ადამიანებს თავისუფლად თავშეყრის საშუალება ჰქონდათ. რელიგიურმა ჯგუფებმა ამ შესაძლებლობის გამოყენება დაიწყეს - თავიდან სოციალურ ორგანიზაციებად ჩამოყალიბდნენ, შემდეგ კი ადგილობრივი პოლიტიკოსების ეკვივალენტებად გადაიქცნენ. ამ პროცესში მათ "ხალხის ადვოკატების" სახელი მოიპოვეს და ამ ადამიანების ნდობაც დაიმსახურეს. ეს სტატუსი სრულიად განასხვავებდა მათი რეპრესიული და კორუმპირებული მთავრობებისგან.

პრინციპში, ეს ერთგვარი პირფერობაცაა - იყო დემოკრატიის დამცველი და ამავე დროს ეწინააღდეგებოდე პოლიტიკურ პროცესებში ისლამისტების მშვიდობიან მონაწილეობას. მთელ მსოფლიოში 1.4 მილიარდი მუსლიმის ორი მესამედი ამჟამად იმ მთავრობების მმართველობის ქვეშ ცხოვრობს, რომელთა მუშაობაში ისლამისტური პარტიებიც მონაწილეობენ.

როცა ისლამისტურ ჯგუფებს საარჩევნო პროცესებისკენ მიმავალ გზას უღობავენ, მათი საქმიანობა მითიურ შეფერილობას იღებს, პრინციპები კი ფიქტიური ხდება და, რეალურად, პრაქტიკაში ვერ ხორციელდება. იორდანიის აწ გარდაცვლილი მეფე ჰუსეინი ამ პრობლემის წინაშე 1989 წელს ქალაქ მაანში ფართომასშტაბიანი არეულობის შემდეგ დადგა. მაშინ მეფემ ყველა პოლიტიკური ძალა ეროვნული ქარტიის შესადგენად თავისთან მიიხმო - ქარტიისა, რომელიც პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის წესებს განსაზღვრავდა. ისლამისტებმა ხელი მოაწერეს მას და, ამ გზით, თამაშის წესებისადმი თავიანთი პატივისცემა გამოხატეს.

მას შემდეგ იორდანიაში გამართულ არჩევნებში ისლამისტებმა ოთხჯერ მიიღეს მონაწილეობა. პირველად ისინი უმრავლესობაში მოხვდნენ, რამაც მათ საშუალება მისცა, პრაქტიკაში გამოეყენებინათ თავიანთი პოლიტიკური ლოზუნგები. თუმცა, პოპულარობის შენარჩუნება მაინც ვერ შეძლეს. 4 სამინისტრო სტრუქტურაში, სადაც ძალაუფლება ისლამისტების ხელში იყო, სუსტი სქესის თანამშრომლებზე შეზღუდვები დააწესეს, რასაც შედეგად ჯერ - პროტესტი, შემდეგ კი ოთხივე მინისტრის გადადგომა მოჰყვა. მომდევნო არჩევნებში მათი მომხრეთა რიცხვი უკვე საგრძნობლად შემცირდა.

შეცდომა იქნებოდა იმის ვარაუდი, რომ ძალის გამოყენებით ისლამისტური მოძრაობის განადგურება შეიძლება. ნაცვლად ამისა, უნდა გატარდეს პოლიტიკური რეფორმა, რომელიც მათ პროცესებში ჩართვას გაითვალისწინებს, ოღონდ - შემდეგი პირობებით:

- ეროვნული კონსტიტუციის, კანონის უზენაესობისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პატივისცემა;
- საერთაშორისო დამკვირვებლების კონტროლის ქვეშ ჩატარებულ თავისუფალ და სამართლიან არჩევნებზე დაფუძნებული ხელისუფლების როტაციის პრინციპის მიღება;
- არამუსლიმური უმცირესობის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის თანაბარი უფლებების გარანტია;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების მთლიანად და თანაბრად ჩართვა.

ახლო აღმოსავლეთში დემოკრატიის განვითარებაში არანაკლებ მნიშვნელოვანია გარე აქტორების როლი. ბევრი ითქვა ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ხელმძღვანელობით წარმოებულ ამერიკელთა "ჯვაროსნულ ლაშქრობაზე", რომელიც მუსლიმურ მსოფლიოში დემოკრატიის ექსპორტს ისახავდა მიზნად. ავღანეთსა და ერაყში ომების წარმოება, მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც, თავისუფლების მოპოვებას უკავშირდებოდა. ანალოგიურად, ახლო აღმოსავლეთში პარტნიორობის ინიციატივამ ამ რეგიონში ამერიკელების დახმარებით დემოკრატია უნდა დაამყაროს.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს ის ფაქტი, რომ დემოკრატიის საკითხი საერთაშორისო დღის წესრიგში 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ დადგა. ბარსელონას 1995 წლის შეთანხმების თანახმად, ევროკავშირმა, დემოკრატიული რეფორმების პროგრესირების სანაცვლოდ, რამდენიმე არაბულ ქვეყანას დახმარება და ვაჭრობის რეჟიმის გაუმჯობესება შესთავაზა. ეს უკანასკნელი შესრულდა, მაგრამ, რაც შეეხება არაბულ ქვეყნებში დემოკრატიულ რეფორმებს, ამ მიმართულებით ძალიან ცოტა რამ გაკეთდა.

1970-იან წლებში გაფორმებულმა ჰელსინკის ხელშეკრულებამ დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა იმპერიის დაშლაში. სწორედ ანალოგიური ფორმულა გვჭირდება ახლო აღმოსავლეთშიც.

ამერიკელების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში უხეში ჩარევაც რომ ეწოდოს, აუცილებელია იმის აღიარება, რომ მათ მნიშვნელოვანად შეცვალეს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენების დინამიკა. ადგილობრივმა ოპოზიციურმა ძალებმა, აშშ-სთან დისტანციური დამოკიდებულების მიუხედავად, უდავოდ გამბედაობა მოიკრიბეს ლიბანში, ეგვიპტეში, საუდის არაბეთსა და რეგიონის სხვა ქვეყნებში. ამჟამად ჩვენს მეზობლებს შორის გულახდილობის გარკვეული ნიშნებიც შეიმჩნევა.

ვიცი, რომ დემოკრატიული მოძრაობა ადრეც ჩაახშეს: 1956 წელს ბუდაპეშტში, 1968 წელს პრაღაში, ხოლო 1989 წელს პეკინში ტიანანმინის მოედანზე. და მაინც, ის რაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში ხდებოდა, რაღაც ახალი და შეუქცევადია. საკმაოდ ბევრი ადამიანი უამრავ ქვეყანაში წინააღმდეგობას უწევს მჩაგვრელებს და თავისუფლების მოსაპოვებლად სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებასაც არ ერიდება. მათთვის, ვინც ამ პროცესებში, უკვე დიდი ხანია, მონაწილეობს, დღევანდელი ვითარება გაზაფხულს ჰგავს.

# "დაუჯერებელი ისტორია"

## ფილიპინებზე ორი "ყოფილი იაპონელი ჯარისკაცი" იპოვეს

*ფილიპინებზე იაპონიის წარმომადგენლები მოლაპარაკებას აწარმოებენ ორ მამაკაცთან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იაპონელი ჯარისკაცები არიან და მეორე მსოფლიო ომის დროიდან ჯუნგლებში ცხოვრობენ.*

კუნძულ მინდანაოზე ნაპოვნი იაპონელები 80 წლისანი არიან. ისინი აცხადებენ, რომ იაპონიაში დაბრუნება უნდოდათ, მაგრამ, სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარდგომის შიშის გამო, განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

წყაროები ამ შემთხვევასთან დაკავშირებით 1974 წლის ისტორიას იხსენებენ, როცა ფილიპინების ჯუნგლებში იპოვეს ლეიტენანტი ხირო ონოდა, რომელმაც არ იცოდა, რომ ომი 1945 წელს დამთავრებულიყო. თავიდან ლეიტენანტს ჩაბარება არ უნდოდა. ჯუნგლებიდან მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდა, როცა მასთან იაპონიიდან მისი ყოფილი მეთაური ჩამოფრინდა. მოგვიანებით, ონოდა ბრაზილიაში ემიგრაციაში წავიდა.

მთავრობის წარმომადგენლის ცნობით, იაპონელები კუნძულ მინდანაოდან დაუკავშირდნენ თანამემამულეს, რომელიც კუნძულზე დაღუპული ჯარისკაცების ნაშთებს ეძებდა. მათი ნივთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ჯარისკაცები მართლაც ომის ვეტერანები არიან.

**"თუ ეს სიმართლეა, დაუჯერებელ ისტორიად შეიძლება ჩაითვალოს,"** - განაცხადა მანილაში იაპონიის კონსულმა სააგენტო "ფრანს-პრეს"-თან საუბრისას.

იაპონიის საინფორმაციო საშუალებების ცნობით, მოხუცი ჯარისკაცები მეამბოხე მუსლიმურ ჯგუფებთან ერთად ცხოვრობდნენ. ერთ-ერთმა ადგილობრივ მკვიდრთან შექმნა ოჯახი.

ბი-ბი-სი-ის მიხედვით, ზემოხსენებული 2 ამბავი იმით განსხვავდება, რომ ახლახან ნაპოვნმა ჯარისკაცებმა იცოდნენ ომის დამთავრების შესახებ, მაგრამ, პირადი მიზეზებით, ფილიპინებზე დარჩენას ამჯობინებდნენ.

ორი ათეული წელია, მინდანაო მუსლიმი მეამბოხეების ხელშია და მისი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება.

იაპონიამ ფილიპინები ხელში ჩაიგდო 1941 წელს, პერლ-ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ და იქ მარიონეტული მმართველობა დააწესა.

ომის უკანასკნელი თვეების განმავლობაში ფილიპინებზე ამერიკელი ჯარისკაცების წინააღდეგ სასტიკი ბრძოლები იყო გაჩაღებული. შეტაკებები კუნძულის მთიან და გაუვალი ტყით დაფარულ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა.

იაპონურმა გაზეთმა "სანკეი სიმბუნმა" ივარაუდა, რომ ორივე იაპონელი ჯარისკაცი დივიზიონის, სახელწოდებით "პანტერა", ყოფილი წევრები უნდა იყვნენ. ამ დივიზიონმა ბრძოლებში პირადი შემადგენლობის 80 პროცენტზე მეტი ჯარისკაცი დაკარგა - ზოგიერთი დაიღუპა, ზოგიც უკვალოდ გაქრა.

გაზეთის აზრით, ამჟამად ფილიპინებზე, შესაძლოა, 40-მდე ყოფილი ჯარისკაცი ცხოვრობდეს, მათი უმეტესობა კი ჯუნგლებს აფარებდეს თავს.

*ბი-ბი-სი*

# აფეთქება იმამ ბარის მავზოლეუმთან

## სუნიტებისა და შიიტების ჰარმონიული თანაცხოვრების სიმბოლოც არაა ხელშეუხებელი

იმამ ბარის სახელობის მეჩეთი სუნიტებისა და შიიტების ჰარმონიული თანაცხოვრების სიმბოლოდ ითვლება. იმამ ბარი (სრული სახელი - შაჰ აბდულ რატიფ ყაზმი) მე-17 საუკუნეში სუფიზმის მქადაგებელი იყო, რომელიც სიკვდილის შემდეგ წმინდანად აღიარეს. ისლამურ სამყაროში სუფიური შტოს წმინდანის სახელს ისლამაბადის ახლოს მდებარე დასახლებაც ატარებს, სადაც გუშინ აფეთქება მოხდა. დღემდე ქვეყანაში განხორციელებული უამრავი ტერაქტიდან ამ მავზოლეუმს არც ერთი არ შეხებია. ტრადიციისამებრ, იმამის მავზოლეუმში წმინდანის სახელობის დღესთან დაკავშირებით არა მარტო სუნიტები და შიიტები იყრიდნენ თავს, არამედ ქრისტიანული მრევლიც ჩაჰყავდა ტურისტულ ცნობისმოყვარეობას.

გასული წლების მსგავსად, ახლაც 27 მაისს იმამ ბარის სახელობის მეჩეთში უამრავმა პილიგრიმმა მოიყარა თავი. რელიგიური დღესასწაულის მსვლელობისას მავზოლეუმთან აფეთქების ხმა გაისმა. სავარაუდოდ, თვითმკვლელი ტერორისტის მიერ განხორციელებულ ტერაქტს 18 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო 40-ზე მეტმა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო. შემთხვევის ადგილს პოლიციამ სასწრაფოდ ალყა შემოარტყა. თავდაპირველად გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქება დისტანციური მართვის ასაფეთქებელ მოწყობილობას უნდა გამოეწვია. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ტერაქტი თვითმკვლელი ტერორისტის მიერ იყო განხორციელებული. ეს თვითმხილველებმაც დაადასტურეს. როგორც სააგენტო "ფრანს პრეს"-თან საუბარში ერთ-ერთმა მოქალაქემ აღნიშნა: "ვიღაც მიუახლოვდა შეკრებილ ხალხს და თავი აიფეთქა".

**"ბევრი შიიტი მლოცველი დაიღუპა და კიდევ უფრო მეტი დაიჭრა,"** - თქვა მოლა ყამარ ჰაიდერ ზაიდიმ. ტერაქტის მსხვერპლთა შორის არიან ქალები და ბავშვებიც.

დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებას გამორიცხავენ ოფიციალური წყაროებიც.

**"ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ეს თვითმკვლელი ტერორისტის ნამოქმედარია,"** - განაცხადა ისლამაბადის პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელმა თალათ მაჰმუდ თარიქმა სააგენტო "როიტერს"-თან საუბარში.

შემთხვევის ადგილიდან არც ისე შორს პაკისტანის სახელისუფლებო ორგანოების შენობები და სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიური მისიის საელჩოებია განლაგებული. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ მუსლიმ-სუნიტურ რადიკალურ დაჯგუფებას არ აუღია საკუთარ თავზე. ეს უკანასკნელნი ისლამის სხვადასხვა ფენისაგან გაწმენდის მოთხოვნებით გამოდიან.

როგორც ცნობილია, ისლამში მისტიკური და ასკეტური მოძრაობები საერთო ტერმინით - "სუფიზმი", აღინიშნება. სუფიზმმა ისლამური რელიგიისა და, ზოგადად, ცივილიზაციის გავრცობა-განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. თუმცა, ბევრ კონსერვატორ მუსლიმს პოპულარული სუფიური პრაქტიკა დიდად არ მოსწონს. კონსერვატორთა და რადიკალთა დამოკიდებულების გათვალისწინებით, ბუნებრივია, ეჭვი მათზე ჩნდება. ეჭვების მიუხედავად, ოფიციალური წყაროები ჯერჯერობით თავს იკავებენ კონკრეტული ბრალდებისაგან.



პაკისტანის ბეჭდვისა და ინფორმაციის მინისტრის შეიხ რაშიდ აჰმედის თქმით, ჯერ ნაადრევია პასუხისმგებლობაზე საუბარი, თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ქვეყანა, დიდი ხანია, ჩაეფლო სექტების მხრიდან გამოვლენილი ძალადობის ჭაობში.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**სამხრეთი კორეა.** ჩრდილოეთ კორეის ოფიციალურ პირთა განცხადებით, ქვეყანა არ ემზადება ბირთვული იარაღის გამოცდისთვის. ამის შესახებ ინფორმაცია ჩრდილოეთ კორეის ცენტრალურმა ტელევიზიამ გაავრცელა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ბრალდებები ოფიციალური ფხენიანის მიმართ ამერიკის მიერ ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ნაწილია.

**"გარდა იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას უსამართლოდ უწოდეს ტირანული და საშინელი, ამერიკამ გაავრცელა ინფორმაცია ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული იარაღის გამოცდისათვის მზადების თაობაზე, რაც სიმართლეს არ შეესაბამება,"** - ნათქვამია განცხადებაში. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**აღმოსავლეთი ევროპა.** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და ცენტრალურ აზიაში თავისი საქმიანობის გაფართოებას გეგმავს. ამის შესახებ ბანკის პრეზიდენტმა, ჟან ლემიერმა ბელგრადში მიმდინარე ბანკის მმართველი საბჭოს ყოველწლიურ შეკრებაზე განაცხადა. მისი თქმით, 1991 წელს დაარსებული ბანკი ამჟამად 27 ქვეყანაში აწარმოებს საქმიანობას და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საბაზრო რეფორმებს უწევს ფინანსურ მხარდაჭერას.

**"იმის გამო, რომ მსოფლიოში იცვლება პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, უნდა შეიცვალოს ბანკის პოლიტიკაც,"** - აღნიშნა ლემიერმა.

მომავალ წელს დაგეგმილ შეკრებაზე ის ბანკის საქმიანობის ახალ, ხუთწლიან პროგრამას წარმოადგენს. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**ბელგია.** ევროპარლამენტმა ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონში დამატებები შეიტანა. დამატებების მიღების შემდეგ კანონი ახლა უკვე ტერორიზმის დაფინანსების პრობლემებსაც ეხება.

დამატებების პროექტი, პირველად, განსახილველად ევროპარლამენტში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტერაქტის შესახებ წარადგინეს.

ევროკომისარმა ჩარლი მაკკრივიმ საკანონმდებლო აქტი ექსტრემისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისკენ გადადგმულ დიდ ნაბიჯად შეაფასა.

მიღებული დოკუმენტი ბანკებსა და ფინანსურ ორგანიზაციებს, საეჭვო ოპერაციების თაობაზე, სამართალდამცავებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდებას აიძულებს. ამასთან ეს დოკუმენტი სამორინეებისა და საიუველირო თუ ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრე ორგანიზაციების საქმიანობასაც ეხება. **იტარ-ტასი**


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

# განცხადება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაცნობებთ, რომ 2005 წლის 19 მაისს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" (N117 გვ. 5) გამოქვეყნებული განცხადების (ტენდერის ჩატარების შესახებ) მე-2, მე-4, მე-7, მე-8 და მე-11 პუნქტები შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

2. შესყიდვის ობიექტებია:

I ლოტი:

ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ. N52 და N68-ში მდებარე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქ. თბილისში, დ. უზნაძის ქ. N52-ში მდებარე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის უკანა ფლიგელის და დ. უზნაძის ქ. N68-ში მდებარე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის I, III და ამავე შენობის ეზოში დაზიანებული სადრენაჟო სისტემის სარემონტო სამუშაო.

II ლოტი:

ბოდბის დამხმარე სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსის პირველი რიგის სარემონტო სამუშაოები.

III ლოტი:

გორის რაიონის სოფ. ვარიანის საშუალო სკოლის კაპიტალური შეკეთება.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 13 ივნისიდან 2005 წლის 15 ივნისის 17-00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52, ოთახი 222 (შესყიდვების სამმართველო).

7. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 15 ივნისიდან 17 ივნისის ჩათვლით, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

8. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 4 ივლისის 17-00 საათამდე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სატენდერო მოსაკრებლის სპეციალურ სალარე ანგარიშზე, საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიში N000141408, ბანკის კოდი 220101107 500 ლარის გადახდის შემდეგ, შემდეგ მისამართზე: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52, ოთახი 222, სატენდერო კომისიის აპარატი.

11. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამოდენიმე გამარჯვებული.

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**



# განცხადება

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია აცხადებს კონკურსს წამებისა და არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის წევრის თანამდებობაზე.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი უნდა შეიტანონ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარის ბატონ გიორგი ბოკერიას სახელზე.

კანდიდატის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს რეზიუმე, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

1. პერსონალური მონაცემები:გვარი, სახელი; სქესი; დაბადების თარიღი; ეროვნება.
2. განათლება და სხვა აკადემიური კვალიფიკაციები.
3. პროფესიული საქმიანობა:ახლანდელი თანამდებობა; სამუშაო გამოცდილება ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.
4. პუბლიკაციები და სხვა ნაშრომები.
5. ენების ცოდნა.
6. სამოტივაციო წერილი.

**საბუთები მიიღება 2005 წლის 15 ივნისამდე.**

**მისამართი: საქართველოს პარლამენტი,**
**იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.**
**თბილისი. 0118. რუსთაველის გამზ. 8.**
**საკონტაქტო ტელეფონი:93 47 42.**

თვალსაზრისი

# რუდიმენტის გაცოცხლება

შოთა მაქაცარია
საქ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის პირველი ვიცე-პრეზიდენტი

უკვე ორი თვეა, კომპანიები აღრიცხვიანობის ჟურნალს ავსებენ, რომელშიც ტარდება ყოველი შემოსული და გაყიდული ფანქარი, ლურსმანი, აბი თუ ჭიკარტი. ეს ხდება ყველა საწყობში, სავაჭრო ობიექტზე, რისთვისაც ფირმებს დამატებით აღმრიცხველების აყვანა მოუწია.

ვერ ვიტყვით, რომ ამ ჟურნალის შემოღებამდე ეს საქმე ქართულ კომპანიებში მიშვებული იყო. არც ერთ კაპიტალისტს ხელს არ აძლევს განუკითხაობა ამ სფეროში. პირიქით, ბევრ კომპანიაში, სადაც ტვირთბრუნვის მრავალსახეობა და მძლავრი ნაკადებია, დიდი ხანია, დანერგილია კომპიუტერული აღრიცხვა. მაგალითად, "ავერსის" ან "პსპ"-ს პრეზიდენტი თავის კაბინეტში მონიტორზე იმ წამსვე ხედავს, თუ რამდენი აბი გაიყიდა ლანჩხუთის საფირმო აფთიაქში. ეს 21-ე საუკუნეა.

ხოლო ჟურნალი, რომელიც ახალი კოდექსის შესაბამისად ინერგება, გვიბიძგებს გადავეშვათ შუა საუკუნეებში, როდესაც ბუღალტერია ყალიბდებოდა.

საქმე იმაშია, რომ რეალიზაციის ყველა ობიექტზე სავალდებულოა საკასო აპარატი, ხოლო როდესაც გასაღება ხდება ბითუმის ოდენობით, იწერება სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადები ან ანგარიშ-ფაქტურა, ან ორივე ერთად.

ისმის კითხვა: აღრიცხვიანობის ამდენ ფორმასთან ერთად ჟურნალის შემოღება რამ განაპირობა? თურმე, ჟურნალის არსებობა შემმოწმებელს საქმეს უადვილებს. მაგრამ ისმება შემხვედრი კითხვა: როგორ უნდა შეადაროს ის, რაც ჟურნალში წერია, იმას, რაც ობიექტზე ინახება? დიახ, ისევ და ისევ აღწერის მეშვეობით. ამას ვერც შემმოწმებელი და ვერც კონტროლქვემდებარე ვერ გაექცევიან. და თუ ეს გარდაუვალია, მაშინ უფრო მძაფრად ისმება კითხვა: რაღა საჭიროა ჟურნალი??

მახე დევს იმაში, რომ თუ ჟურნალში ერთი ერთეულითაც კი შეცდომაა დაშვებული, ობიექტი (ფირმა) 1000 ლარით ჯარიმდება. საინტერესოა, ვინც ამას ადგენდა, ესმოდა თუ არა, რომ მაგალითად, მცირე ბიზნესის პატრონი ამ თანხას მთელი წლის განმავლობაში თუ შოულობს?!

სადისტური ნორმა მიზნად ისახავს, აღმოფხვრას თვალის ახვევა, ანგარიშგების დამახინჯება და ბეგარებისგან თავის არიდება.

ბიზნესმენი გამმნაღმველს ემსგავსება, რომელსაც შეცდომის უფლება არ აქვს, ხოლო მეწარმეობა - დანაღმულ მინდორზე სიარულს. ასე უადვილებს საქმეს ახალი საგადასახადო კოდექსი მეწარმეებს.

ვინაიდან შედარების გარეშე სინამდვილის დადგენა შეუძლებელია, კოდექსი უშვებს წელიწადში სამი ინვენტარიზაციის ჩატარებას, შესაბამისი სანქციების გამოყენებით. იქ, სადაც ასობით და ათასობით დასახელების საქონელი ტრიალებს, სრული ინვენტარიზაცია, თანაც - სამჯერ წელიწადში, რამდენიმე თვით ობიექტის ბლოკირებას ნიშნავს. უკანასკნელი, როგორც აღვნიშნეთ, ძალზედ მტკივნეულია და დარღვევის არაადეკვატური, მაგრამ ეს კოდექსის ავტორებს არც დაწერისას და არც მოქმედებაში მოყვანისას არ აწუხებდათ.

მთავარია, დაუსჯელი არავინ დარჩეს!

# ნიკა გილაური პარლამენტარებს დახმარებას სთხოვს

თამარ ივანიძე

გუშინ პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა ენერგეტიკის მინისტრი დაიბარა და რეგიონების გამრიცხველიანებასა და გაზოტურბინის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოკითხა.

მინისტრის ინფორმაციით, საქართველოს მასშტაბით, რეგიონებში კომუნალური ელექტრომრიცხველების დამონტაჟება 30 ივნისისთვის დასრულდება. როგორც ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, ამ ეტაპზე მრიცხველების 75 პროცენტი უკვე დამონტაჟებულია. ცხრა დიდ ქალაქში (თბილისის გარდა) ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟებაც დასრულდება.

ინდივიდუალური მრიცხველები უფასო იქნება, თუმცა უშუალოდ მათი დამონტაჟება მოსახლეობას 30 ლარამდე დაუჯდება, რომელიც შემდგომში მოსახლეობას ელექტროენერგიის სახით დაუბრუნდება.

რაც შეეხება კომუნალურ მრიცხველებს - იგი მთლიანად უფასოა.

გილაური აცხადებს, რომ გამრიცხველიანების პროცესის დასრულების შემდეგ, სრულად იქნება შესაძლებელი იმის გარკვევა, თუ რა ენერგიას მოიხმარს მოსახლეობა და როგორია რეალური გადახდისუნარიანობა.

მინისტრის თქმით, მათ სერიოზული პრობლემები უჩნდებათ, ვინაიდან ჰესების მიმდებარე ტრიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა მიიჩნევს, რომ მათ დენი 24 საათის განმავლობაში და, თანაც, უფასოდ უნდა ჰქონდეთ; ამ საქმეში დახმარებას გილაური დეპუტატებსაც სთხოვს.


ლევან ხერხეულიძის ფოტო
გილაური არაპოპულარული ნაბიჯებისთვის მზადაა.

**"საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ თუ ელექტროენერგიის საფასურს არ გადაიხდის, ენერგოსისტემაში დღეს არსებული პრობლემების მოგვარება შეუძლებელი იქნება,"** - განაცხადა მინისტრმა.

**"ხელისუფლების უმთავრესი ამოცანაა, რომ 2006 წლის ოქტომბრისთვის საქართველოს ენერგოსისტემას დეფიციტი აღარ უნდა ჰქონდეს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია გარდაბანში ახალი აირტურბინის მშენებლობა, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყება,"** - ამბობს მინისტრი.

მისი განცხადებით, ტურბინა ექსპლუატაციაში დეკემბერში შევა, რაც საქართველოს ენერგოსისტემას დამატებით 110 მეგავატს მისცემს.

# რეგიონებში გამრიცხველიანება გრძელდება

*როგორც "24 საათს" სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან აცნობეს", მიმდინარე კვირაში ხარაგაულის მომსახურების ცენტრმა რაიონის 40-ზე მეტი ტრანსფორმატორის აბონენტებს აღუდგინა ელექტროენერგიის მიწოდება მას შემდეგ, რაც მათ რიცხული დავალიანება მთლიანად დაფარეს.*

კომპანის ინფორმაციით, თითოეულ ტრანსფორმატორზე არსებული ხარჯის შესახებ ინფორმაცია აბონენტებს მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ სისტემატურად მიეწოდებათ. ინფორმაცია ამის შესახებ გამოიკვრება ტრანსფორმატორზე, ყველასთვის ხელმისაწვდომ საჯარო ადგილზე, რათა მოსახლეობამ საკუთარი ხარჯების გაკონტროლება თავად შეძლოს.

**"დადგენილი წესის თანახმად, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის გამჭვირვალობის მიზნით, მომხმარებლებიდან თანხების მოკრებას აწარმოებს მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელიც თითოეული აბონენტისთვის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს კომპანიის სალაროში იღებს. თანხების ხელზე მიცემა დაუშვებელია,"** - ნათქვამია კომპანიის მიერ გაზეთისთვის გამოგზავნილ ინფორმაციაში.

მოსახლეობის ინფორმირების პარალელურად, კომპანია განაგრძობს მკაცრ პოლიტიკას არგადამხდელი აბონენტების მიმართ. გათიშულია დავალიანების მქონე ტრანსფორმატორები.

**"მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდისთანავე, მომხმარებლებს შუქი კვლავ მიეწოდება,"** - ამბობენ კომპანიაში.

მათივე ინფორმაციით, სატრანსფორმატორო პუნქტებში დამონტაჟებულმა კომუნალურმა მრიცხველებმა ენერგოკომპანიას საშუალება მისცა, ზუსტად აღერიცხა ელექტროენერგიის ხარჯი თითოეული ტრანსფორმატორის მიხედვით.

კომუნალური გამრიცხველიანება სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" დასავლეთის ცენტრალურმა ფილიალმა, იმერეთის რეგიონში 11 აპრილიდან დაიწყო. მიუხედავად სტიქიური მოვლენებისა, სამონტაჟო სამუშაოები გაწერილი გეგმა-გრაფიკით ყველა რაიონში ინტენსიურად მიმდინარეობს. კომუნალური გამრიცხველიანების პროცესი, გეგმით, 22 ივნისს დასრულდება. ამ პერიოდისთვის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რაიონებში სულ 3368 მრიცხველი, აქედან, მარტო იმერეთის რეგიონში - 2970 კომუნალური მრიცხველი დამონტაჟდება.

როგორც "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" აცხადებენ, მათთვის აღრიცხვიანობის მოწესრიგება უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

**"ის ამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას, ზრდის მისი საფასურის ამოღებას და, შედეგად, ენერგობალანსში გარღვევას ამცირებს. კომუნალური გამრიცხველიანების პროექტის განხორციელება 2005 წლის აპრილიდან დაიწყო. კომპანიის მთელს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სატრანსფორმატორო პუნქტებში საბითუმო მრიცხველების დამონტაჟების პროცესი მიმდინარე წლის ივნისში დასრულდება,"** - ამბობენ კომპანიაში.

*24 საათი*

მოკლედ

## აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები პენსიას აფხაზეთის ბანკებში მიიღებენ

აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქე პენსიონერები რუსეთის პენსიას აფხაზეთის ბანკებში მიიღებენ. სურვილის შემთხვევაში, ბანკის თანამშრომლები მათ კუთვნილ პენსიას სახლში მიუტანენ. შესაბამისი გადაწყვეტილება აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ანქვაბმა და ვიცე-პრემიერმა ლეონიდე ლაკერბაიამ ბანკ "მოსკოვის" სოჭის ფილიალის დირექტორთან ოლეგ ბაირამოვთან, ამავე ბანკის ინკასაციის სამმართველოს უფროსის მოადგილესთან უგო რეილიანთან და ადლერის საპენსიო ფონდის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მიიღეს.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საპენსიო ფონდის მონაცემებით, დღეისათვის აფხაზეთში რუსეთის პენსიას 670 რუსული რუბლის, ანუ 22 აშშ დოლარის ოდენობით, 30 ათასზე მეტი მოქალაქე იღებს. ლეონიდე ლაკერბაიას განცხადებით, შეხვედრაზე აფხაზეთში მცხოვრებ პენსიონერთა მიერ სხვადასხვა ბანკებში კუთვნილი თანხის მიღების საკითხი, ასევე, საპენსიო თანხების ფოსტით გადაგზავნისა და, საჭიროების შემთხვევაში, სახლებში მიტანის შესაძლებლობები განიხილეს. მისივე თქმით, უახლოეს ხანებში აფხაზეთში მცხოვრები პენსიონერებისთვის თანხების გაცემა გამარტივდება და ისინი "კმაყოფილები დარჩებიან".

აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისათვის პენსიების გაცემის პროცესი 2004 წლის გაზაფხულზე დაიწყო. აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისათვის პენსიების გადაფორმების პროცესი ამჟამადაც მიმდინარეობს.

*ინტერ-პრესი*

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ამბროლაურის რაიონის სოფელ საკეციის წყალსადენის მშენებლობა.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ზნაკვის სათემო კავშირთან "საკეცია"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"საკეცია"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ამბროლაურის რაიონი,**
**სოფელ ზნაკვა, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი ამირან კიკვაძე, სათემო კავშირი "საკეცია"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 3 ივნისიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 600** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ამბროლაურის რაიონი,**
**სოფელ ზნაკვა, საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი ამირან კიკვაძე, სათემო კავშირი "საკეცია"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 4 ივლისი 13 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

# არასამთავრობოები "საუკუნის პროექტს" ისევ აკრიტიკებენ

*ორი დღის წინ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენში პირველი ნავთობის გაშვების ფაქტი საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის ეკონომიკაში უმნიშვნელოვანეს ფაქტად შეაფასა. თუმცა, მილსადენის პროექტის განხორციელებისას დაშვებულ დარღვევებზე საუბრები არც ამის შემდეგ ნელდება. გუშინ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" და გლობალური გარემოსდაცვითი ორგანიზაციის, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობამ სპეციალური განცხადებები გაავრცელეს, სადაც "საუკუნის პროექტის" განხორციელებისას დაშვებულ სერიოზულ ხარვეზებზეა საუბარი.*

დიანა ჩაჩუა

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელებისას დაშვებულ სამართლებრივ დარღვევებზე საუბრობს, გლობალური გარემოსდაცვითი ორგანიზაციის, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობის განცხადებით კი, მათ კარგად აქვთ გაცნობიერებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მნიშვნელობა, თუმცა მიაჩნიათ, რომ "საუკუნის პროექტის" ბორჯომის მონაკვეთი, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, უსაფრთხო არ არის. მეტიც, ფონდის განცხადებით, მილსადენის ბორჯომის მონაკვეთზე გარემოსდაცვითი კატასტროფის რისკი საკმაოდ მაღალია.

კერძოდ, როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, **"მაშინ, როდესაც პროექტის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა 25 მაისს, ქალაქ ბაქოში საზეიმოდ აღნიშნეს "საუკუნის პროექტად" წოდებულ მილსადენში ნავთობის პირველი ნაკადის გაშვება, თამამად შეიძლება, ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობისათვის დღის წესრიგში ჯერ კიდევ დგას ნავთობსადენის პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილი უამრავი გადაუჭრელი საკითხი."**

როგორც ასოციაციაში განმარტავენ, პროექტის განმახორციელებელი კომპანიების მხრიდან დღემდე ირღვევა იმ მიწის მესაკუთრეთა უფლებები, რომელთა ნაკვეთებზეც მილსადენის სამშენებლო დერეფანმა გაიარა, მილსადენის მშენებელი კომპანიები უხეშად არღვევენ ნავთობსადენის მშენებლობაზე დასაქმებული, საქართველოს მოქალაქეების კანონით გარანტირებულ შრომით უფლებებს, კვლავ მოუგვარებელია ნავთობსადენის მშენებლობის გამო დაზიანების საფრთხის ქვეშ მყოფი, საქართველოს ისტორიულ-კულტურული ძეგლების დაცვის საკითხები, და სხვა.

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მოუწოდებს როგორც პროექტის განმახორციელებელ კომპანიებს, ისე ხელისუფლებას, რომ მიიღონ ზომები პროექტის განხორციელების ფარგლებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად, რათა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენმა დაზარალებული მოსახლეობისთვისაც შეიძინოს "საუკუნის პროექტის" მნიშვნელობა.

გლობალური გარემოსდაცვითი ორგანიზაციის, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის **(WWF)** კავკასიის წარმომადგენლობამ თავისი პოზიცია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის თაობაზე საჯაროდ ჯერ კიდევ 2001 წელს გამოხატა. მაშინ ისინი აცხადებდნენ, თუ რამდენად სარისკო იყო გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ნავთობსადენის ბორჯომის ზონის ზედმიწევნით რთულ მონაკვეთზე გაყვანა.

**"მომდევნო წლებში, ფონდის მიერ მოწვეული ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების დახმარებით, სხვადასხვა დოკუმენტების თუ ექსპერტთა დასკვნების გაცნობით და ნავთობსადენის მშენებელ კომპანიასთან და მის პარტნიორებთან არაერთი სამუშაო შეხვედრის შედეგად, ეს საკითხი უფრო საფუძვლიანად იქნა ჩვენ მიერ შესწავლილი,"** - ციტატა ფონდის მიერ გავრცელებული წერილიდან.

ფონდის განცხადებით, ბორჯომის მონაკვეთზე გარემოსდაცვითი საკითხების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ გადაუწყვეტელია და სერიოზულ კვლევას და ცვლილებებს საჭიროებს. კერძოდ, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობის ინფორმაციით, პრობლემები შემდეგში მდგომარეობს: მილსადენი ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილს კვეთს და, ნავთობის დაღვრის შემთხვევაში, ტბა ტაბაწყურის და წალკის წყალსაცავის, აგრეთვე, მდინარე ქციის დაბინძურებაა მოსალოდნელი. ამას გარდა, არსებობს ჭარბტენიანი ტერიტორიების და მიგრაციისას ფრინველთა გასაჩერებელი ადგილების დაზიანების საშიშროება. **"მილსადენი გადის მეწყერსაშიშ მონაკვეთზე ბორჯომის რაიონში. მილსადენის გარღვევის შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მდინარეების ეფექტიანად გაწმენდა და მშენებელი კომპანიის მიერ შემოთავაზებული, ამ პრობლემის მოგვარების ზომების მიუხედავად, მდინარეები და მოსახლეობის წყალმომარაგების სისტემა განუსაზღვრელი დროით შეიძლება დაბინძურდეს. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ეს მოსაზრება ეყრდნობა ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა ქვეყნებში შეძენილ მდიდარ გამოცდილებას მდინარეთა სისტემებში ანალოგიურ პრობლემების მოგვარების მცდელობისას,"** - ვკითხულობთ WWF-ს კავკასიის წარმომადგენლობის განცხადებაში.

გარდა ამისა, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობაში მიაჩნიათ, რომ მილსადენის პროექტის განხორციელებისას, მილსადენის ალტერნატიული მარშრუტები ამომწურავად არ იყო შესწავლილი და, ხშირად, ნავთობსადენის მშენებელი კომპანია გადაწყვეტილებებს გარემოსდაცვითი ნებართვის პირობების თვითნებურ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით იღებდა. **"ფართო საზოგადოება არ იყო საქმის კურსში ჩაყენებული, მილსადენის მშენებლობის დროს წარმოქმნილ ტექნიკურ პრობლემებთან დაკავშირებით. საზოგადოებისათვის ცნობილია მხოლოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პოზიტიური ასპექტები, მაგრამ ცოტა ინფორმაციას ფლობს მილსადენის გარღვევის შემთხვევაში არსებულ რისკთან დაკავშირებით,"** - ნათქვამია გუშინ გავრცელებულ განცხადებაში.

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობა აცხადებს, რომ დიალოგი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდსა და ნავთობსადენის მშენებელ კომპანიას შორის ვერ შედგა. **"ისევე, როგორც პროექტის დამუშავების საწყის ეტაპზე, ჩვენ დღესაც მიგვაჩნია, რომ მიუხედავად გაწეული სამუშაოებისა და მილსადენის უსაფრთხოებისათვის მიღებული უპრეცედენტო ზომებისა, გარემოსდაცვითი კატასტროფის რისკი მილსადენის ბორჯომის მონაკვეთზე საკმაოდ მაღალია, ვინაიდან ყველა ის საკითხი, რომელიც, ჩვენი აზრით, გადახედვას და შემდგომ კვლევას მოითხოვდა, დღესაც ბოლომდე და დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტილი არ არის. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობას კარგად აქვს გაცნობიერებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მნიშვნელობა, მაგრამ ყოველივე ზემოთქმულზე დაყრდნობით, ფონდს მიაჩნია, რომ "საუკუნის პროექტის" ბორჯომის მონაკვეთი, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით, უსაფრთხო არ არის,"** - აცხადებს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობა.

# თურქებმა ასპინძისა და დუშეთის რაიონები მოინახულეს

თურქეთის მიწათმოქმედების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ქერის სელექცია-მეთესლეობის ჯგუფის წარმომადგენლებმა ასპინძისა და დუშეთის რაიონებში ქერის ის ნაკვეთები მოინახულეს, სადაც IFAD-ის პროგრამის ფარგლებში, ფაკულტატური ქერის 5 ჯიშის გამოცდა მიმდინარეობს. ჯგუფის შემადგენლობაში აღნიშნული 5 ჯიშიდან 3-ის ("აიდან ჰამინი", "ავჯი", "ტარმი") ავტორები იმყოფებოდნენ, რომლებიც აღფრთოვანებულნი დარჩნენ როგორც სადემონსტრაციო ნაკვეთებში დათესილი საგაზაფხულო ქერის ზრდა-განვითარებით, ისე ქართველი ფერმერების პროფესიონალიზმით.

ქერის წარმოების პროექტს ახორციელებს IFAD-ის პროგრამის მეცხოველეობისა და მემცენარეობის კომპონენტების განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაცია MADI (მთიანი რეგიონების განვითარების საერთაშორისო ასოციაცია).

ასპინძის რაიონში ქერი დათესილია 43 ჰა (სოფლები - ოშორა, იდუმალა, რუსთავი), ხოლო დუშეთის რაიონში - 10 ჰა ფართობზე (სოფლები - ლაზვიანი, საკრამული, მლაშე). ამჟამად, აღმოცენებულ ქერს 12-დან 20-მდე ნაბარტყი გააჩნია, რაც ქერის მაღალი მოსავლის მიღების გარანტიას იძლევა. გაზაფხულზე დათესილი ქერი ზრდა-განვითარებით უკვე დაეწია შემოდგომაზე დათესილ ადგილობრივ ჯიშებს. თურქეთის ჯიშთა გამოცდის სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, აღნიშნული ჯიშების მოსავლიანობა 1 ჰა ფართობზე 5-6 ტონას შეადგენს. ამჟამად, აღნიშნული ჯიშების გამოცდა მიმდინარეობს საქართველოს ჯიშთა გამოცდისა და სელექციურ მიღწევათა სახელმწიფო ინსპექციის მეთვალყურეობის ქვეშ, რომლის დასკვნის საფუძველზე, საქართველოში მათი რეგისტრირება მოხდება. ქერის ეს ჯიშები ხასიათდება უნიკალური თვისებებით - ითესება წელიწადის სამივე აგროვადაში - ზამთრისპირას, გაზაფხულზე და შემოდგომაზე, არის როგორც სალუდე, ისე სასურსათო დანიშნულების, და ტენით ნაკლებად უზრუნველყოფილ ზონებში მაღალი და ხარისხიანი მოსავლის მოცემა შეუძლია.

თურქი სტუმრები საქართველოს 22-ვე კლიმატურ-ნიადაგური მახასიათებლებით დაინტერესდნენ, რათა სამომავლოდ, ამ ზონების მიხედვით, გამოსაცდელად შეირჩეს საქართველოსთვის როგორც ტრადიციული, ისე არატრადიციული კულტურები. მაგალითად, ისეთი პარკოსანი კულტურა, როგორიცაა ოსპი-უგრეხელი, მუხუდო, საშემოდგომო სასურსათო ზეთის საწარმოებელი ორნულოვანი რაფსი.

*24 საათი*

# თავისუფლების ინსტიტუტი მაია ნიკოლეიშვილის ბრალდებებს ბრალდებებითვე პასუხობს

პირველი გვერდიდან

როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი განმარტავს, იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელს რამაზ ღულაძეს ყველა ავადმყოფი პატიმრის ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობაში ეჭვი შეაქვს, რასაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირების გულგრილი დამოკიდებულება ემატება და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში დროულად გადაყვანა ვერ ხერხდება.

გარდა ამისა, დამოუკიდებელი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი არასამთავრობო ორგანიზაციებს - "თავისუფლების ინსტიტუტსა" და "ცენტრ ემპათიას" გამოძიებაზე ზეწოლაში ადანაშაულებს. დამოუკიდებელმა ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნულმა ორგანიზაციებმა განზრახ მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ დავით მინდაძეს სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს და დასკვნა არასაკმარის მონაცემებზე დაყრდნობით შეადგინეს. დასკვნის თანახმად, დავით მინდაძე დაკავების შემდეგ პოლიციის სტრუქტურებში სასტიკად აწამეს. **"პრაქტიკულად, არც ერთი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა არ მოიცავს პატიმრის ცემა-წამების შესახებ ცნობებს. ამ შემთხვევაში, არასამთავრობო სექტორისგან უკვე ფაქტების დამახინჯებასთან გვაქვს საქმე, რაც, სავარაუდოდ, არაპროფესიონალიზმის გამო ან ვილაცის გულის მოგების მიზნით ხდება,"** - განაცხადა მაია ნიკოლეიშვილმა.

საუბარია დეპუტატ გიუაშვილის მკვლელობის მცდელობაში ბრალდებულ დავით მინდაძეზე, რომელმაც მის მიმართ გამოჩენილი ცემა-წამების თაობაზე დახმარებისთვის "თავისუფლების ინსტიტუტს" განცხადებით მიმართა. "თავისუფლების ინსტიტუტმა" თავის დროზე ამ ფაქტს პრესკონფერენციაც კი მიუძღვნა. მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მინდაძე ვარკეთილში დააკავეს. დაკავების ოპერაციას ხელმძღვანელობდა შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე დავით კეკუა. "თავისუფლების ინსტიტუტის" ინფორმაციით, მინდაძე მიიყვანეს დილომში, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში, აიყვანეს მე-12 სართულზე, სადაც მას სასტიკად სცემეს. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოკვლეული მასალებით, მინდაძის ცემის მიზეზს წარმოადგენდა აღიარებითი ჩვენების მიღების სურვილი, რის გამოც, მინდაძეს თავის არეში ჩარტყმული ჰქონდა ბოქლომი, ასევე, ჩატეხილი ჰქონდა სახის ძვლები, რასაც სამედიცინო ექსპერტიზაც (ჩატარდა ობიექტური და ინსტრუმენტული ექსპერტიზა და კომპიუტერული ტომოგრაფია) ადასტურებს.

მინდაძე ამჟამად N7 იზოლატორში იმყოფება. ის დღემდე პერიოდულად კარგავს გონს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაკავებულის ციხეში გადაყვანისას არ მომხდარა მისი, როგორც დაზიანებებით შეყვანილი პირის, რეგისტრაცია. თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლებს მან მისცა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომ ციხეში გადაყვანისას მისი დაზიანებები არავის შეუმოწმებია.

დავით მინდაძის შემთხვევასთან დაკავშირებით თავისუფლების ინსტიტუტმა გენერალურ პროკურატურას სთხოვა, აღნიშნული საქმე ჩამორთმეოდა თბილისი პროკურატურას, რადგან, ეჭვმიტანილის განცხადებით, სწორედ იმ გამომძიებლის თანდასწრებით ხდებოდა მისი ცემა, ვინც მის საქმეს იძიებდა. მინდაძის საქმე, მართალია, გენერალურ


მაია ნიკოლეიშვილი თავისუფლების ინსტიტუტს ბრალდებებს უყენებს.

პროკურატურას გადაეცა გამოსაძიებლად, მაგრამ პასუხისგებაში არც ერთი ის პოლიციელი არ მიუციათ, ვინც მის ცემა-წამებაში მონაწილეობდა. თავისუფლების ინსტიტუტის წევრის თეა თუთბერიძის თქმით: **"ვის პასუხისმგებლობაზეა ლაპარაკი, როდესაც დავით კეკუა, რომელმაც უშუალოდ მიიღო მონაწილეობა მის ცემაში, ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ანუ იმ ქვედანაყოფის უფროსის მოადგილეა, რომელსაც მსგავსი საქმეების მოკვლევა ევალება".**

ამასთან, თეა თუთბერიძემ გენერალურ პროკურატურაში და დავით მინდაძის მეუღლესთან საუბრისას გაარკვია, რომ დავით მინდაძესთან მაია ნიკოლეიშვილი, გაურკვეველი სტატუსით, ისე შევიდა, რომ თავად მინდაძეს არათუ ექსპერტიზის, არამედ მასთან შეხვედრის სურვილიც კი არ ჰქონდა.

**"როდესაც ექსპერტი ექსპერტზას ატარებს, ის ან ბრალმდებლის ან ბრალდებულის, ანდა დაზარალებული მხარის მოთხოვნით უნდა მოქმედებდეს. მაია ნიკოლეიშვილი არც ერთი მხარის მიერ მინიჭებული უფლებამოსილებით არ ყოფილა აღჭურვილი; მეტიც, თავად მინდაძე მასთან შეხვედრის წინააღმდეგი იყო. შესაბამისად, მის დასკვნას არავითარი ძალა არ აქვს".**

რაც შეეხება მაია ნიკოლეიშვილს პრეტენზიებს "თავისუფლების ინსტიტუტის" მიმართ, თეა თუთბერის თქმით: **"თუ მაია ნიკოლეიშვილს ჰგონია, რომ საქართველოში მის გარდა ექსპერტი არ არსებობს, ძალიან ცდება. მისი განცხადებები, უბრალოდ, სასაცილოდაც კი გამოიყურება. ცნობისთვის, თუკი მან არ იცის, ვეტყვი, რომ მე არ ვარ ექსპერტი, ვარ მონიტორინგის საბჭოს წევრი და ჩემს ანგარიშებში ვწერ იმას, რასაც ვნახავ. რაც შეეხება "ემპათიას", მისი ექსპერტები საკმაოდ კომპეტენტურები არიან და ნიკოლეიშვილის გასაკრიტიკებელი არაფერი აქვთ; მით უმეტეს, რომ კარგად მახსოვს შემთხვევები, როცა აშკარად სასტიკად ნაცემი ადამიანისთვის ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ მაია ნიკოლეიშვილს დასკვნაში დაუწერია, რომ მას დაზიანებები ვერ აღმოუჩინა".**

*24 საათი*

# პირადობის დამადასტურებელი მოწმობა უფასოდ გაიცემა

საქართველოს მოქალაქეები პირადობის დამადასტურებელ მოწმობას უფასოდ აიღებენ. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა იუსტიციის სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტს "სახელმწიფო ბაჟისა" და "საქართველოს მოქალაქეთა" და "საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის" წესის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ამ ცვლილებებით უქმდება პირადობის მოწმობის ასაღებად დაწესებული 2.50-ლარიანი გადასახადი. იუსტიციის სამინისტრო ამის მოტივად იმას ასახელებს, რომ მოსახლეობის გარკვეულ ფენებს ეს მცირედი გადასახადი მაინც მძიმე ტვირთად აწვებათ და მოქალაქეთა ნაწილი, ამის გამო, ისევ საბჭოთა პასპორტით სარგებლობს.

ამ ცვლილებებით მთავრობა, ასევე, აუქმებს საქართველოში მცხოვრები უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების ბინადრობის მოწმობის აღებაზე დაწესებულ 15-ლარიან გადასახადსაც.

ცვლილებების პროექტი პლენარულ სხდომაზე, სავარაუდოდ, მომავალ სასესიო კვირას გავა.

*მედიანიუსი*

# ომბუდსმენმა იმერეთის ადმინისტრაციასთან მემორანდუმი გააფორმა

გუშინ ქუთაისში სახალხო დამცველის ოფისსა და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც, ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, მხარეში ურთიერთკონტროლსა და დარღვევებზე სწრაფ რეაგირებას ითვალისწინებს.

მემორანდუმის გაფორმების პროცესს იმერეთის მხარის 12-ვე რაიონის პოლიციის უფროსები დაესწრნენ, რომლებმაც მზადყოფნა გამოთქვეს, აქტიურად ითანამშრომლონ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით. ისინი აცხადებენ იმასაც, რომ რეგიონში ადამიანის უფლებები არ ირღვევა.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლის თეა თუთბერიძის განცხადებით, იმერეთში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა - სახალხო დამცველი პირველად აფორმებს მემორანდუმს თბილისს გარეთ.

მსგავსი შეთანხმება მანამდე შინაგან საქმეთა მინისტრთან ვანო მერაბიშვილთან გაფორმდა.

*ინტერ-პრესი*

# პროკურატურის დღისთვის ახალმოსახლეობას აღნიშნავენ

საქართველოს პროკურატურის დღესთან დაკავშირებით ორშაბათს, 30 მაისს თბილისის სამ რაიონში პროკურატურის ახლად გარემონტებული ოფისები გაიხსნება. როგორც გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, "პროკურატურის განვითარების პროექტის" ფარგლებში, დედაქალაქში ევროსტანდარტების შესაბამისად გარემონტებული ვაკე-საბურთალოს და გლდანი-ნაძალადევის რაიონების პროკურატურების შენობები გაიხსნა.

ამავე პროექტის ფარგლებში, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა სიღნაღისა და აჭარის საოლქო პროკურატურებში. მიმდინარე წლის ბოლომდე კი პროკურატურის შენობათა სარეაბილიტაციო სამუშაოები მთელი საქართველოს მასშტაბით დასრულდება.

"პროკურატურის განვითარების პროექტის" ფარგლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაშიც, რომლის პრეზენტაციაც 30 მაისს გაიმართება.

*ინტერ-პრესი*

# მთავრობა პარლამენტართა მიერ შემუშავებულ ცვლილებებს არ ეთანხმება

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ მომზადებულ კანონში - "პატიმრობის შესახებ" - ცვლილებებს მთავრობა არ ეთანხმება, თუმცა ოფიციალური დასკვნა მას ჯერ არ წარმოუდგენია. აღნიშნული კანონპროექტი ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა განიხილა.

კანონპროექტის მიხედვით, აუცილებელი ხდება, საპყრობილედან გაყვანილი პატიმარი ექიმმა გარეგნულად შეამოწმოს გამოძიების მიმდინარეობის პროცესშიც და საპყრობილეში დაბრუნების შემდეგაც. როგორც გუშინ კომიტეტის სხდომაზე მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, საპყრობილეში სულ ხუთი ექიმია გათვალისწინებული და ისინი ფიზიკურად ვერ მოასწრებენ გაყვანილი და შემოყვანილი პატიმრების შემოწმებას. მისივე თქმით, საპყრობილედან, სხვადასხვა მიზნით, დღეში 100-მდე პატიმარი გაჰყავთ და შეჰყავთ. მართალია, კომიტეტმა არ გაითვალისწინა მთავრობის აღნიშნული შენიშვნა, კანონპროექტი განიხილა და დადებითი დასკვნა გააკეთა. კომიტეტის წევრები მიიჩნევენ, რომ თუკი ექიმები დაკავებულები არიან, საჭიროა საშტატო ერთეულების გაზრდა, რათა საპყრობილედან გაყვანილი და შეყვანილი პატიმრების ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება შეუფერხებლად იყოს უზრუნველყოფილი.

*ინტერ-პრესი*

# დუმის დეპუტატები მზად არიან, სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი გააუქმონ

ცოცხლად გადარჩენილი ტერორისტის გამო, რუსეთში, შესაძლოა, სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი მოიხსნას. ყოველ შემთხვევაში, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ვლადიმირ ვასილევის თქმით, არ არის გამორიცხული, რომ სათათბირომ განიხილოს ეს საკითხი. ამის მიზეზი ბესლანში მძევლების აყვანაში მონაწილე ერთადერთი ცოცხლად გადარჩენილი ტერორისტი ნურფაშა კულაევია. ვასილევის თქმით, მორატორიუმის გაუქმების შემთხვევაში, იმ დონის ტერორისტები, როგორიც კულაევია, სიკვდილით დაისჯებიან. თუმცა, კომიტეტის თავმჯდომარე იმასაც დასძენს, რომ, მისი პირადი აზრით, მორატორიუმის გაუქმება არ შეიძლება.

**"როდესაც მორატორიუმის შემოღების საკითხი განიხილებოდა, მე მიმაჩნდა, რომ ეს ნაადრევი იყო, მაგრამ ახლა მისი გაუქმება ზიანის მომტანი იქნება,"** - ამბობს ვასილევი.

**"მორატორიუმის გაუქმების შემთხვევაში, ჩვენ არ გადმოგვცემენ დამნაშავეებს,** - ამბობს კომიტეტის თავკაცი, - **საერთაშორისო ნორმების თანახმად, ქვეყანა, რომელიც ამა თუ იმ პირის გადაცემას ითხოვს, ვალდებულია, წარადგინოს გარანტია, რომ ეს პირი არ იქნება სიკვდილით დასჯილი."**

გარდა ამისა, ვასილევის თქმით, რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, **"სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმის გაუქმება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც რუსეთის ფედერაციის ყველა სუბიექტი შემოიღებს ნაფიც მსაჯულთა სისტემას".**

# მკვლელი ამწედან ვერ ჩამოხსნეს

ფლორიდის მცხოვრები, რომელიც მეგობარი ქალის ცემით მკვლელობაშია ეჭვმიტანილი, ატლანტაში 30-სართულიანი სახლის მშენებლობაზე მდგარ ამწეზე აძვრა და თვითმკვლელობით იმუქრება. გუშინ საღამომდე მასთან ყოველგვარი მოლაპარაკება უშედეგოდ სრულდებოდა.

პოლიციის მიერ ჩატარებული გამოიძიების შედეგად დადგინდა, რომ მამაკაცი, რომელიც ოთხშაბათს დღის ოთხ საათზე ამწეზე ავიდა და მას შემდეგ იქ ზის, 41 წლის კარლ ედვარდ როლანდია. მას ფლორიდის სამართალდამცველები 36 წლის ჯენიფერ გონსალესის მკვლელობას აბრალებენ. როლანდის მეგობარი ქალის გვამი სამშაბათს იპოვეს მისივე სახლის გვერდით. ექსპერტების დასკვნით, ქალი ცემით იყო მოკლული. მოწმეთა განცხადებით, უკანასკნელად გონსალესი სწორედ მეგობარ მამაკაცთან ერთად ნახეს. ოთხშაბათს კი უკვე მის დაპატიმრებაზე ორდერი გაიცა.

როგორც გაირკვა, ოთხშაბათს ეჭვმიტანილმა მშენებლობის მუშები მუქარით აიძულა, ამწეზე აეყვანათ და იქ გამაგრდა. პოლიცია შემთხვევის ადგილზე მაშინვე მივიდა. უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ მას საკვებისა და წყლის მიწოდება შესთავაზეს, რაზეც მან კატეგორიული უარი განაცხადა. შემთხვევის ადგილზე მყოფთა თქმით, ის ძალიან დაღლილია და ცოტა ხნით ფეხზე მდგომს ჩამოეძინა კიდეც. იმისათვის, რომ კვლავ არ დაეძინოს და არ ჩამოვარდეს, პოლიცია მას სირენებით აფხიზლებს.

თავდაპირველად პოლიციას სურდა, რომ ამწის ქვეშ ბადე ან გასაბერი ბალიშები გაეშალა, იმ შემთხვევისთვის, თუ ის მართლაც დააპირებდა გადმოხტომას. თუმცა, მერე მიხვდნენ, რომ კარლ ედვარდ როლანდი იმდენად არის დაშორებული მიწიდან,



რომ ასეთი ზომების მიღებას აზრი არ აქვს. ამწის სიმაღლე 50 მეტრია.

პოლიციის ამოცანას, როგორმე მოელაპარაკოს ეჭვმიტანილს, ისიც ართულებს, რომ პლატფორმაზე, სადაც ის იმყოფება, მხოლოდ სპეციალური დანადგარის დახმარებით შეიძლება ასვლა.

როლანდის უმცროსმა დამ ძმასთან გასაუბრების სურვილი გამოთქვა, რაზეც უარი მიიღო. სპეციალისტების თქმით, ასეთ დროს ახლობლებთან საუბარი ადამიანს აღაგზნებს და გაუთვითცნობიერებელი ნაბიჯის გადადგმისკენ უბიძგებს.

სანამ როლანდი ამწეზე იმყოფება, გაირკვა, რომ მას სამართალდამცველ სტრუქტურებთან აქამდე უკვე სამჯერ ჰქონია საქმე. ერთხელ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მანქანის ტარებისთვის, მეორედ - ვილაცის ცემის, მესამედ კი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს დელეგაცია, იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ეკატერინე ტყეშელაშვილის ხელმძღვანელობით, პრობაციის სისტემის რეფორმის პროექტის ფარგლებში ესტონეთს გაემგზავრა, საიდანაც 31 მაისს ჰოლანდიაში გადაინაცვლებს. დელეგაციის შემადგენლობაში არიან - საოლქო სასამართლოს მოსამართლე ომარ ჯორბენაძე, შს მინისტრის მოადგილე გია გეწაძე, პარლამენტის წევრი პაატა ლეჟავა, პროკურორი მერაბ სიჭინავა და იუსტიციის სამინისტროს პრობაციის დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე არაყიშვილი. აღნიშნული ვიზიტი ორგანიზაციამ "ციხის საერთაშორისო რეფორმამ" დააფინანსა და მისი მიზანია ესტონეთისა და ჰოლანდიის პრობაციის დეპარტამენტების სტრუქტურისა და პრობაციონერებისათვის გამიზნული სხვადასხვა პროგრამის შესწავლა. დელეგაცია საქართველოში 5 ივნისს დაბრუნდება. **24 საათი**

■ ■ ■

**დუშეთი.** დუშეთის რაიონის სოფელ არაგვისპირში პოლიციამ გააჩერა ავტომანქანა "კამაზი", რომელსაც სავიზო რეჟიმის დარღვევით მართავდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ქალაქ ბესლანში მცხოვრები, 36 წლის მაირბეკ ტემირაევი. მძღოლი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გადაეცა, რომელიც 25 მაისს დეპორტირებული იქნა საქართველოს ტერიტორიიდან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, რეგიონული სამმართველო "გარდაბნის" სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება "წითელ ხიდზე" მესაზღვრეებმა საქართველოს მოქალაქე დააკავეს. იგი ყალბი პასპორტით ცდილობდა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას. აღნიშნული პირი შემდგომი რეაგირებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს რუსთავის საპატრულო პოლიციის განყოფილებას გადაეცა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ხობი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო განყოფილებისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მე-9 განყოფილების თანამშრომლებმა ხობის რაიონის სოფელ პირველი მაისის ტერიტორიაზე დააკავეს ზუგდიდში მცხოვრები, 30 წლის მერაბ ქირია, რომლისგანაც ამოიღეს 0.25 გრამი ჰეროინი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იმერეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ქურდობისთვის ძებნილი, 46 წლის აკაკი მიქაბაძე. ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარ სამმართველოს თანამშრომლებმა კი ქურდობისთვის ძებნილი, 22 წლის სიმონ მამედოვი დააკავეს. დააკავეს, აგრეთვე, თაღლითობისთვის ძებნილი, 38 წლის ვასილ ნარინდოშვილი. დაკავებულები არიან - მკვლელობის მცდელობისათვის ძებნილი, 42 წლის გელა ქერქაძე და გამოძალვისთვის ძებნილი, 36 წლის ელდარ ბერიძეც. **მედიანიუსი**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________
______________________________

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი** ..............................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..............................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური [illegible];
2. მეტროს სადგური [illegible];
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური [illegible];
5. მეტროს სადგური [illegible];
6. მეტროს სადგური [illegible];
7. მეტროს სადგური [illegible];
8. მეტროს სადგური [illegible];
9. მეტროს სადგური [illegible];
10. [illegible] 45 [illegible] "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე [illegible] 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77, იურიდიული ოფისი "გაპი".

# „ანტინომენკლატურული რევოლუციები" - პოსტსაბჭოურ ელიტათა ლეგიტიმურობის კრიზისი

დასასრული.
დასაწყისი იხ.№977

ნიკა იმნაიშვილი

### განახლების სულისკვეთება

რევოლუციური ტალღის შედეგად დამხობილ საბჭოურ ელიტებს (ისინი "პოსტსაბჭოურად" იქცნენ მხოლოდ იმის შედეგად, რომ "პრიხვატიზებული" კაპიტალით გაზავდნენ) ის ანათესავებთ, რომ ვერ შექმნეს ქვეყანაში განახლების, წინსვლის, განვითარების ატმოსფერო(!!!).

მოსახლეობისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მშრალი ციფრები კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ სწორედ ეს ატმოსფერო, რომელიც ხელისუფლების ლეგიტიმურობის ყოვლად აუცილებელი პირობაა. "უაზრო" მმართველობით "ჩამყაყებულ" ატმოსფეროში ბუნებრივად ჩნდება ადამიანთა მრავალრიცხოვანი კატეგორია, რომელსაც უბრალოდ "სული ეხუთება" და "ოღონდ ეს უძრაობის ხანა დამთავრდეს და - რაც უნდა მოხდეს".

რამდენიც არ უნდა ელაპარაკა ვიქტორ იანუკოვიჩს, რომ "ერთ სულზე მშპ-ს შეფარდება ამდენი და ამდენი პროცენტით გაიზარდა", რომ "პენსიები გაოთხმაგდა", რომ "საწვავ-საპოხი მასალების ფასმა იკლო და მშრომელებს მეტი საშუალება აქვს საგაზაფხულო სამუშაოთა საწარმოებლად" - ეს ყოველივე იქ სრული სიმართლე იყო, მაგრამ ვერაფერს შეცვლიდა. შედარებაც კი შეუძლებელია ცხოვრების დონისა, რომელიც უკრაინასა და საქართველოში არსებობდა შევარდნაძისა და კუჩმას მმართველობის ბოლოს. მაგრამ ეს არაა საკმარისი - მასის ფსიქოლოგია ისეთნაირად არის მოწყობილი, რომ იგი მხოლოდ იმას თვლის ლეგიტიმურად, იმას "აღიარებს", იმას მიიჩნევს რეალურად, რასაც თვალნათლივ ხედავს, რასაც შეუძლია, "ხელით შეეხოს". ამიტომ, ხსენებული ატმოსფეროს შესაქმნელად არა მხოლოდ რეალური ეკონომიკური წინსვლაა საჭირო, ან თუნდაც სოციალური პრობლემების გადაწყვეტა (რასაც, ისევ და ისევ ვიმეორებ, კუჩმა-იანუკოვიჩის ხელისუფლებაც წარმატებით ახერხებდა უკრაინაში), არამედ ხელისუფლების უნარი, თანამედროვე "პი-არ" ტექნოლოგიების მეშვეობით, აქციოს მოსახლეობა ამ პროცესთა უშუალო თანამონაწილედ, შექმნას ერთგვარი "სინერგეტიკული კავშირი" ხელისუფლებასა და ხალხს შორის, უპასუხოს იმპულსებს, რომელიც არა უპირატესად ელიტიდან, რამდენადაც ხალხის წიაღიდან მოდის, ყოველდღიურად დაადასტუროს ხელისუფლების "აქტიურობა", "ქმედითობა" და "ხალხურობა" თუნდაც იმგვარი ჟესტებით, რაც კუდაბზიკა და ქრონიკულად კრიტიკანული ინტელიგენციის მედიდურ უკმაყოფილებას იწვევს. ვთქვათ ისეთი დემარშებითაც კი, როგორიცაა თბილისის ფასადთა სამლებრო სამუშაოებში მონაწილეობა, ან "ერისა და პარლამენტისადმი" მიმართვის დაწერა არა ინტელექტუალთა ვიწრო წრისათვის, არამედ ხალხისათვის გასაგებ(!) ენაზე.

როგორც არ უნდა აღიზიანებდეს ეს ყოველივე ხსენებულ წრეს, რა ისტერიკებშიც უნდა იკრუნჩხებოდეს იგი რისხვითა და გაკიცხვით, რამდენიც არ უნდა იძახოს "მალიარი ხარ, ბიჭო?!", "ზაპრავშჩიკი ხარ, ბიჭო?!!!" - ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ ამ პაროქსიზმებს ყურადღება არ უნდა მიაქციოს, ვინაიდან უმთავრესი ამოცანა სწორედ "ჭაობისა" და "უძრაობის", ანუ ხელისუფლების გაუცხოების ატმოსფეროს რეციდივთა ყოველდღიური(!) განადგურებაა. ბუნებრივია, ამის უნარი და საშუალება მხოლოდ ლეგიტიმურ ხელისუფლებას აქვს, თორემ ედუარდ შევარდნაძე რომ სენაკში ბოჩოლებს ეფერებოდა - უკვე გვიან იყო.

ეს ყოველივე მით უფრო აქტუალურია, როდესაც ხელისუფლებას საქმე აქვს "ჰომო სოვიეტიკუსთან", რომელსაც, ძველი ინერციით, დღემდე ჰგონია, რომ ხელისუფლების პირდაპირი დანიშნულება კონკრეტულად მისი ცხოვრების გაუმჯობესებაა.

მაშასადამე, ისევ და ისევ ვუბრუნდებით "ჭაობის შემოქმედი" ხელისუფლების განუხრელი დელეგიტიმაციისა და გარდაუვალ შედეგების პრობლემას.

ადამიანები, რომლებიც "აქა დგანან, სხვაგვარად არ ძალუძთ" და სწორედ რევოლუციების დროს გამოდიან "ჩრდილიდან" - ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე სწრაფად განვითარებად, წარმატებულ საზოგადოებაში შეიძლება არსებობდნენ. ეს სოციოფსიქოლოგიური ფენომენია, მაგრამ ამ კატეგორიას მხოლოდ დელეგიტიმიზებული ხელისუფლების პირობებში შეუძლია ასპარეზზე გამოსვლა. მით უმეტეს წარმატების მიღწევა და წადილის განხორციელება.

მეორეს მხრივ, დელეგიტიმიზებული ხელისუფლების პირობებში, სხვადასხვა მეთოდით ხდება ანტისახელისუფლებო ქმედების ლეგიტიმაცია. ანუ იწყება არა მხოლოდ მოწინააღმდეგე რესურსთა, არამედ ლეგიტიმურობის ხარისხთა ჭიდილი. იმ აზრით, რომ რამდენადაც დელეგიტიმიზებულია ხელისუფლება, მით უფრო იზრდება ანტისახელისუფლებო (თუნდაც არაკონსტიტუციური!) ქმედების ლეგიტიმურობა.

მაგალითად, ის, რომ კათალიკოს-პატრიარქი არ მივიდა 2 ნოემბერს არჩეული პარლამენტის სხდომაზე, ან მოწინააღმდეგე ბანაკში აღმოჩნდნენ ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში აღიარებული იყო არჩევნების გაყალბების ფაქტი, - უკვე არა მხოლოდ ხელისუფლების დელეგიტიმაციას განაპირობებდა, არამედ პოლიტიკურ ლეგიტიმურობას მატებდა ანტისახელისუფლებო ძალისხმევას - მათ შორის პარლამენტიდან იქ შეკრებილი კამარილიის გარეკვას.

### პროექტი "მემკვიდრე"

ისმის კითხვა: თუ ასეა, რატომ არ მოჰყვა ანალოგიური შედეგი ალიევების მმართველობას აზერბაიჯანში და რატომ შეძლეს მათ პროექტ "მემკვიდრის" განხორციელება? დელეგიტიმაციის პროცესი იქაც მიმდინარეობდა, მაგრამ არა იმ ხარისხით, როგორც საქართველოში. რატომ? იმიტომ, რომ ჰეიდარ ალიევმა, ჯერ ერთი, თავის ერს კონკრეტული პროექტი (ყარაბაღის დაბრუნება) შესთავაზა და, რაც ყველაზე მთავარია, ნამდვილად შეძლო ისეთი მდგომარეობის შექმნა, როდესაც ვითარება ქვეყანაში თვალსაჩინოდ, დღითი დღე უმჯობესდებოდა, რაც ქვეყნის მოძლიერებად და ხსენებული პროექტის თანდათანობით განხორციელებად აღიქმებოდა.

თავის მხრივ, ამის საშუალება ალიევებს, რა თქმა უნდა, დასავლურმა "ნავთობდოლარებმა" მისცეს. 1994 წლიდან - 2003 წლამდე აზერბაიჯანში ინვესტიციათა ოდენობამ ჩვენთვის ფანტასტიური თანხა - 50 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ვერც ერთი აზერბაიჯანელი (მით უმეტეს ბაქოელი, არადა რევოლუციის ბედს დედაქალაქი წყვეტს) ვერ იტყვის, რომ ქვეყანაში ვითარება არ უმჯობესდებოდა, გზები არ იგებოდა, სამუშაო ადგილები არ იქმნებოდა, ხელფასები თუ პენსიები არ იზრდებოდა და დროულად არ რიგდებოდა, 24 საათიანი ელექტრომომარაგება ვერ ხერხდებოდა და ასე შემდეგ.

თითქოს ეს დებულება ეწინააღმდეგება ზემოთთქმულს - უკრაინაში უკეთესი სოციალური ვითარების თაობაზე პრემიერ იანუკოვიჩის მმართველობისას. მაგრამ ისევ და ისევ: საუბარია არა სოციალურად უკმაყოფილო სეგმენტის ოდენობაზე, არამედ კონკრეტული ნაციონალური პროექტის არარსებობაზე, რამაც უკრაინაში (განსხვავებით აზერბაიჯანისაგან) ლეგიტიმურობა მიანიჭა ნეგატიური (ოპოზიციური) მუხტის მატარებელი ფენის ამბოხს.

განა ბელორუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს აქვს საერთონაციონალური პროექტი?

დიახ, აქვს - რუსეთთან ინტეგრაცია, რაც კატეგორიულად მიუღებელია ბელორუსთა უმცირესობისათვის (იმდენად, რომ თავსაც გაწირავენ საწინააღმდეგოდ) და სავსებით მისაღებია ბელორუსთა უმრავლესობისათვის, რომელთაც თავის გაწირვა არ დასჭირდებათ, ვინაიდან ხსენებული უმცირესობის წევრებმა კარგად იციან, რომ ლეგიტიმური ხელისუფლების დამცველი შეიარაღებული ძალები, "რამე რომ იყოს", ჰაერში სროლას როდი დაიწყებენ.

მთელი ამ დისკურსის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ხელისუფლების ცვლის მექანიზმი, რომელიც ნებისმიერი ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოს "სასინჯი ქვაა". ამგვარი მექანიზმის არსებობა, ბუნებრივია, ელიტას საშუალებას მისცემს, არ დაუშვას საზოგადოებაში ნეგატიური მასის იმ ოდენობით დაგროვება, რომ ამან "ორთქლის გამოშვებამდე" გამოიწვიოს გარესისტემური მოქმედების ლეგიტიმაცია.

ურყევი კანონზომიერების მაჩვენებელია, რომ სამივე რევოლუცია არჩევნების შემდეგ მოხდა. ეს კანონზომიერება ვრცელდება არა მხოლოდ საქართველოზე, უკრაინასა და ყირგიზეთზე, არამედ აფხაზეთზე (არძინბასაგან განსხვავებით, ბაგაფშმა ერს რეალობის შესაბამისი ახალი პროექტი შესთავაზა), აზერბაიჯანზე და მოლდოვაზე, რომლის ხელისუფლებამ საქართველოს მეშვეობით შეინარჩუნა ლეგიტიმურობა. ანუ იმით, რომ მიხეილ სააკაშვილის დახმარებით დაადასტურა, - აქვს საერთონაციონალური პროექტი რუსეთთან საბოლოო გამიჯვნისა და რუმინეთთან დაჩქარებული ინტეგრაციის სახით.

არჩევნები ერთგვარი "ძალაუფლებრივი წყვეტაა", როდესაც ხელისუფლება, თუ შეიძლება ასე ითქვას, "ჰაერში ეკიდება", - ყველაზე მოწყვლადი და არასტაბილური ხდება. დასავლეთის დემოკრატიათა ძლევამოსილება სწორედ ამ მექანიზმის თითქმის უცდომელ და შვეიცარული საათივით სტაბილურ ფუნქციონირებაში მდგომარეობს. მაგრამ ეს უძვირფასესი მექანიზმი პოლიტიკური კულტურისა და სახელმწიფოებრივ სისტემათა მდგრადობის განსაკუთრებულად მაღალ ხარისხს მოითხოვს. დაახლოებით ისეთს, როგორიც ბალტიის ქვეყნებმა გამოამჟღავნეს - ევროპულ იდენტობასა და კულტურულ ტრადიციებზე დაყრდნობით.

ყველა სხვა საბჭოთა ელიტამ კი, ამა თუ იმ ფორმით, პროექტ "პირდაპირი მემკვიდრის" განხორციელება სცადა. ზოგან წარმატებით, ზოგან - წარუმატებლად. მაგალითად, უკრაინაში - წარუმატებლად, აზერბაიჯანში - დიდი წარმატებით. მიზეზის თაობაზე მოგახსენეთ. აქვე აღსანიშნავია, რომ პროექტი "მემკვიდრე" არანაკლები წარმატებით განახორციელა ბორის ელცინმა. თანაც არა მხოლოდ იმის შედეგად, რომ ვლადიმირ პუტინმა ქვეყანას მკაფიო ნაციონალური პროექტი შესთავაზა (სახელმწიფოს მიმართ არალოიალური ოლიგარქიის განადგურება, ჩეჩნური სეპარატიზმის გასრესა და რუსული დერჟავის აღორძინება), არამედ, რაც უფრო საინტერესოა, იმიტომაც, რომ პუტინი ერთდროულად მემკვიდრეც იყო და, იმავდროულად, რუსების უმრავლესობისათვის, ელცინის თვისებრივი ალტერნატივაც! ყოველ შემთხვევაში, მასობრივი აღქმით.

დაახლოებით ასეთივე პროექტი, 2 ნოემბრის არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე, ქართული საბჭოთა ელიტის ნაწილმა შევარდნაძესაც შესთავაზა, მაგრამ ამ უკანასკნელმა იგი უარყო, ვინაიდან ძალაუფლება საერთოდ არავისთვის ეთმობოდა - მათ შორის არც "ბავშვობის მეგობრის" ქალიშვილისათვის.

აქვე: ხელისუფლებათა ცვლა არ არის ისეთი მარტივი პრობლემა, როგორც ჩვენებურ "პროვინციელ დემოკრატებს" ეჩვენებათ. მხოლოდ მათ შეიძლება ეგონოთ, რომ თითქოს "ტრადიციული დემოკრატიის" ქვეყნებში "პროექტი მემკვიდრე" არ ხორციელდება. სინამდვილეში იგი ხორციელდება იმ აზრით, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები უზრუნველყოფენ სახელმწიფო კურსის მემკვიდრეობითობას. ამ სისტემაში, სტრატეგიული თვალსაზრისით, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვთქვათ, ამერიკაში ჯონ კერი გაიმარჯვებს თუ ჯორჯ ბუში - სახელმწიფოებრივი კურსის მდგრადობა (მემკვიდრეობითობა) მაინც შენარჩუნებულია.

მაგრამ პოსტსაბჭოურ რეალობაში ეს ასე არ არის და ვერც იქნება. არჩევნებისას კვლავინდებურად წყდება არა ტაქტიკური (როგორც, მაგალითად თანამედროვე ბრიტანელ კონსერვატორებსა და ლეიბორისტებს შორის არჩევანის დროს), არამედ სტრატეგიული საკითხები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩამოყალიბებულ დემოკრატიებში არჩევნები ერთი და იმავე ღირებულებისა და ორიენტაციის მატარებელი ელიტის წიაღში ტარდება მაშინ, როდესაც პოსტსაბჭოურ რეალობაში არჩევნებში მონაწილეობს აბსოლუტურად საპირისპირო ვექტორის მატარებელი, კარდინალურად ურთიერთსაწინააღმდეგო დოქტრინის გამომხატველი დაჯგუფებები. ამიტომ, ყოველი არჩევნები აიეტისა და ფარტაძის პაექრობას ემსგავსება, როდესაც უნდა გადაწყდეს, თუ "რა გზას დაადგება ქვეყანა, გადარჩება თუ არა იგი" და ასე შემდეგ.

კი მაგრამ, ხომ არ შეიძლება ქვეყანა და საზოგადოება გაუთავებლად იმყოფებოდეს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც, მაგალითად, იმყოფებოდა კიევის რუსეთი "ვლადიმირ კრასნოე სოლნცეს" დროს, როცა წყდებოდა საკითხი, რუსეთი ქრისტიანობას მიიღებდა თუ ისლამს?!

მაშასადამე, საქართველოში რეალურად დემოკრატიული არჩევნების ჩატარება მხოლოდ მაშინ (მას შემდეგ) თუ გახდება მიზანშეწონილი, როდესაც, ბოლოს და ბოლოს საზოგადოება მართლაც შეთანხმდება ძირითად ღირებულებებსა და ორიენტირებზე. ანუ, მოხდება ქვეყნის რეალური მოდერნიზაცია ისე, რომ დღევანდელი სახით "ლეიბორისტები", "იგორ გიორგაძისტები" და "ასლანისტები" თუ "მამა ბასილისტები" მართლა მარგინალებად იქცევიან და არა ანგარიშგასაწევ ალტერნატივად, როგორებიც (მოგვწონს თუ არა) დღეს არიან.

ბუნებრივია, ეს ალგორითმი ბევრს არ ეპიტნავება საქართველოში. მათ შორის, უპირველესად, იმ მეტად საინტერესო დაჯგუფებას, რომელსაც "სამოქალაქო საზოგადოებას" უწოდებენ და რომელიც ჩვენს ქვეყანაში "საერთო-საკაცობრიო ღირებულებათა" ერთგულების უმთავრეს პედაგოგ-შემფასებლად მიიჩნევა.

აქვე: სხვათა შორის, ის, რასაც ჩვენში "საერთოსაკაცობრიო ღირებულებებს" უწოდებენ, სინამდვილეში არის არა "საერთოსაკაცობრიო," არამედ ევროპული ღირებულებები. ამ ღირებულებებს მსოფლიოში ბევრი იზიარებს.

არსებობს, რასაკვირველია, "საერთოსაკაცობრიო" ღირებულებებიც, მაგრამ ეს ბევრად ფართო ცნებაა, ვინაიდან მრავალი მათგანის ერთადერთი სამშობლო ევროპა სულაც არ არის.

რაც შეეხება "სამოქალაქო საზოგადოებას", ეს ტერმინი, პირველად ვაცლავ ჰაველმა გამოიყენა ერთ-ერთ გამოსვლაში (ოღონდ, არა იმ გამოსვლაში, 1999 წელს, რომელშიც, დასავლეთს მოუწოდებდა, ევროკავშირში ყოფილ სსრკ რესპუბლიკებს ნუღარ მივიღებთ - მთლად "გაეროს" ნუ დავემსგავსებითო).

იგი გულისხმობდა პოლიტიკურად აქტიურ სოციუმს. თანაც, არასტრუქტურიზებულს, ვინაიდან სტრუქტურიზება და ინსტიტუირება თავისთავად ეწინააღმდეგება ამ ცნების არსს. ამიტომაც არ შეიძლება "სამოქალაქო საზოგადოება" ეწოდოს ჩვენებურ "ენჯეოშნიკთა" ნაკრებს, რაკი ეს ტერმინი ("სამოქალაქო საზოგადოება") მდგომარეობას ასახავს და არა საგანს.

ამდენად, შინნაზარდი "სამოქალაქო საზოგადოება" რეალურად სხვა არაფერია, თუ არა კიდევ ერთი პარტია - ოღონდ სავსებით განსაკუთრებული ამბიციითა და პრეტენზიით. ამ პარტიის წევრებს ჰგონიათ (სწორედ აქედან მომდინარეობს მათი "გონორი"), რომ ღირებულებებს ქმნიან და იცავენ. სინამდვილეში კი, როგორც საქართველოს უახლესი ისტორია უტყუარად ადასტურებს, ისინი ღირებულებებს კი არ ქმნიან, არამედ პოლიტიკურ დომინანტებს.

ხოლო პოლიტიკა, ნორმალურ ქვეყანაში, "მოდური დიზაინერების", "ძველი ბიჭი - მომპარავი" მომღერლების, "ბოჰემური პოეტებისა" და "თვითინტრონიზებული" კლინიკური იდიოტების სამოქმედო ასპარეზი არ უნდა იყოს.

მადლობა ღმერთს, საქართველოს პრეზიდენტი მათ ჭკუაზე არ დადის.

ისინი რომ სინამდვილეში (მათდაუნებურად) პოლიტიკურ დომინანტებს ქმნიან (იცავენ) და არა ღირებულებებს, ძალიან იოლი დასამტკიცებელია. მაგალითად, თავად აცხადებენ, რომ თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნები უდიდეს ღირებულებად მიაჩნიათ. გულისამაჩუყებელ სენტენციებსაც აფრქვევენ "ადამიანის წმიდათაწმიდა უფლების შესახებ, - ჰქონდეს საარჩევნო ბიულეტენი". თავსაც გაწირავენ თითქოს ამ ღირებულების დასაცავად და ასე შემდეგ.

მაგრამ საკმარისია კითხვა შეუტრიალო: "თანახმა იქნებით თუ არა, რომ დემოკრატიული და გამჭვირვალე არჩევნების შედეგად ქვეყნის სათავეში შალვა ნათელაშვილი და მისი ე.წ. "ლეიბორისტები" მოვიდნენ?" - ქვას ააგდებენ და თავს შეუშვერენ. ან მოჰყვებიან ულიმღამო დემაგოგიას, რომ "ქართველი ხალხი მათ არ აირჩევს".

არ აირჩევს, ვინაიდან თურმე ქართველ ერს ისე აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი ლიბერალური ფასეულობები, რომ სოფელ მაჩხაანში, ბოლო დროს, "დედმამიშვილების" სადღეგრძელომდე ჯონ ლოკის სადღეგრძელოს სვამენ.

ან კითხვა იმავე დისკურსში - თანახმა ხართ თუ არა, რამდენიმე წლის შემდეგ აჭარის მოსახლეობამ თუ არა თვით ასლან აბაშიძე, მაშინ მისი სეპარატისტული ხროვის რომელიმე წარმომადგენელი ან იმავე კურსის გამგრძელებელი აირჩიოს?

"უჰ, მაგათ ვინღა აირჩევსო?!" - გეგონოთ!!!

ხომ უეჭველია, რომ შალვა ნათელაშვილის "ლეიბორისტებს" 2 ნოემბრის არჩევნებში ასეულობით ათასმა ადამიანმა მართლაც მისცა ხმა. მაშ რატომ იყო (არადა, ნამდვილად იყო!-ნ.ი) სამართლიანი მათი პარლამენტიდან გაპანღურება? იმიტომ, რომ ამ კატეგორიის ყოფნა პარლამენტში ხელს შეუშლიდა ქმედითი (რეფორმისტული, ქვეყნის მოდერნიზების უნარის მქონე) ხელისუფლების ჩამოყალიბებას.

ცოტა არ იყოს უცნაურია, რომ ის ხალხი, ვინც გაუთავებლად მოითხოვს პოლიტიკაში მიზანშეწონილობის პრინციპის უგულებელყოფას, - თავად ვერ ამჩნევს, რამდენად ეწინააღმდეგება მათი კონკრეტული პოზიცია მათ მიერვე დეკლარირებულ ღირებულებებს.

მათი ლოგიკით გამოდის, რომ 90-იან წლებში, "რამდენჯერმე გაყალბებული არჩევნების შედეგად", ქართველ ერს წაერთვა წმიდათაწმიდა უფლება, განეხორციელებინა თავისი მრავალწლიანი ოცნება და საქართველოს პრეზიდენტად ჯუმბერ პატიაშვილი აერჩია. ანუ, "გაშლილი დროშებით", ამაყად დაბრუნებულიყო წარსულში.

ხუმრობა იქით იყოს და, სინამდვილეში, ხელისუფლების ლეგიტიმურობას მის მიერ ქვეყნისთვის შეთავაზებული პროექტის არსი განაპირობებს და არა ბეჭედდასმული ქაღალდი. შევარდნაძის ხელისუფლება არალეგიტიმური გახდა არა იმიტომ, რომ არჩევნები გააყალბა, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანა ჩიხში შეიყვანა.

ხოლო ნოემბრის რევოლუციას აზრი ჰქონდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის შედეგად მოხერხდებოდა ქვეყნის მოდერნიზაცია. მოდერნიზაცია კი იძულებით განსახორციელებელი პროექტია! მით უმეტეს საქართველოში.

და მაინც, მიუხედავად ამ მარტივი ჭეშმარიტებისა, კაპასი სიჯიუტით მოითხოვენ, მაგალითად, თბილისის მერის პირდაპირი კენჭისყრით არჩევას, რაკი ჰგონიათ, რომ იმ ვითარებაში, როდესაც ათეულობით ათასმა ადამიანმა, მტკივნეული, თუმცა აუცილებელი რეფორმების შედეგად სამუშაო ადგილი (უფრო ზუსტად შემოსავალი) დაკარგა - თბილისის მერი (სახელმწიფოში, რეალური გავლენით, მეორე პირი) ისეთი პიროვნება არ გახდება, რომელიც, სამოქალაქო ომის პროვოცირებით, ქვეყნის მოდერნიზაციის ყოველგვარ პროექტს დაასამარებს.

ამ გზით, სულ მალე დავბრუნდებით ისევ იმ პლურალისტურ მარაზმში, რომელშიც ვცხოვრობდით, - განვითარებისა და წინსვლის ყოველგვარი პერსპექტივის გარეშე.

### ხელისუფლება და იმედი

აბსოლუტურად არანორმალური და არადემოკრატიულია, როდესაც პრესის ფურცლებზე ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრი არ ჩანს. მაგრამ მკითხველი დამეთანხმოს, რომ ასევე არანორმალურია დადებითი აზრის არარსებობაც.

საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის უდიდესი დამსახურება და მისი ლეგიტიმურობის უმთავრესი წყარო ის არის, რომ მან ქვეყანას შესთავაზა მკაფიო საერთონაციონალური პროექტი: ქვეყნის მოდერნიზება, - მისი (მიზანშეწონილი ხარისხით) ვესტერნიზაციისა და სახელმწიფო სტრუქტურების განმტკიცების გზით. ბუნებრივია, იგულისხმება ამ სტრუქტურების დემოკრატიული უზრუნველყოფაც.

პროექტის შემადგენელია, მათ შორის, რუსეთის ჯარების გაყვანა, ქვეყნის მთლიანობის აღდგენა, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, არსებითი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

მისი განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე, საზოგადოებაში ახალი ღირებულებების მიზანმიმართული დანერგვა. მათ შორის იმ ღირებულებებისა, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ზოგიერთ ტრადიციულ (და განვითარების შემაფერხებელ) ღირებულებას.

ყველა ამ პირობის (ოღონდ, უკლებლივ ყველა პირობის!) შესრულების გარეშე, საქართველოს "ევროატლანტიკური ინტეგრაცია" ქიმერა და ზღაპარია.

აჭარის "შემომტკიცებით" და ბიუჯეტის არსებითად გაზრდით ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ შეუძლია პროექტის არა მხოლოდ დეკლარირება, არამედ მისი ეტაპობრივი განხორციელებაც.

აქვე: როდესაც დასავლეთში, შევარდნაძის მმართველობისას, საუბრობდნენ საქართველოზე, როგორც "არშემდგარ სახელმწიფოზე", გულისხმობდნენ არა მხოლოდ და არა იმდენად კორუფციას, რამდენადაც იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ვერ აკონტროლებდა თავისი ტერიტორიის ლამის მეოთხედსა და ზღვისპირეთის 61 პროცენტს.

ბუნებრივია, პროექტის განხორციელება მრავალწლიან ძალისხმევას მოითხოვს. მაგრამ პირველი წარმატება უკვე მიღწეულია, რაკი ნამდვილად გაჩნდა იმედი.

საქართველოს ბოლო წლების ისტორია კლასიკურ მაგალითს ქმნის იმის დასადასტურებლად, რომ საზოგადოების ცხოველმოქმედების საფუძველი და მთავარი პირობა პერსპექტივის შეგრძნებაა. ადამიანს ხომ მომავლისა და პერსპექტივის განცდის გარეშე არსებობა არ ძალუძს. ადამიანი - იმედია. იგი ყოველთვის დაუჭერს მხარს იმას, ვინც იმედის გამართლებით გაახარებს.

ხანგრძლივობას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ წინსვლის, სიახლისა და წარმატების შეგრძნებას.

"ცხრა წელი" აქ, რა თქმა უნდა, "პოლიტკორექტული" მინიმუმია და ესოდენ რთული პროექტის განსახორციელებლად არც არის საკმარისი. საბედნიეროდ, საქართველოში არ დაილევა ახალგაზრდობა (ღმერთმა ნუ მოლიოს!), რომელიც, უახლოესი 20-30 წლის განმავლობაში, თანამდევი ჟივილ-ხივილით, ქმედით და წარმატებულ გუნდს ქვეყანაში მუდმივი განახლების, წინსვლისა და გამარჯვების ატმოსფეროს შენარჩუნების საშუალებას მისცემს.

აღმოსავლეთი დასავლეთის ეგიდით



B2

როგორი იყო ლევან აბაშიძე?



B3

ნაკრები მზადებას შეუდგა




B4

# ორი პრემია ფოტოაპარატით გადაღებული ფილმისთვის

## ლევან კოღუაშვილის მეორე წარმატება ამერიკაში

პირველი გვერდიდან

**ლევან კოღუაშვილი: "აქ სადიპლომო ნამუშევრებს ძალიან სერიოზულად უდგებიან, უამრავ ფულს ხარჯავენ, 40-50 ათასი დოლარი ჩვეულებრივი ამბავია 20-25 წუთიან ფილმზე. წლევანდელი გამარჯვებული ფილმის სიუჟეტი 100 ათასი ამერიკული დოლარი იყო".**

მეორე ადგილი სერიოზული წარმატებაა. ლევან კოღუაშვილის ფილმი საკურსო ნამუშევარია, ციფრული ფოტოაპარატით გადაღებული. მისი ბიუჯეტი სულ რაღაც 2 ათასი დოლარია. ფილმი სრულიად საპირისპირო მიმართულებით და შესაძლებლობებით არის შექმნილი, ვიდრე ეს ნიუ იორკის უნივერსიტეტში კეთდება. როგორც ეტყობა, ფილმის ისტორიამ და ემოციამ იმუშავა და, გარდა საპრიზო ადგილისა, საყოველთაო მსჯელობის საბაბიც გახდა. ფილმის სინოფსისი ამგვარია: შეიძლება თუ არა სიცვიის, გაჭირვებისა და დამცირების მიუხედავად შეინარჩუნო ღირსება და ადამიანად დარჩე? ნიუ იორკი, ბრუკლინი, ზამთრის ცივი დღე და არალეგალური ქართველი ემიგრანტების ბრძოლა გადარჩენისთვის".

როგორც საქართველომდე ჩამოაღწია ხმამ, ფილმის გარშემო მითქმა-მოთქმა დაახლოებით ამ შინაარსის იყო: ფილმი იმის მაგალითია, რომ კინოს საკეთებლად არ არის საჭირო ბევრი ფული, მთავარია სათქმელი და მისი ემოციური გადმოცემა. ფილმი "ვალი" ერთადერთი ფილმია ადამიანებზე, ადამიანობაზე, ღირსების შენარჩუნებაზე, ჰუმანიზმზე და ა.შ.

**ლევან კოღუაშვილი: "აქაური ტენდენცია ამგვარია, მოდაშია ნეგატიური ფილმების კეთება, სადაც ნეგატიური ემოცია და ცინიზმი იმარჯვებს, ანდა გმირი უნდა იყოს ღრმა დეპრესიაში. პოზიტიურ ემოციებზე შექმნილი ფილმი პროგრამაში თითქმის არ ყოფილა".**

პრიზი მეორე ადგილისთვის - 7 ათასი დოლარი და ლოს ანჯელესში საკუთარი ფილმის ჩვენება იყო. უკანასკნელი ცნობები ლოს ანჯელესიდან კი ამგვარია. **25 მაისს, კინორეჟისორთა გილდიის მთავარ დარბაზში, ნიუ იორკის კურსდამთავრებულთა ფილმების ჩვენება ჩატარდა. წარმოდგენილი იყო სულ 15 ფილმი, მათ შორის ლევან კოღუაშვილის "ვალი". მაყურებელს საშუალება ჰქონდა, ხმა მიეცა მოწონებული ფილმისთვის. გაიმარჯვა სწორედ ლევან კოღუაშვილის ნამუშევარმა. ჯილდო - 1000 დოლარი.** ასე რომ, ამერიკაში გადაღებული დაბალბიუჯეტიანი ქართული ფილმი მეორედ იმსახურებს მოწონებას და ჯილდოს.

- რატომ ფოტოკამერით გადაღებული?

**ლევან კოღუაშვილი: "ამას ორი მიზეზი აქვს. ფირის საყიდლად ფული არ გვეყო. შეგვეძლო ვიდეოზე გადაღება, მაგრამ ჩემმა ოპერატორმა ციფრული ფოტოაპარატით გადაღების იდეა მოიტანა, ვინაიდან სინჯებს სწორედ ამ ფოტოაპარატით ვაკეთებდით. ფილმს უცნაური ხარისხი აქვს, 15 კადრია წამში, ამიტომ კინოს უფრო ჰგავს ვიდრე ვიდეოს. ალბათ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, რომ ჰგავს უხარისხო კინოს, რომელსაც თავისი ესთეტიკა აქვს. თავიდან ამ შემოთავაზებამ - ფილმის ფოტოაპარატით გადაღების იდეამ ოდნავ შემაშინა, მერე დავთანხმდი და ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი. როგორც გიჟებს, ისე გვიყურებდნენ, მაგრამ დღეს ყველამ აღიარა, რომ გამართლებული წამოწყება იყო. ახლა ვცდილობთ, რომ "ქენონი" დავაინტერესოთ (მათი აპარატი ვიხმარეთ), ეს ისტორია მივყიდოთ (ღარიბი სტუდენტები, უფულობა და მათი, ანუ "ქენონის" ფოტოაპარატით გადაღებული ფილმი, რომელმაც ფესტივალში გაიმარჯვა)".**

- კიდევ ვინ იყვნენ ისინი, ვინც ფილმზე მუშაობდა?

**ლევან კოღუაშვილი: "ფილმის ოპერატორი იყო კირილ მიხანოვსკი. ნიუ იორკის უნივერსიტეტი დაამთავრა ორი წლის წინათ. უკვე 12 წელიწადია, აქ ცხოვრობს, ისე კი მოსკოვიდან არის. რეჟისორია და, ამავე დროს, კარგი ოპერატორი. ცოტა ხნის წინათ დაამთავრა პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი, რომელიც ბრაზილიაში გადაიღო. ვფიქრობ, მისი სახელი მალე აღმოჩნდება ნამდვილ კინემატოგრაფისტთა შორის, ვინაიდან ძალიან ნიჭიერი ადამიანია. სხვათა შორის, შემდეგი ფილმის გადაღება საქართველოში უნდა".**

ფილმში სულ ტიპაჟები მონაწილეობენ. მოქმედება ხდება ბრუკლინში, ნიუ იორკის ქართულ ბირჟაზე (წარმოიდგინეთ დაახლოებით თბილისის ელიავას ბაზრობის შესასვლელი).

**ლევან კოღუაშვილი: "როდესაც სცენარს ვწერდი, იქ ყოველდღე დავდიოდი და ვცდილობდი, მუშების ცხოვრებით მეცხოვრა. სამუშაოდაც ვიყავი, იატაკი გავხეხე. ეტყობა, კარგად გამომივიდა, რადგან მუდმივი სამუშაო შემომთავაზეს. ფილმის დანარჩენი გმირები ამ ბირჟიდან არიან. ძალიან კარგი ადამიანები არიან და, რაც მთავარია, ყველამ შესანიშნავად ითამაშა. სრული იმპროვიზაცია გვქონდა. ეტყობა, იმდენად კარგი გამოვიდა, რომ საუკეთესო სამსახიობო ანსამბლის პრიზიც კი ავიღეთ".**

- მთავარი გმირები?

**ლევან კოღუაშვილი: "მთავარი გმირები შემთხვევით გავიცანი. ნიკო აბესაძე და ვახო კიზირია. ნიკო მოქანდაკეა, ყოფილი მეომარი. ვახო მოსკოვში დაბადებული ქართველია, ქართული არ იცის, მაგრამ ისე უყვარს საქართველო, როგორც დონ კიხოტს - დულსინეა. ოდესღაც მსახიობიც იყო, ტანგოს მოცეკვავეც, ბიბლიოთეკის ლაბორანტიც და მუშაც. ახლა მღებავად მუშაობს და თავისუფალ დროს წიგნს წერს კავკასიის ისტორიაზე. ჰყავს ჩინელი ცოლი და ორი შვილი, რომლებიც ცოტა ხნის წინ მოვნათლეთ".**

ასეთია უკანასკნელი ინფორმაცია ამერიკიდან ქართველი კინორეჟისორის ლევან კოღუაშვილის შესახებ. უახლოეს წარსულში - ორი პრესტიჟული პრიზი საკურსო ნამუშევრისთვის. წინ - საკურსო და სადიპლომო ფილმები. ასე რომ, დაველოდოთ ახალ ფილმებს და ახალ წარმატებებს.



*ლევან კოღუაშვილი იღებს ფილმს ბრუკლინელ ქართველებზე.*



*ოპერატორი კირილ მიხანოვსკი.*

# შეთანხმება მიღწეულია

## თეატრის ხელმძღვანელობა შეიცვლება

პირველი გვერდიდან

საგულისხმოა, რომ ორივე მხარის - სამინისტროსიც და მსახიობების პრეტენზია თეატრის შემოქმედებით დონეს უკავშირდება უფრო მეტად, ვიდრე ფინანსურ მხარეს. არადა, გუშინვე, ვიდრე თეატრში გამართული კრება დასრულდებოდა, "გამოდიოდა ხმები", რომ თეატრის თანამშრომლები ძირითადად სამინისტროს მიერ გაღებული მწირი ბიუჯეტით იყვნენ უკმაყოფილოები. მაგრამ, როგორც მარჯანიშვილის მსახიობებთან საუბრისას გაირკვა, უკმაყოფილება, რისი აპოთეოზიც გუშინდელი დღე გახდა, გაცილებით ადრე, წლების წინათ დაიწყო და ამ ხნის განმავლობაში გროვდებოდა.

თეატრში გამართული დირექციის გუშინდელი კრება, მსახიობების თქმით, პასუხი იყო უკანასკნელ დღეებში გაკეთებულ სატელევიზიო გამოსვლებზე. კრებაზე რაიმე სახის შეთანხმება არ მიღწეულა. ამის შემდეგ, მსახიობები სამინისტროში, გიორგი გაბაშვილთან შესახვედრად გაემართნენ. როგორც ისინი ამბობენ, მინისტრს მათ თეატარში არსებულ ვითარებაზე მიაწოდეს ინფორმაცია. თუმცა, გაბაშვილის კომენტარებიდან ცხადი ხდება, რომ გარკვეული პრეტენზიები სამინისტროს მარჯანიშვილის თეატრის მიმართ უკვე ჰქონდა. **"როდესაც შევხვდები თეატრის ხელმძღვანელობას, წავუყენებ პრეტენზიას თეატრის არაეფექტურ მართვასთან დაკავშირებით; დავინტერესდები, ამდენი განმარტებისა და ახსნის შემდეგ, კიდევ რა არის გაურკვეველი - როგორ უნდა იმუშაოს თეატრმა? რა ფუნქციები აქვს თეატრს? როდესაც თეატრი ორი წელიწადია, რემონტის გამო დაკეტილია და ყველა სარემონტო თანხას მეცენატი ფარავს; როდესაც თეატრი სახელმწიფო სუბსიდიას იღებს ასი ათასით მეტს, ვიდრე ჩემს მინისტრობამდე, რა პრობლემები არსებობს, მართლა მაინტერესებს", -** განაცხადა გიორგი გაბაშვილმა მსახიობებთან გამართული საუბრის შემდეგ.

გუშინ, დღის განმავლობაში არაერთხელ გაისმა მარჯანიშვილის თეატრის დირექციის უკმაყოფილება, რომ რუსთაველის თეატრი გაცილებით მეტ თანხას იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ვიდრე მარჯანიშვილის თეატრი. ამ პრეტენზიას, მინისტრმა აბსურდული უწოდა და როგორც მარჯანიშვილის მსახიობებს შეხვედრაზე უთხრა, რუსთაველის თეატრი სახელმწიფოსგან არ იღებს იმ ოდენობის დაფინანსებას, რომ მის მსახიობებს ჰქონდეთ ისეთი მაღალი ხელფასი, როგორიც რეალურად აქვთ. გიორგი გაბაშვილის თქმით, ამას რუსთაველის დირექცია თეატრის შემოსავლებითა და მეცენატების დახმარებით ახერხებს. ერთი სიტყვით, გამოდის, რომ თუკი რუსთაველში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე მარჯანიშვილში, ეს მხოლოდ და მხოლოდ თეატრის მენეჯმენტის დამსახურებაა.

აკადემიურ თეატრებს (და ამ თეატრებში მომუშავე მსახიობების ხელფასებს) შორის არსებული სხვაობა არ უკვირთ მარჯანიშვილის მსახიობებს თუნდაც იმიტომ რომ ერთნაირ პირობებში, ამ ორ თეატრში სხვადასხვაგვარი შემოქმედებითი ცხოვრება მიმდინარეობდა. მარჯანიშვილის თეატრს უკანასკნელად პრემიერა რემონტის დაწყებამდე, ორი წლის წინათ ჰქონდა, მაშინ როდესაც რუსთაველის მსახიობები იგივე პირობებში სხვადასხვა სივრცეში მართავდნენ რეპეტიციებს. შემოქმედებითი სტაგნაცია ის ძირითადი საფუძველია, რის გამოც მარჯანიშვილის მსახიობები საკუთარი ხელმძღვანელობის მიმართ უკმაყოფილოები არიან.

**"ისინი ან ვერ ხვდებიან, ან არ სურთ გაიგონ რა გვტკივა. საუბარია თეატრის ღირსებაზე და პრესტიჟზე. როგორ შეიძლება დასი აქციო არაპროფესიონალად; თეატრს სიცოცხლე სჭირდება. უკმაყოფილება წლების განმავლობაში დაგროვდა. მე მრცხვენია, ამაზე არ უნდა საუბრობდეს მსახიობი. ჩათვალეთ, რომ დასის 90 პროცენტი ამგვარად ფიქრობს, მაგრამ ვერ გამოთქვამს. რაღაც სინდრომია და რატომღაც ფიქრობენ, რომ ხელმძღვანელმა უკეთესად იცის. როგორ შეიძლება მარჯანიშვილის თეატრის პრესტიჟი არ დაიცვა. იმდენი სახელის ჩამოთვლა შეიძლება ახლანდელ დასში, რომლებიც ნებისმიერ თეატრს დაამშვენებდნენ. სექტემბერში თუ გაიხსნება ჩვენთან სეზონი, თეატრი ერთი სპექტაკლის ანაბარაა (საუბარია გიზო ჟორდანიას "სამგროშიან ოპერაზე" - რედ.). ძველ სპექტაკლებს რაც შეეხება, ისინი ალსადგენია და იმდენია სამუშაო...", -** ამბობს გუშინდელი მოვლენების მონაწილე, მარჯანიშვილის მსახიობი ვალერი კორშია. მსახიობების ინფორმაციით, სიტუაცია თეატრში არც რემონტის დაწყებამდე იყო საუკეთესო. მაშინ, როდესაც თეატრს ერთადერთი დასვენების დღე უნდა ჰქონოდა კვირაში, თანდათან, მარჯანიშვილში სპექტაკლების რაოდენობა კვირაში სამამდე დაეცა. შეკითხვაზე, ჰქონდათ თუ არა გუშინდლამდე მსახიობებს დირექციასთან საკუთარი პრეტენზიების გამოხატვის საშუალება და რა პასუხს იღებდნენ მათგან, მსახიობები ამბობდნენ, რომ ერთადერთი მიზეზი და პასუხი ხელმძღვანელობისგან იყო არასაკმარისი დაფინანსება სახელმწიფოსგან.

რაც შეეხება ფინანსებს, ხელფასის გარდა, მსახიობები (მხოლოდ მსახიობები) მარჯანიშვილის თეატრის ინვესტორისგან (ვინც სარემონტო სამუშაოების ხარჯს მთლიანად ფარავს) ყოველთვიურ დანამატსაც იღებენ (განსხვავებული რაოდენობით). ხელფასები კი 60-დან 140 ლარამდეა თეატრში და როგორც მსახიობები ამბობენ, სახელმწიფო დაფინანსება ნამდვილად იძლევა საშუალებას, რომ ხელფასები გაიზარდოს. ამ ეტაპზე ერთდღიანი სკანდალი შეიძლება დასრულებულად მივიჩნიოთ. რადგანაც, გუშინვე სამინისტროში გიორგი გაბაშვილისა და თეატრის დირექტორის გაიოზ კანდელაკის შეხვედრაზე შეთანხმდნენ: **მარჯანიშვილის თეატრში სექტემბერში ახალი ხელმძღვანელობა უნდა მივიდეს.**



*გიორგი გაბაშვილი და გაიოზ კანდელაკი შეთანხმდნენ.*



## აფიშა

### კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
თბილისური გაზაფხული
დას: 19:00 სთ.

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**
სამუსიკო სკოლების საჩვენებელი კონცერტი
დას: 17:00 სთ.

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
დარიო ფოს "თავისუფალი წყვილის" მიხედვით
"თავისუფალი სიყვარული"
რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ლევან წულაძე
"სხვა მთვარე"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დასაწყისი: 19:00 სთ.

**სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი**
"მეფე ლირის თავშესაფარი"
რეჟისორი: ოთარ ბაღათურია
დას: 18:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"კომედიანტები"
რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ.

**თეატრი ათონელზე**
"უჩვეულო რეპეტიცია"
რეჟისორი: გ. თოდაძე
დას: 19:00 სთ.

**გრიბოედოვის თეატრი**
ფეოდორ დოსტოევსკი
"თვინიერი"
რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**კინოს სახლი**
ვიქტორ ცოისადმი მიძღვნილი ფილმის ჩვენება
ფასი: 5 ლარი
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ვარსკვლავური ომები - ეპიზოდი III"
14:00; 19:30 სთ.

"ცოდვების ქალაქი"
დას: 17:00; 22:00 სთ.

**ახმეტელი**
"ცოდვების ქალაქი"
დას: 14:15 სთ.

"ვარსკვლავური ომები - ეპიზოდი III"
დას: 16:45 სთ.

"სამი იქსი 2"
20:00 სთ.

**ცირკი**
საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის საცირკო ხელოვნების ოსტატთა წარმოდგენა
დას: 12:00; 15:00 სთ.

### გამოფენები

**თანამედროვე ხელოვნების გალერეა**
იტალიელი მხატვრის ალბაკიარა პიზუტოს ნამუშევართა გამოფენის გახსნა

**ქროსროუდი**
(ირაკლი აბაშიძის 10)
ირინა აბჟანდაძის ფოტონამუშევრები

**კოპალა**
ეკა ნათენაძის ნამუშევრები

**ქარვასლა**
"2004 წლის საუკეთესო ფოტო"
(სააგენტო "როიტერის" ფოტოგამოფენა)

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ეროვნული გალერეა**
პაატა მოისწრაფიშვილის გამოფენა "მინდივნი"
(ფერწერა, გრაფიკა)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატები
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

### კლუბები

**ბერლინი**
ShadowCat წარმოგიდგენთ:
Phil Thompson (Moonrface), ლონდონი, UK)
კლუბის გახსნა: 22:00

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# „მე მკვდარი ვწევარ“...

## ჟურნალ "არილის" ახალი ნომერი აფხაზეთის თემას ეხმაურება

ია ვეკუა

"ახლა აფხაზეთში ომია. ადამიანები ერთმანეთს ხოცავენ", "ჩემი სოფელი კოჩარა აფხაზებმა 1992 წლის ნოემბერში აიღეს", "დოროთე მესხია ასაკოვანი კაცი იყო, როდესაც აფხაზეთის ტრაგედია დატრიალდა" - ეს ქართველი და აფხაზი მწერლების ნაწარმოებების ამონარიდებია. მათი სრული ვერსიების წაკითხვა კი 29 მაისიდან, ჟურნალ "არილის" წლევანდელ მესამე ნომერში შეგეძლებათ. სწორედ ამ დღეს, შუადღის ორ საათზე თბილისის წიგნის ფესტივალის პროგრამაში ჟურნალის პრეზენტაციაა დაგეგმილი.

აღნიშნული ნომრის საზოგადოებისთვის ასე პომპეზურად წარდგენა მხოლოდ ერთი მიზეზითაა განპირობებული - მასში აფხაზეთიდან დევნილი და აფხაზეთში დარჩენილი ავტორების ნაწარმოებებია გაერთიანებული. ჟურნალ "არილის" რედაქცია ამ ნომრის გამოსაცემად დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა, უსაშველოდ გაიწელა მოლაპარაკებების პროცესი, რადგან აფხაზი მწერლები პროექტში მონაწილეობაზე თავიდან უარს აცხადებდნენ. მათი დაყოლიება აფხაზეთიდან დევნილმა მწერალმა გურამ ოდიშარიამ, მისმა კოლეგებმა და ჰაინრიხ ბიოლის ფონდმა შეძლეს (ჟურნალის ამ ნომრის ფინანსური მხარდამჭერი, სწორედ ეს ფონდია). შემდეგ პრობლემა საავტორო უფლებებთან დაკავშირებით წარმოიშვა, გაიწელა მოთხრობების ქართულად თარგმნის პროცესი.

"არილის" ეს ნომერი იმ ნიშნითაა მნიშვნელოვანი, რომ თემატურ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ წერილებს აერთიანებს. გარდა ამისა, ქართულ მწერლობაში აფაზეთის თემა, რატომღაც, იშვიათად განიხილება. სოხუმის დაცემიდან დღემდე მხოლოდ რამდენიმე თითზე ჩამოსათვლელი ნაწარმოები დაიწერა, პოპულარობა კი უფრო ცოტამ მოიპოვა. ქართველი მწერლები ამ თემისგან თავის არიდებას იმითაც ხსნიან, რომ აფხაზეთის ომის ლიტერატურული აღწერისთვის გარკვეულმა პერიოდმა უნდა გაიაროს, მოვლენები მთლიანობაში გადახარშონ და სწორი მიმართულება მისცენ.

ხარშვის პროცესი დღემდე გრძელდება, თუმცა ბევრი უკვე წერასაც ბედავს.




აფხაზეთისადმი მიძღვნილ "არილში" წაიკითხავთ დაურ ზანთარიას, ფაზილ ისკანდერის და დაურ ნაჭყებიას მოთხრობებს. დაურ ზანთარიას "ჩუ-იაკუბის ბედისწერა" ისტორიული ჟანრისაა (თარგმანი ზურაბ კალანდაძის). ოცდახუთი წლის ათასეულის უფროსი მებრძოლი - "უბიხი ყმაწვილი იაკუბი ჩუს გვარისა" - თქმის ლეგენდარული ამბის გმირია. ავტორი, სწორედ, ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი მისტკურობით გვიყვება უძველესი აფხაზეთის ისტორიას.

ფაზილ ისკანდერის მოთხრობის მთავარი გმირები ბიჭი და ომი არიან. ნაწარმოებსაც ასე მარტივად ჰქვია - "ბიჭი და ომი". ისკანდერის ენა მარტივი და გულუბრყვილოა, თუმცა მის მიერ მოთხრობილი ამბავი, ნამდვილია.

დაურ ნაჭყებიას "მალე შემოდგომა დადგება"-ში ამბავს მკვდარი ჯარისკაცი ყვება, რომელსაც საკუთარი გახრწნილი სხეულის სიმყრალე აწუხებს, დარდობს, რომ მალე მძორად იქცევა, მერე კი მის გვამს სხვა ცხედარზე გადაცვლიან. გურამ ოდიშარიას მიერ თარგმნილი ტექსტით ჯარისკაცი იმ პერიოდსაც იხსენებს, ვიდრე ცოცხალი იყო, იარაღს ვითომ ვილაც ჩეჩნისგან ყიდულობდა, მერე კი ქართველების დასახოცად მიდიოდა.

აფხაზი მწერლების გარდა "არილის" მკითხველი გელა ჩქვანავას, დათო ქარდავას, სერგო წურწუმიას, გურამ ოდიშარიასა და თამაზ ვასაძის ნაწარმოებებს აერთიანებს. აქვე წაიკითხავთ რუსუდან ჯანაშიას პუბლიცისტურ წერილს "სოხუმური ზაფხულები", რომელშიც ავტორი ჯანაშიების ოჯახის აფხაზეთში ცხოვრებასა და აფხაზებთან ურთიერთობას იხსენებს.

# აღმოსავლეთი დასავლეთის ეგიდით

სოფიო თოდუა

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კულტურას გაგანია საბჭოთა პერიოდშიც არ აკლდა უცხოელი დამფასებელები, ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური ხელოვნების განყოფილებაში რკინის ფარდა სწორედ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ გაქრა. შინ თუ გარეთ ყველამ იცოდა, რომ აქ გამოფენილ თუ ფონდებში შენახულ ნივთებს ცნობილი მუზეუმები დიდი სიამოვნებით შეიძენდნენ. ტურისტები და ხელოვნების ექსპერტები დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით ბრუნდებოდნენ, მაგრამ მუზეუმში დაცული ისლამური ხელოვნების უნიკალური ნიმუშების გამოცემაზე საქართველოს საზღვრებს გარეთ მოღვაწე მეცნიერები ვერც კი იოცნებებდნენ.

დრო იცვლება - 5-12 ივნისს ხელოვნების მუზეუმი ისლამური ხელოვნების კვირეულს უმასპინძლებს და დასავლელ კულტუროლოგებს საინტერესო ექსპოზიციასთან ერთად მეტად საჭირო სემინარებსაც შესთავაზებს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ისლამური ხელოვნების ნიმუშები მეშვიდე საუკუნიდან მეცხრამეტე ჩათვლით: მინიატიურა, ლაქის მხატვრობა, მინანქარი, ქსოვილები, ლითონის ნაკეთობები, დაზგური და მონუმენტური ფერწერა. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ყაჯართა კოლექციაში დაცული ზეთით შესრულებული არაჩვეულებრივი პორტრეტები, რომელთა ხილვასაც უცხოელი სპეციალისტები უკვე მერამდენე ათეული წელი ელიან.

ყაჯარების დინასტია მე-18 საუკუნის ბოლოს ჩვენთვის კარგად ნაცნობი აღა-მაჰმად ხანის გამეფებით იწყება. ეს ის აღა-მაჰმად ხანია, რომელსაც გამარჯვების ნიშნად ოცი ათასი კაცის დათხრილი თვალი მიართვეს - ყველაზე მეტად ეს ეამებოდა და იმიტომ. მაგრამ ეს ის აღა-მაჰმად ხანიცაა, რომლის შთამომავლებმაც სამყაროს სხვა თვალით შეხედეს და აღმოსავლური ფუფუნება დასავლური სტილისტიკით გაამდიდრეს. მოგვიანებით ამ წარმატებულ მცდელობას მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში "ყაჯართა სტილი" ეწოდა. იქიდან მოყოლებული, აღმოსავლეთი დასავლეთისთვის კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა, თუმცა, ზღაპრულ ჰურიებს უკვე პირმშვენიერი მიწიერი პრინცესები უწევდნენ მეტოქეობას.

როცა ირანში ქვეყნის სათავეში ყაჯარები მოექცნენ, საქართველოს პოლიტიკური ვექტორი რუსეთისკენ გადაიხარა, მაგრამ, პოლიტიკური კონიუნქტურის მიუხედავად, კულტურული ურთიერთობა მათ შორის მაშინაც არ შეწყვეტილა. ახლა ძნელია იმის გარკვევა, ზუსტად როდის და რა გზით მოხვდა ყაჯარების პორტრეტები საქართველოში, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კოლექციის შეგროვება და მისი მეცნიერული შესწავლა შალვა ამირანაშვილის სახელს უკავშირდება. მისი წიგნი **Иранская станковая живопись**, სადაც თბილისური კოლექცია ერმიტაჟის ექსპონატებთან არის შედარებული, დღეს უკვე რარიტეტული იშვიათობაა. საქართველოში დაცული პორტრეტები უნიკალურია როგორც მათი მხატვრული ღირებულებიდან გამომდინარე, ასევე იმითაც, რომ მათ შესახებ დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში მხოლოდ გადმოცემით იციან. ამდენად, ბუნებრივია ის ინტერესი, რაც ისლამური ხელოვნების კვირეულს მოჰყვა. ჩამოდის ყველა, ვინც ამ დარგის ექსპერტად ითვლება: ბარი ვუდი (აშშ), ელეონორ სიმსი (აშშ), ტიმ სტენლი (დიდ ბრიტანეთი), როზმარი კრილი (დიდი ბრიტანეთი), ფრედერიკ ვოგი (გერმანია), გიზელა ჰელმეკი (გერმანია), ფათემა სუდავრა-ფარმანფარმა (შვეიცარია), ერნსტ გრუბე (იტალია), შაჰრიარ ადლი (საფრანგეთი), ჩინგიზ ყაჯარი (აზერბაიჯანი). ეს ის სახელებია, რომელთა გვარები მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებსა თუ სამეცნიერო ცენტრებს უკავშირდება. ერთი საყურადღებო დეტალი: ისინი საქართველოში საკუთარი ხარჯით ჩამოდიან. მაგრამ ქართველი სპეციალისტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლეილა დიბას სტუმრობა, რომელიც გახლავთ ორგანიზატორი გამოფენისა "სპარსული სამეფო პორტრეტი 1785-1925 წწ". ეს ექსპოზიცია მთელი წლის განმავლობაში გამოფენილი იყო ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის წამყვან მუზეუმებში. გარდა იმისა, რომ ლეილა დიბა ისლამური ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად ითვლება, მასვე ეკუთვნის ალბომი "ყაჯარული პორტრეტი", რომელშიც შესულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებში დაცული ფერწერული ნიმუშები საქართველოს გამოკლებით. ეს ქალბატონი, სხვათა შორის, ირანის უკანასკნელი დედოფლის რძალია.


*ირანული ხელოვნება დაცულია ხელოვნების მუზეუმში.*

დღეიდან ისლამური ხელოვნების მოყვარულები კიდევ ერთ ალბომს იხილავენ. მასაც "ყაჯარული პორტრეტი" ჰქვია, ოღონდ ამჯერად გამოცემა ქართული კოლექციის 105 ფერადი ილუსტრაციით არის დამშვენებული. იდეა და დიზაინი მხატვარ ეკა ჯაფარიძეს ეკუთვნის, სამეცნიერო აპარატი კი ხელოვნებათმცოდნე ირინე კოშორიძის მიერაა მომზადებული. აქვეა დაბეჭდილი ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების სტატიები (ბ. რობინსონი, ლ. დიბა, ი. კოშორიძე, მ. ფრიდმანი). რაც შეეხება ყაჯართა სკოლის სხვა პორტრეტებს, ყველა დეტალი, ბუნებრივია, არც მათი შესწავლის შედეგადაა დადგენილი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1924 წელს ირანში ფეჰლევების დინასტიის დამკვიდრების შემდეგ ყაჯარების ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, ირანში დარჩენილ ყაჯარებს კი გვარები შეუცვალეს. ემიგრაციის მეორე ტალღა უკვე 1979 წლის რევოლუციას უკავშირდება.

ყაჯართა ქართულ კოლექციაზე სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი არსებობს. ნაწილი თვლის, რომ ეს მხატვრობა ირანულია და თუ მასში აშკარად შეიმჩნევა დასავლური ფერწერის გავლენა, ეს ევროპასთან კონტაქტების გაღრმავებით აიხსნება. მაგრამ ირანისთვის საქართველო უახლოესი ევროპული ქვეყანა იყო, შესაბამისად, დასავლური კულტურის დაგემოვნება საქართველოდანაც იწყებოდა. ამიტომაც აღნიშნავენ ისლამური ხელოვნების მკვლევარები, რომ გვიანდელ სპარსულ მინიატიურასა და დაზგურ პორტრეტზე გავლენა იქონია ქართულმა კედლის ფერწერამ, კერძოდ, ქტიტორების პორტრეტებმა (რომ არაფერი ვთქვათ იმ ქართველ მხატვრებზე, რომლებიც ირანის შაჰების კარზე მოღვაწეობდნენ). მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც და ამ მოსაზრებას მხოლოდ ქართველი ხელოვნებათმცოდნეები არ იზიარებენ. საქართველოსთვის აღმოსავლეთი ირანით იწყებოდა. საუკუნეების განმავლობაში ევროპას მოწყვეტილი საქართველო სპარსეთით საზრდოობდა, რაც ასე უხვად აისახა ქართულ მატერიალურ თუ არამატერიალურ კულტურაში. ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ საქართველოში დაცული ყაჯართა პორტრეტები სინამდვილეში აქ, ქართველი მხატვრების მიერ დაწერილი ტილოებია, რომლებშიც, ბუნებრივია, იგრძნობა ყაჯარული სტილის გავლენა. ასე რომ, კვირეულის ფარგლებში მოწვეულ კულტუროლოგებსა და ხელოვნებათმცოდნეებს მასპინძლები, მშვენიერი პორტრეტების გარდა, საინტერესო კითხვებსაც დაახვედრებენ.

ალბათ ნიშანდობლივია, რომ ალბომის გამოცემაც და კვირეულის ჩატარებაც ამერიკელთა ფინანსური დახმარებით მოხერხდა. რამდენად აისახება ეს ირან-საქართველოს თუ საქართველო-ამერიკის ურთიერთობებზე, ამაზე ალბათ პოლიტიკოსები იმსჯელებენ. მე მხოლოდ დავძენ: გზა მაშრიყიდან მაღრიბამდე კვლავინდებურად საქართველოზე გადის და ამ გზის ერთ პატარა მონაკვეთზე ყველაზე ძვირად ხელოვნება ფასობს.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად

## ორი მოგონება

# როგორი იყო ლევან აბაშიძე?









აგერ უკვე რამდენი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ომში, ბრძოლების დაწყებიდან, ფაქტობრივად, პირველივე თვეს ლევან აბაშიძე დაიღუპა. აგერ უკვე რამდენი წელიწადი გავიდა, რაც ყოველ 22 მაისს მისი მეგობრები, ახლობლები, მშობლები და, უბრალოდ, ერთგული თაყვანისმცემლები (უმეტესად გოგოები, რომლებიც ამ ხნის მანძილზე გაიზარდნენ, დაოჯახდნენ და ლევანს მაინც ვერ ივიწყებენ) დიდუბის პანთეონში მის საფლავთან იკრიბებიან და მხოლოდ მაისის თვისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი ყვავილებით ულოცავენ. 1992 წლის 7 სექტემბრის ღამე არასდროს დამავიწყდება. ჩვენ, ლევანის მეგობრებმა, მისი ტრაგიკული დაღუპვის ამბავი უკვე ვიცოდით, მთელი ღამე მათი სახლის შორიახლოს ვიდექით და გათენებას შიშით ველოდებოდით. დილას ეს უბედურება დედამისისთვის უნდა გვეთქვა. და კიდევ კოშმარივით მახსოვს, დაკრძალვის დღეს საფლავთან ჯარისკაცების ავტომატების ჯერი, რომლის ხმა დიდი ხანი ყურებში მესმოდა. ლევანს დასტიროდა ყველა - კინოსა თუ თეატრის მოყვარული, დიდი რეჟისორი და უბრალო გამნათებელი, ინტელექტუალი, არისტოკრატი და ლოთი, უბნის ძველი ბიჭი, ლამაზი ახალგაზრდა გოგოები და მოხუცები, ინტელიგენტი და ჩაიკოვსკის ქუჩის მეეზოვე. აგერ უკვე რამდენი წელიწადია, ლევან აბაშიძის საფლავთან, 22 მაისს და 7 სექტემბერს შეკრებილ ქალთა შემადგენლობა, რაოდენობა უცვლელია. იცვლება მხოლოდ მათი ასაკი. კაცები კი, ეტყობა, უფრო ეგოისტები, გულმავიწყები არიან. სამწუხარო და გაუგებარი ფაქტია, რომ ყოველ წელს ლევანის საფლავთან მოსვლას ერთი მისი ახლო მეგობარი ბიჭით ნაკლები ახერხებს. ზოგიერთი, შეიძლება, დიდი კაცი გახდა და აღარ სცალია, ზოგიერთი ნარკოტიკსა თუ ლოთობას გადაჰყვა, ზოგიერთი საზღვარგარეთ არის წასული, ზოგიერთს, უბრალოდ, დაავიწყდა, ზოგიერთი კი დღეს ცოცხალი აღარ არის. ეტყობა, კაცების უმეტესობის ერთგულება სადღეგრძელოში გამოიხატება. რას იზამ!

ჩემი შვილები, მათი მეგობრები, თაობა, რომელსაც ლევან აბაშიძე ბუნდოვნად ახსოვს, ხშირად მეკითხებიან - როგორი იყო ლევან აბაშიძე? მართლა ყველაზე ლამაზი იყო? მართლა ყველას მოსწონდა? მართლა ძალიან ნიჭიერი იყო?.. კი, იყო - ვპასუხობ ჩემი შვილების თაობას და პასუხთან ერთად სასიამოვნო, ცრემლნარევ მოგონებებში მივდივარ, სადაც ლევან აბაშიძე, ჩემთვის პირადად, მზის სხივთან არის ასოცირებული. მზის სხივთან, რომელიც ჩემს ბავშვობას, ყრმობას, ახალგაზრდობას, მთელი ჩემი თაობის, წრის ლაღ, უდარდელ, ბედნიერ წარსულს თითქოსდა ანათებდა. შეიძლება მეჩვენება, რომ ამ მზის სხივის ჩაქრობით, ლევანის დაღუპვით, თითქოს სიმბოლურად, ჩვენი ბავშვობაც, ახალგაზრდობაც დასრულდა და პრობლემებით, ყოველდღიურობით, პანაშვიდებითა და მოგონებებით აღსავსე ზრდასრული ცხოვრება დაიწყო.

თუმცა, ლევანი ჩემზე ერთი-ორი წლით უმცროსი იყო, ვინაიდან ჩვენი ბებიები, ბაბუები, დედები მეგობრობდნენ, ამიტომ მთელი ბავშვობა ერთმანეთის ყველა დაბადების დღეზე დავყავდით. ლევანი მაშინაც კი გამორჩეული იყო. ლამაზი, ოქროსფერი თმებით, ცოტა ჭორფლით, მუდამ მოძრავი, ცელქი; ყველაზე მხიარული თამაშების ინიციატორი და სულ მომღიმარი. ლევანის ღიმილი, რომელიც განსაკუთრებული მომხიბვლელობითა და მონუსხვის უნარით გამოირჩეოდა, ახსოვს ყველას, ვინც მას ერთხელ მაინც შეხვედრია. ლევანი დაუვიწყარად გიღიმოდა. ასე იყო ბავშვობაშიც, ყრმობაშიც, ყმაწვილობაშიც და ასე იყო მისი ცხოვრების, როგორც მერე მივხვდით, თურმე ბოლო წლებშიც, დღეებშიც.

ადამიანები მიდიან, მაგრამ მხოლოდ ერთეულები ტოვებენ ახლობლების, ნაცნობების მეხსიერებაში წარუშლელ კვალს. კითხვაზე, როგორი იყო ლევან აბაშიძე, სტოპკადრივით თვალწინ პარიზიდან ახალჩამოსული, საერთო მეგობრის დაბადების დღეზე მოსული ლევანი მიდგება. მუქი ლურჯი ან, შეიძლება, შავი კოსტიუმით, თეთრი პერანგით, იშვიათი ელეგანტურობის ჰალსტუხით და კვლავ მომღიმარე. ამბობენ, ჩაცმასაც თავისებური ნიჭი უნდაო. ლევანს ეს ნიჭიც კი ჰქონდა. ლევანის არისტოკრატიული ელეგანტურობა მხოლოდ მისი იყო და მხოლოდ მას გამოარჩევდა. თუმცა, ლევანის არისტოკრატიზმზე, ინტელიგენტობაზე, ოჯახზე, ტრადიციაზე, ნიჭზე, ფართო, ნათელ ბუნებაზე ფაქტობრივად, ყველაფერი მეტყველებდა. მხოლოდ მან იცოდა ერთი ყვავილის განსაკუთრებული ელეგანტურობით მორთმევა. მხოლოდ მას ახასიათებდა ჩვეულებრივ გარემოში, საზეიმო, ბედნიერი, ლაღი განწყობილების შექმნის უნარი. მხოლოდ მას შეეძლო ადამიანის ისეთი შეხვედრა, თითქოს ყველაზე მეტად მისი ნახვა უხაროდა. მხოლოდ ის გარისკავდა წყლის დაჟანგული მილით შეყვარებული გოგოს აივანზე აძრომას. მხოლოდ ლევანი გაბედავდა მეგობრის სანახავად ყინვაში, ბაკურიანში დანჯღრეული მოტოციკლეტით ამოსვლას. მხოლოდ მას შეეძლო ნებისმიერი ასაკის ქალების მოხიბლვა, მონუსხვა. ერთხელ ჩემთან სტუმრად მოსულმა ათი-თორმეტი წლის ლევანმა ბებიაჩემზე ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ქალი სიკვდილამდე ამას იხსენებდა. მხოლოდ მას შეეძლო მუდმივად ყველაზე ლამაზი გოგო ჰყოლოდა გვერდში. მხოლოდ მისგან არასდროს არავის არაფერი სწყენია. მხოლოდ მას შეეძლო, მრავალმხრივ ნიჭიერი ყოფილიყო - კინოში, თეატრშიც და, რაც მთავარია, ცხოვრებაშიც, მეგობრებთან, ქალებთან, თაყვანისმცემლებთან, მშობლებთან. მხოლოდ მას ახასიათებდა უკიდეგანო რომანტიზმი, რწმენა, სიყვარული, ერთგულება. მხოლოდ მას შეეძლო ასე, ერთ წამში, იმპულსურად, რომანტიკულად, დაუფიქრებლად, ან შეიძლება პირიქით, ძალიან დაფიქრებულად ომში წასულიყო. და მხოლოდ მას ახასიათებს, რომ აგერ უკვე თოთხმეტი წელიწადი, მისი სახელი არავის ავიწყდება და იგი სამშობლოსთვის დაღუპულთა სიმბოლოდ იქცა. ჩემთვის, თქვენთვის, ჩვენი შვილებისთვის, მშობლებისთვის, უცნობებისთვის და ნაცნობებისთვის ლევან აბაშიძე აფხაზეთის მახინჯი ომის ლამაზი, რომანტიკული, გულწრფელი, მამაცი, დაღუპული, მაგრამ ასეთი ცოცხალი სიმბოლოა.

იმედი მაქვს, რომ მოვა ის დრო, როდესაც დიდუბის პანთეონში 22 მაისს ლევან აბაშიძის საფლავთან ერთხელაც შევიკრიბებით და მას დაბადების დღის ყველაზე ძვირფას საჩუქარს მივართმევთ. მაშინ აფხაზეთი დაბრუნებული გვექნება.

**P.S.** თუ ეს წერილი-მოგონება ოდნავ სუბიექტური გამომივიდა, აფხაზეთში დაღუპულთა თითოეულ დედას ბოდიშს ვუხდი. 22 მაისს ხომ ჩემი ბავშვობის მეგობრის, ლევან აბაშიძის დაბადების დღე იყო. წელს მას ორმოცდაორი წელი შეუსრულდებოდა.

# როდესაც მაესტრო გენატრება

რაც უფრო ნიჭიერი, მრავალმხრივი, კოლორიტულია პიროვნება, მით უფრო ძნელია მისი ხსოვნისადმი, საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი საღამოს მოწყობა, მოფიქრება. არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ პიროვნების ტალანტი, თვითმყოფადობა არ დაიკარგოს, გაუფერულდეს.

როდესაც ჯანსუღ კახიძის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე მივდიოდი, მიახლოებითაც არ მქონდა წარმოდგენილი, თუ როგორ შეიძლება მისი მრავალფეროვანი ნიჭის დანაკარგის გარეშე გადმოცემა. ვის უნდა მიელო მონაწილეობა ამ ხსოვნის საღამოში, რომ ბატონი ჯანოს ხასიათი, ბუნება, არტისტიზმი, კოლორიტი, თვითმყოფადობა ბოლომდე მაქსიმალურად გადმოეცა, შეეხსენებინა.

ჩემი აზრით, საღამოს ორგანიზატორების და, მგონია, პირველ რიგში ვატო კახიძის დამსახურებაა, რომ ხსოვნის საღამოს თავად ჯანო კახიძე "გაუძღვა", მას მიანდეს. წარმოდგენის მთელი კონცეფცია თავად მაესტროს განუმეორებელ ნიჭზე, არტისტიზმზე, მუსიკალურ მრავალფეროვნებაზე, იუმორზე, პიროვნულ შარმზე და უდიდეს ღვაწლზე იყო აწყობილი.



ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალური ცენტრის დარბაზი ბატონი ჯანოს ახლობლებით, მეგობრებით, კოლეგებით, თანამოაზრეებითა და, თუ გნებავთ, თანამებრძოლებითაც იყო სავსე. თითოეულ დამსწრეს მაესტროსთან თავისი საკუთარი, ინდივიდუალური მოგონება აკავშირებდა. დარბაზის თბილი, სევდიანი, ცრემლიან-ღიმილიანი განწყობილება გასაოცრად აშკარად იგრძნობოდა. იგრძნობოდა, რომ ჯანო კახიძის სიმღერები, სიმღერების შესრულების განუმეორებელი, მხოლოდ მისეული ნიჭი, დირიჟორობისას მისი ხელების პლასტიკა, მიხვრა-მოხვრა, ღიმილი, ხუმრობა, მის მიერ მოწყობილი კლასიკური და ქალაქური მუსიკის კონცერტები, მისი შვილობილი ბიჭუნათა გუნდი ყველასათვის ნაცნობი, საყვარელი და საამაყოა. დარბაზში აშკარად იგრძნობოდა, რომ თითოეულ დამსწრეს ჯანო კახიძე ენატრება. ენატრება მისი ხმა, მისი დირიჟორობა, მისი ტალანტი. 25 მაისს მუსიკალურ ცენტრში დამსწრე საზოგადოებას მაესტრო მოენატრა და მათ ამ მონატრების სევდიანი გრძნობის დაკმაყოფილების მაქსიმალური საშუალება მიეცათ.

# ჩემზე ნუ ინერვიულებთ

მიუხედავად იმისა, რომ დედაჩემი და ნოდარ ლადარია ჩემი ამ ბოლო პერიოდში მოხშირებული ცრემლიანობით შეწუხებულები არიან, მაინც გულახდილად ვაღიარებ, რომ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმის, ჰიმნის მონდომებულად, თუნდაც უსმენოდ მომღერალი ჯარისკაცების, მათი ახალი ფორმების, მწყობრი ნაბიჯის, ამაყი სახეების და თბილისის საჰაერო სივრცეში გადაფრენილი თვითმფრინავების შემხედვარეს, ცრემლი მაინც მომერია.

გულისამაჩუყებელი მეორე ფაქტი ის არის, რომ მესამე თაობის ქართველ ემიგრანტს, საქართველოს პირველ საგარეო საქმეთა მინისტრის შვილიშვილს ბატონ გივი ჩხენკელს, რომელმაც ლე ვილის მიწისა და სასახლის საკუთარი ნაწილი საქართველოს დაუბრუნა, პრეზიდენტმა საქართველოს მოქალაქის პასპორტი უბოძა. როგორ შეიძლება გულგრილი დარჩე ბებიის ნასწავლი ქართულით მოლაპარაკე მომხიბვლელი, ჭაღარა მამაკაცის შემხედვარე, რომელიც ღვინისფერ პასპორტს ახდენილ ოცნებად უყურებს, იხუტებს.

მესამე, რაზეც, რამდენიც არ უნდა მკიცხონ, მაკრიტიკონ, გულგრილი ვერაფრით დავრჩებოდი, როდესაც დათო ყიფიანის სახელობის თასის ფინალური თამაშის ბოლო წუთზე მოედანზე მისი უმცროსი შვილი გიორგი ყიფიანი გამოიყვანეს. რა გრძნობები მაქვს, მე პირადად, ამ ბავშვის მიმართ, ამას ნამდვილად არც და ვერც გადმოგცემთ, ეს ძალიან პირადია. მაგრამ იმას კი ვაღიარებ, რომ გიორგი ჯერ მოედანზე და მერე მამამისის სახელობის თასით ხელში რომ დავინახე, ისევ ცრემლები მომადგა.

სამივე შემთხვევაში მე ჩემი ცრემლები ძალიან მსიამოვნებს. დედაჩემი და ნოდარ ლადარია კი მინდა დავამშვიდო. ნუ ინერვიულებენ, მე ყველაფერზე სულაც არ ვტირი. საკმაოდ მყარი ნერვული სისტემა მაქვს და ისტერიკულობითაც არ გამოვირჩევი. უბრალოდ, სატირალზე ბუნებრივად მეტირება და ამას არ ვმალავ.

# ბარემ ლაზათიანად გააკეთეთ

ყველაფრის ეჭვის თვალით ყურების, უკანა, ფარული მიზეზების ძიების თვისება ნამდვილად არ მახასიათებს. რასაც მეუბნებიან, მაჩვენებენ, შეიძლება გულუბრყვილოდ, მაგრამ ვიჯერებ. მაგალითად, მე სრულებით არ მაინტერესებს, ვისთან დასაპირისპირებლად წამოიწყო თბილისის მერმა უკანონოდ გაყიდული მიწების ჩამორთმევა. რა მნიშვნელობა აქვს, ამიტომ აკეთებს თუ იმიტომ, ფაქტია, რომ თავად გადაწყვეტილებას აბსოლუტურად ვეთანხმები. ან ვინ შეიძლება არ დაეთანხმოს, რომ, მაგალითად, "არამიანცის" საავადმყოფოს ტერიტორია ათეულობით ნაკვეთებად არ უნდა იყიდებოდეს.

ეჭვების, ურწმუნოების, სკეპტიციზმისა და დაუნახაობის განსაკუთრებული ტალღა აპრილის თვეში თბილისში მიმდინარე სამღებრო-სარემონტო სამუშაოებმა გამოიწვია. "ბუშისთვის ღებავენ", "მონურად ვხვდებით", "ბრეჟნევსაც ასე ხვდებოდნენ", "ბუშს ატყუებენ", "პოტიომკინის სოფლებივით ღებავენ" და ა.შ. მე არ ვიცი, ვინ და როგორ ხვდებოდა ბრეჟნევს, ეს საკუთარ ბიოგრაფიებში მოიძიონ. არც ის ვიცი, სტუმრის დასახვედრად ქალაქის ოდნავი მოწესრიგება ასეთი გასაკრიტიკებელი რატომ არის. ერთი კი დღეს დანამდვილებით ვიცი. ბუში საქართველოდან ნასიამოვნები, კმაყოფილი, მშვიდობიანად წავიდა, თბილისის მოსაწესრიგებელი სამუშაოები კი არანაკლები მასშტაბით გრძელდება. ათწლეულების განმავლობაში უპატრონოდ მოუვლელი, შეუღებავი, დაშენებულ-მიშენებული ჭავჭავაძის გამზირის, თავისთავად ღირებული, სტალინის პერიოდის შენობები დღეს მთლიანად ხარაჩოებშია ჩასმული და ათეულობით მუშა მათ საგულდაგულოდ წმენდს, ლესავს, ღებავს და მოვლილ, განახლებულ სახეს აძლევს. სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ქართულ საზოგადოებაში, მის პოლიტიკურ ელიტაში ისეთი ერთეულები მაინც მოიძებნება, რომლებიც ამჯერადაც რამე ფარულ მიზეზს მოიგონებენ, აბა, ასე იოლად საკუთარი სკეპტიციზმის ფიასკოს როგორ აღიარებენ?! ნეტავი რას მოიგონებენ ამჯერად: ბუში ბრუნდება? - არა. კონდოლიზა ჩამოდის? - არა. არჩევნებია? - არა. უბრალოდ, ღებვის მეტი არაფერი იციან? - არა, მაშ რა? მოვიცადოთ და მოვისმენთ. სამწუხაროდ, აუცილებლად მოვისმენთ.



ბარემ ეს დაშენებაც მოანგრიეთ.

ერთადერთი, პირადად ჩემი, შეიძლება მაქსიმალისტური თხოვნა იქნება, თუ აკეთებენ, ალამაზებენ, ბარემ ბოლომდე გაალამაზონ. ამხელა სამუშაოებს არავითარი ვიზუალური შედეგი არ ექნება, თუ ღებვის პარალელურად ამ სახლებს დაშენებები არ ჩამოშორდა. როგორც ჰქონდა უკულტურო იერსახე, ისევე დარჩება. მესმის, რომ წლების წინ დაშენებულს, რომელშიც უკვე დიდი ხანია, ცხოვრობენ, ძნელად თუ რამე ეშველება, მაგრამ არსებობს აუთვისებელი, წამოწყებული და ბოლომდე არმიყვანილი დაშენებები, რომელთა მოშლა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. რა მოხდება, რომ სტალინის პერიოდის არქიტექტურას დაუბრუნოთ პირვანდელი სახე. რა მოხდება, რომ საქმე - საქმე, ხარჯი - ხარჯი, სიკეთე - სიკეთე, გალამაზება - გალამაზება იყოს და თუ ვაკეთებთ, ბარემ ლაზათიანად გავაკეთოთ.

მოკლედ

### "რეალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" ბალაკის შეძენა სურთ

მადრიდის "რეალის" ხელძღვანელობა დიდ ინტერესს ამჟღავნებს გერმანული "ბაიერნის" ნახევარმცველის მიხაელ ბალაკის მიმართ. მომავალ სეზონზე გერმანიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელს მიუნხენელებთან კონტრაქტის ვადა ეწურება, ხოლო ახალი კონტრაქტის შესახებ მოლაპარაკებები ჯერაც არ დაწყებულა. თუ ბალაკი "ბაიერნთან" თამაშის გაგრძელებას არ მოისურვებს, მაშინ ქვეყნის ჩემპიონ გუნდს თავის ლიდერ ფეხბურთელთან გამომშვიდობება მოუწევს, თანაც, სრულიად უსასყიდლოდ. ამიტომაც არსებობს იმის ალბათობა, რომ "ბაიერნი" ბალაკის გაყიდვას უკვე ამ ზაფხულსვე გადაწყვეტს.

"სამეფო კლუბის" გარდა, ამ ფეხბურთელის შეძენის სურვილი "მანჩესტერ იუნაიტედმაც" გამოთქვა. ზოგიერთი წყაროს ცნობით, თავად ბალაკს ინგლისში გადასვლას ესპანეთში ურჩევნია.

### "ვილიარეალის" მეკარეს ბენიტესთან თამაში უნდა

"ვილიარეალის" მეკარემ ხოსე მანუელ რეინამ აღიარა, რომ მას ერთი ნაბიჯიღა უკლია ევროპის ახლად გამომცხვარ საკლუბო ჩემპიონ გუნდ "ლივერპულში" გადასასვლელად.

"საბოლოოდ ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი, მაგრამ არ უარვყოფ, რომ "ლივერპულში" გადასვლის ძალიან დიდი შანსი მაქვს. ორივე კლუბმა შეთანხმებას უნდა მიაღწიოს. როგორც ჩანს, ეს მალე მოხდება", - განაცხადა 22 წლის ფეხბურთელმა პრესკონფერენციაზე.

"ბარსელონას" ყოფილი მეკარე ამ სეზონზე საუკეთესო ფორმაში იყო. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმაში, რომ "ვილიარეალმა" მომავალ სეზონზე ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა. რეინა თავის კარიერაში პირველად გამოიძახეს ესპანეთის ეროვნულ ნაკრებში, სადაც ის გამოცდილ მეკარეს სანტიაგო კანისარესს შეცვლის.

თუ შეთანხმება გაფორმდება, რეინა იქნება მეექვსე ესპანელი ფეხბურთელი "ლივერპულის" რიგებში მას შემდეგ, რაც ამ გუნდის თავკაცი ესპანელი სპეციალისტი რაფაელ ბენიტესი გახდა.

### "მილანის" წაგებამ მისი გულშემატკივრის სიცოცხლე შეიწირა

"მილანის" გულშემატკივარმა ვერ გადაიტანა ჩემპიონთა ლიგის ფინალში საყვარელი გუნდის მარცხი - ინფარქტით გარდაიცვალა. იგი იტალიის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ არტა-სან-ჟულიოს მკვიდრი 52 წლის გვიდო ბრონკი გახლავთ. ის სხვებთან ერთად დიდ ეკრანზე ადევნებდა თვალყურს "მილანი"-"ლივერპულის" თამაშს. პირველ ტაიმში "მილანის" მიერ მოწინააღმდეგის კარში გატანილი სამი გოლით გამოწვეული ეიფორია თამაშის მეორე ნახევარში იმედგაცრუებამ შეცვალა. მატჩის დასასრულს გვიდო ბრონკის გული გაუხდა ცუდად, სასწრაფო დახმარებამ მისი გადარჩენა ვერ შეძლო.

### რონალდოს თითი დაუქნიეს

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციამ შეიძლება რონალდოს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება აუკრძალოს. მსგავსი სანქციის მიზეზი ისაა, რომ ფეხბურთელმა უარი განაცხადა კონფედერაციის თასის თამაშში მონაწილეობის მიღებაზე. ეს ტურნირი გერმანიაში გაიმართება 15-29 ივნისს. ბრაზილიელმა ფეხბურთელმა უარი დაღლილობით ახსნა, მაგრამ ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია დაჟინებით აცხადებს, რომ ის ფეხბურთელები, რომლების იგნონირებას გაუკეთებენ კონფედერაციის თასს, მსოფლიო ჩემპიონატზე არ დაიშვებიან. ეს ყველას ეხება, მათ შორის, ტიტულოვან ფეხბურთელებსაც.

ახლა რონალდო არჩევანის წინაშე დგას: ან დაღლილობა უნდა დაივიწყოს და კონფედერაციის თასში მიიღოს მონაწილოება, ან მსოფლიო ჩემპიონატს გამოემშვიდობოს.

### ფოგელი "პსვ"-ს "მილანის" გამო დატოვებს

ჰოლანდიური კლუბის "პსვ"-ს პრესსამსახურის ცნობით, გუნდის ნახევარმცველი იოჰან ფოგელი სამწლიან კონტარქტს გააფორმებს "მილანთან". შვეიცარიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელი კონტრაქტის დეტალების შესახებ უკვე ესაუბრა იტალიური გუნდის მთავარ მწვრთნელს კარლო ანჩელოტის და კლუბის პრეზიდენტს ადრიანო გალიანის.

"უდავოა, რომ "მილანი" ევროპის საუკეთესო კლუბია. ის ოცნების გუნდია", - განაცხადა 28 წლის ფოგელმა.

ფეხბურთელი 1999 წელს გადავიდა "ეინდჰოვენში". ამ გუნდს იგი თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს, რადაგან მის კონტრაქტს მიმდინარე სეზონის ბოლოს გასდის ვადა.

შეგახსენებთ, რომ "პსვ"-ს მეორე ნახევარმცველმა მარკ ვან ბომელმა რამდენიმე კვირის წინ "ბარსელონასთან" გააფორმა ხელშეკრულება.

### მოურინიომ ტერი 50 მილიონად შეაფასა

ლონდონის "ჩელსის" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ მისი გუნდის მცველი ჯონ ტერი 50 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეაფასა. თუმცა, პორტუგალიელმა სპეციალისტმა დასძინა, რომ მისი განცხადება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ლონდონელები კაპიტნის გაყიდვას აპირებენ.

"ჯონი მსოფლიოში საუკეთესო ცენტრალური მცველი და, საერთოდ, სრულყოფილი ფეხბურთელია. ვფიქრობ, რომ მისი ფასი 50 მილიონი გირვანქა სტერლინგია, თუმცა, ჩვენ მის გაყიდვას არ ვაპირებთ. ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ჩვენი ფეხბურთის აკადემია ჯონ ტერისნაირ ერთ ფეხბურთელს რომ გვაძლევდეს, სასწავლებლის მუშაობას წარმატებულად ჩავთვლიდით", - განაცხადა მოურინიომ.

### უეფა "ლივერპულს" ჩემპიონთა ლიგაში არ უშვებს

უეფას წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არ აპირებს მომავალი წლის ჩემპიონატის განრიგში 2005 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდის "ლივერპულის" შეყვანას. როგორც ცნობილია, გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დაიკავა. ეს კი მას, უეფას წესების მიხედვით, ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლებას არ აძლევს.

"სიმპათიურად ვარ განწყობილი ამ გუნდის მიმართ და მინდა, რომ მან კვლავაც მიიღოს მონაწილეობა ჩემპიონთა ლიგაში, თუმცა, წესი წესია. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ უკვე განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გასული გუნდი - "ევერტონი", - აღნიშნა უეფას პრესატაშემ უილიამ გაილარდმა. მისივე თქმით, 2000 წლის პრეცედენტი, როცა "რეალმა" ჩემპიონთა ლიგაში მიიღო მონაწილეობა, როგორც წინა ტურნირის გამარჯვებულმა (თუმცა, ამავე დროს, ქვეყნის ჩემპიონატში იგი მეხუთე ადგილის მფლობელი იყო), მაგალითად ვერ გამოდგება, რადგან მაშინ ეს გადაწყვეტილება ესპანეთის ფეხბურთის ასოციაციამ მიიღო - "სარაგოსას" მადრიდის "რეალი" ამჯობინა.

მრავლად არიან ისინი, ვისაც მომავალ სეზონზე ჩემპიონთა ლიგაში "ლივერპულის" ნახვა უნდათ. მათ შორისაა დიდი ბრიტანეთის სპორტის მინისტრი რიჩარდ კარბონი, რომელმაც "ლივერპულს" მხარდაჭერა აღუთქვა. ბრიტანულ პრესასთან ინტერვიუში მინისტრმა აღიარა, რომ უეფას წარმომადგენლებს არსებული წესების შეცვლის შესახებ უკვე ესაუბრა.

"ვფიქრობ, ეს უსამართლოა. მართალია, ამჟამინდელმა წესებმა ძალიან კარგი ჩემპიონთა ლიგა შექმნა, მაგრამ ზოგიერთი საკითხი მაინც გადასახედია. იმედია, ფინალის დროს ყველანი დავრწმუნდით, რომ კარგი ფეხბურთის ნახვის შესაძლებლობა არ მოგვეცემა იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ გუნდს ტიტულის დაცვის საშუალებას არ მივცემთ", - აღნიშნა კარბონმა.

### ტრაპატონი იტალიაში დაბრუნებას აპირებს

"როიტერსის" ცნობით, პორტუგალიური კლუბის "ბენფიკას" იტალიელი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი, რომელმაც პირველად უკანასკნელი თერთმეტი წლის განმავლობაში გუნდს მიმდინარე სეზონზე ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა, სამშობლოში დაბრუნებას გეგმავს. პორტუგალიური სპორტული გამოცემა Record and O Jogo-ის ცნობით, ტრაპატონის შეძენით დაინტერესებულია "ლაციო". თავად სპეციალისტმა რადიოკომპანია TSF-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ "სამშობლო ძალიან ენატრება".

ფეხბურთი

# ნაკრები მზადებას შეუდგა

4 ივნისს "ხუთჯვაროსნები" ალბანეთში, ადგილობრივ "არწივებთან" მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის ეგიდით მორიგ შესარჩევ თამაშს გამართავენ. ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ალენ ჟირესმა შეკრებაზე შემდეგ ფეხბურთელებს უხმო:

**მეკარეები** - **ლომაია ("ხიმკი" რუსეთი), სტურუა ("ლოკომოტივი" თბილისი), გრიშიკაშვილი ("თბილისი");**

**მცველები** - **ხიზანიშვილი ("რეინჯერსი" შოტლანდია), კალაძე ("მილანი" იტალია), სალუქვაძე ("რუბინი" რუსეთი), კვირკველია ("ალანია" რუსეთი), კვარაცხელია ("კაუნასი" ლიტვა), მჟავანაძე ("ანჟი" რუსეთი), ამისულაშვილი ("დნეპრი" უკრაინა);**

**ნახევარმცველები** - **კობიაშვილი ("შალკე" გერმანია), ცქიტიშვილი ("ფრაიბურგი" გერმანია), ასათიანი ("ლოკომოტივი" რუსეთი), რეხვიაშვილი ("ვენტსპილსი" ლატვია), დარასელია ("ალანია" რუსეთი), ბურდული ("ალანია" რუსეთი);**

**თავდამსხმელები** - **ჯაკობია ("მეტალისტი" უკრაინა), აშვეთია ("ლოკომოტივი" რუსეთი), იაშვილი ("ფრაიბურგი" გერმანია), არველაძე ("რეინჯერსი" შოტლანდია), დემეტრაძე ("მეტალურგი" უკრაინა).**



*ჟირესმა შემადგენლობა დაასახელა.*

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვების შანსი უკვე დაკარგა, ქართული საფეხბურთო სამყარო ერთობ ინდიფერენტულად ხვდება ამ მოვლენას. ეს კარგად ესმის თავად ჟირესსაც, რომელიც ამჟამად მთავარ ამოცანად ისახავს ნაკრებში უწინდელი საბრძოლო სულისკვეთების დაბრუნებას.

"ბოლო ორმა წარუმატებელმა მატჩმა საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს ერთგვარად საკუთარი ძალების რწმენა დაუკარგა. ალბანეთთან მატჩისწინა შეკრებაზე და თავად თამაშზე სწორედ ამ გარემოებას მივაქცევთ ყურადღებას. გუნდმა უნდა დაიბრუნოს ის განწყობა და მენტალიტეტი, რომლითაც შესარჩევი ტურნირის სტარტზე ვთამაშობდით და კარგ შედეგებს ვაღწევდით. საბერძნეთთან და თურქეთთან ნაწვნევმა მარცხმა ამოგვაგდო განვითარების რიტმიდან. ალბანელებთან შეხვედრაში ამ რიტმს უნდა დავუბრუნდეთ და ნაკრების მშენებლობის პროცესს შეუქცევადი ხასიათი მივცეთ", - განაცხადა ალენ ჟირესმა გუშინ, ფეხბურთის ფედერაციის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე.

გაფართოებულ სიაში, რომლიდანაც მწვრთნელმა 22 ფეხბურთელი ამოარჩია, გოგუა, ხიზანეიშვილი და გახოკიძეც იგულისხმებოდნენ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ისინი გამოძახებულთა სიაში ვერ მოხვდნენ.

"გოგუა წითელი ბარათის გამო გამოტოვებს ალბანელებთან მატჩს, ხოლო ხიზანეიშვილსა და გახოკიძეს ტრავმები აქვთ მოსაშუშებელი. ამჯერადაც შევარჩიე ფეხბურთელები, რომლებზეც შესარჩევი ციკლის სტარტიდან ვაკეთებთ აქცენტს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ვინმესთვის ნაკრების კარი დახურულია. დასტურად სტურუას, გრიშიკაშვილის, დარასელიასა და რეხვიაშვილის გამოძახებაც გამოდგება", - აღნიშნა ჟირესმა.

საქართველოს ნაკრები საწვრთნელ შეკრებას ზეგ, 30 მაისს დაიწყებს. ეროვნული გუნდი დიდ დიღომში, ბასა ლოლობერიძის სახელობის ტექნიკურ ცენტრში შეიკრიბება, საქართველოში 2 დღეს დაჰყოფს და 2 ივნისს ჩარტერული რეისით ალბანეთში გაემგზავრება.

# გენერალური მდივნის წინასაყრილობო აღსარება

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომელშიც საუბარია ფეხბურთის ფედერაციის ფინანსურ მდგომარეობაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლოხანს განვითარებული მოვლენების კონტექსტში საზოგადოება დიდ ინტერესს იჩენს ფეხბურთის ფედერაციისა და ამ უწყების ფინანსური საქმიანობის მიმართ, "24 საათი" გთავაზობთ განცხადების სრულ ვერსიას.

### სფფ-ს გენერალური მდივნის განცხადება

2005 წლის 20 მაისს დამთავრდა (2 წლის ვადით) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია, რომელიც გაიარეს:

ბატონმა ვლადიმერ გუცაევმა, კანდიდატურა წამოაყენა მცხეთა-მთიანეთის რეგიონულმა ფეხბურთის ფედერაციამ;

ბატონმა ნოდარ ახალკაცმა, კანდიდატურა წამოაყენა ს/კ ზესტაფონის "ზესტაფონმა";

ბატონმა გიორგი ნემსაძემ, კანდიდატურა წამოაყენა გურიის რეგიონულმა ფეხბურთის ფედერაციამ და ს/კ ფოთის "კოლხეთი 1913"-მა;

ბატონმა რევაზ არველაძემ, კანდიდატურა წამოაყენა ს/კ თბილისის "თბილისმა".

სფფ-ს ამჟამინდელი მდგომარეობა ახლად არჩეულ პრეზიდენტს აძლევს საშუალებას, მაქსიმალურად მცირე დროში გაერკვეს საქმის ვითარებაში და გააგრძელოს თავისი საქმიანობა ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ.

2005 წლის 25 მაისის მდგომარეობით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არ გააჩნია დავალიანება ქვეყნის ბიუჯეტის, იურიდიული ან ფიზიკური პირების მიმართ.

### ამ დროისთვის სფფ-ს საკუთრებაში იმყოფება:

1. ბასა ლოლობერიძის სახელობის ტექნიკური ცენტრი "მცხეთა", საბალანსო ღირებულებით 1 647 000 ლარი (ფიფას გრანტი და სფფ-ს საკუთარი სახსრები);

2. ტექნიკური ცენტრი "ლაგოდეხი", საბალანსო ღირებულებით 88 100 ლარი:

3. ქართული ფეხბურთის სახლი (სფფ-ს ახალი ოფისი), საბალანსო ღირებულებით 881 000 ლარი (უეფას გრანტი, სფფ-ს საკუთარი სახსრები);

4. სფფ-ს ძველი ოფისი, საბალანსო ღირებულებით 30 000 ლარი;

5. სამსახურებრივი ტრანსპორტი: ტურისტული ავტობუსი "მერსედეს ლუქსი", საბალანსო ღირებულებით 346 300 ლარი; მიკროავტობუსი "მერსედეს სპრინტერი", საბალანსო ღირებულებით 53 752 ლარი; მსუბუქი ავტომობილი "ტოიოტა", საბალანსო ღირებულებით 12 000 ლარი; მიკროავტობუსი "რენო", საბალანსო ღირებულებით 19 200 ლარი.

6. საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისთვის "პუმას" ფირმის სპორტული ფორმის ეკიპირების კომპლექტი (უეფას გრანტი) 2005/06 წლებისთვის. ამასთან ერთად, სფფ თავისუფალია საკონტრაქტო ვალდებულებისგან და აქვს უფლება, გააფორმოს ტექნიკური კონტრაქტი სპორტული ფორმის მწარმოებელ ნებისმიერ ფირმასთან.

7. სფფ არის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის სააქციო საზოგადოების დამფუძნებელი (5%). აქციების რაოდენობა შეადგენს 587 505, თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება არის 1 ლარი, რაც ჯამში შეადგენს 587 505 ლარს. გარდა ამისა, ინდივიდუალური სკამების დაყენებაზე ინვესტიცია 1 010 200 ლარის ოდენობით ზემოაღნიშნული სააქციო საზოგადოების მიერ დღემდე არ არის ასახული სფფ-ს წილში. ამასთან ერთად, სფფ-ს წინა ხელმძღვანელობის მიერ 1997/1998 წლებში უეფასგან აღებული ინვესტიცია საერთო თანხით 1 000 000 შვეიცარიული ფრანკი, რომელიც უნდა დაფარულიყო 2018 წლისთვის, მთლიანად გადახდილია.

8. "საქართველოს ბანკის" ფიფა/სფფ-ს და უეფა/სფფ-ს სპეციალურ საბანკო ანგარიშებში ირიცხება მიზნობრივი მოხმარების ფულადი სახსრები: ტექნიკურ ცენტრ "მცხეთის" მეორე რიგის განვითარება; ხელოვნურსაფარიანი მინიმოედნების მშენებლობა; რეგიონული ფედერაციების ოფისების მშენებლობა; მათთან გახსნილი ბავშვთა საფეხბურთო სკოლებისთვის გასახდელებით, ტუალეტებით, საშხაპეებით და მწვრთნელთა ოთახებით;

9. ამას გარდა, სფფ-ს მიერ ფიფა/უეფაში წარდგენილი ყველა პროექტი ოფიციალურად დამტკიცებულია, დაწყებულია დაფინანსება, რის შედეგად 2005/06 წლებში სფფ მიიღებს გრანტებს თავისი საქმიანობის ქვემოთ მოყვანილი მიმართულებებისთვის:

### უეფა/ფიფას მიერ სფფ-სთვის 2005/2006 წლებისთვის გამოყოფილი გრანტები

1. 2005 წლის აგვისტო - 300 000 შვეიცარიული ფრანკი. უეფას პროგრამა "სოლიდარობა" სფფ-ს საქმიანობისთვის

2. 2005 წლის დეკემბერი - 300 000 შვეიცარიული ფრანკი. უეფას პროგრამა "სოლიდარობა" სფფ-ს საქმიანობისთვის

3. 2006 წლის ივნისი - 400 000 შვეიცარიული ფრანკი. უეფას პროგრამა "სოლიდარობა" სფფ-ს საქმიანობისთვის

4. 2006 წლის აგვისტო - 300 000 შვეიცარიული ფრანკი. უეფას პროგრამა "სოლიდარობა" სფფ-ს საქმიანობისთვის

5. 2006 წლის დეკემბერი - 300 000 შვეიცარიული ფრანკი. უეფას პროგრამა "სოლიდარობა" სფფ-ს საქმიანობისთვის

6. 2005 წლის ივნისი - 23 000 აშშ დოლარი. ფიფა - ტექნიკურ ცენტრ "მცხეთისთვის" კონდიციონერების შესაძენად (ფიფას ტენდერი)

7. 2005 წლის სექტემბერი - 400 000 აშშ დოლარი, ფიფა - ტექნიკურ ცენტრ "მცხეთისთვის" ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის შესაძენად (ფიფას ტენდერი)

8. 2006 წლის მარტი - 225 000 აშშ დოლარი. ფიფა - სფფ-ს საქმიანობისთვის ფინანსური დახმარება

9. 2005 წლის მარტი - 40 000 აშშ დოლარი. ფიფა - ქალთა ფეხბურთისთვის ფინანსური დახმარება

10. "ჰეთ თრიკი" 2005 წელი - 84 000 ევრო. სფფ-ს მოთხოვნით, მინიმოედნების მშენებლობისთვის.

11. "ჰეთ თრიკი" 2006 წელი. 480 000 შვეიცარიული ფრანკი სფფ-ს მოთხოვნით, მინიმოედნების მშენებლობისთვის.

12. "ჰეთ თრიკი" 2005 წელი - 400 000 შვეიცარიული ფრანკი. ა/წ აგვისტოდან ოფისებისა და ტექნიკური ცენტრის მშენებლობისთვის;

13. "ჰეთ თრიკი" 2005 წელი - 279 000 შვეიცარიული ფრანკი. სფფ-ს მოთხოვნით ოფისებისა და ტექნიკური ცენტრის მშენებლობისთვის.

14. 2005 წლის ოქტომბერი - 275 000 შვეიცარიული ფრანკი უეფა - უმაღლესი ლიგის კლუბების ახალგაზრდული პროგრამებისთვის.

### აღნიშნული პროექტების გარდა, 2005/2006 წლებში სფფ-ს შემოსავალი სპონსორებისგან

1. 2005 წლის მაისი - დეკემბერი 225 ათასი აშშ დოლარი - "ფეროსგან", 50 ათასი დოლარი - "ყაზბეგისგან", სფფ-ს საქმიანობისთვის.

2. 2006 წლის იანვარ - დეკემბერი 150 000 აშშ დოლარი - "ფეროსგან", სფფ-ს საქმიანობისთვის.

სფფ-ს მოვალეები (იურიდიული პირები)

1. 2005 წლის ივნისი - ივლისი 50 000 აშშ დოლარი, ტელეკომპანია "სპორტი", სფფ-ს საქმიოანობისთვის

2. 2005 წლის ივნისი - ივლისი 10 000 აშშ დოლარი, რაგბის ფედერაცია, სფფ-ს საქმიანობისთვის.

### სფფ-სადმი იურიდიული და ფიზიკური პირების დებიტორული დავალიანებები

(სფფ-ს სუბიექტები და თანამშრომლები)

1. 2005 წლის 25 მაისის მდგომარეობით - 60 000 ლარი.

ტელე და სარეკლამო უფლებები 2006-2007 წლები ევროპის ჩემპიონატის 2006/2007 წლების შესარჩევი ტურნირების კენჭისყრის შემდეგ - 2006 წლის იანვარში, ქალაქ ვენაში.

### ბილეთების რეალიზაცია

1. 2005 წელს საშინაო თამაშების უმაყურებლოდ ჩატარების გამო შემოსავალი არ იქნება

2. 2006 წელს ჯგუფის შემადგენლობიდან გამომდინარე, ბილეთების ფასები და მათი რეალიზაცია

მოკლე ინფორმაცია სფფ-ს გენერალური მდივნის საქმიანობაზე

გენერალური მდივანი არ შედის სფფ-ს აღმასკომის შემადგენლობაში და არ განსაზღვრავს სფფ-ს პოლიტიკას. ეს ყრილობის, აღმასკომის და სფფ-ს პრეზიდენტის პრეროგატივაა. გენერალური მდივანი ასრულებს, ახორციელებს მონიტორინგს და აკონტროლებს სფფ-ს უმაღლესი ორგანოების, აგრეთვე ზემდგომი საერთაშორისო ორგანიზაციების (ფიფა/უეფა) მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას, წესდების შესაბამის მუხლში ასახული თავისი ფუნქციონალური მოვალეობების ჩარჩოებში.

მე ვმუშაობდი სფფ-ს გარშემო არსებული რეალური მდგომარეობის შესაბამისად, რასაც, ბუნებრივია, არ შეეძლო ხელი შეეწყო ქართული ფეხბურთის თანმიმდევრული განვითარებისათვის.

ჩვენს შორის მოქმედი კონტრაქტის 8.2 მუხლის შესაბამისად, ორივე მხარეს - სფფ-ს გენერალურ მდივანს და აღმასკომს, ცალმხრივად, ერთმანეთის მიმართ ყოველგვარი ფინანსური პრეტენზიის გარეშე, შეუძლიათ მოქმედი კონტრაქტის გაწყვეტა.

ამ შემთხვევაში დგინდება ტექნიკური ვადა ყველა იურიდიული და ფინანსური დოკუმენტის გადაფორმებისთვის საქართველოში და ფიფა/უეფაში - შვეიცარიაში. აღნიშნული საკითხი მე ჩავრთე სფფ-ს აღმასკომის დღის წესრიგში, რომელიც გაიმართება 2005 წლის 10 ივნისს.

აქედან გამომდინარე, მე ვერ ვხედავ რაიმე გართულებას სფფ-ს შემდგომ საქმიანობაში.

*სფფ-ს გენერალური მდივანი*
*ვალერი ჩოლარია*

ინფოთეკა

### "ლიონს", შესაძლოა, "სოშოს" ყოფილმა თავკაცმა უხელმძღვანელოს

"როიტერსის" ცნობით, შესაძლებელია ფრანგული კლუბის "სოშოს" მთავარი მწვრთნელი გი ლაკომბი უახლოეს ხანში "ლიონის" რიგებში გადავიდეს, სადაც იგი პოლ ლე გუენს შეცვლის, მწვრთნელს, რომლის ხელმძღვანელობის დროს "ლიონმა" ზედიზედ სამჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული. უფრო ადრე ლე გუენი ამბობდა, რომ გუნდიდან წასვლას სეზონის ბოლოს აპირებდა. "ლიონის" თავკაცის პოსტზე კანდიდატად ასახელებდნენ ასევე ჟერარ ულიეს. თუმცა, კლუბის ხელმძღვანელობამ საბოლოოდ უარი უთხრა "ლივერპულის" ყოფილ მწვრთნელს.

### სიმპლისიუ "პარმას" დატოვებს

იტალიური კლუბის "პარმას" გენერალურმა დირექტორმა ლუკა ბარალდიმ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათი გუნდის ნახევარმცველის ფაბიო სიმპლისიუს შეძენა მილანის "ინტერს" სურს. ბარალდის თქმით, ბრაზილიელის მიმართ დიდ ინტერესს ამჟღავნებს ასევე მადრიდის "რეალი".

"დიდი სიამოვნებით შევინარჩუნებდით სიმპლისიუს, მაგრამ მას სხვა გეგმები აქვს", - განაცხადა ბარალდიმ.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### შაბათი. 28 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი კვირის ჰიტ-ალუმი - გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" - "ბავარია"
14:00 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. "მილანი" - "ლივერპული"
17:05 თავისუფალი დარტყმა
17:25 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი". სეზონის შედეგები
17:55 შოტლანდიის თასი. ფინალი. "დანდი იუნაიტედი" - "სელტიკი". პირდაპირი ტრანსლაცია
19:50 სახვალიო ტელეპროგრამა
19:55 თავისუფალი დარტყმა
20:10 "საფეხბურთო კლუბი"
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. "რეალ სოსიედადი" - "ბარსელონა". პირდაპირი ტრანსლაცია
22:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ნანტი" - "მეცი"
00:35 თავისუფალი დარტყმა
00:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ბორდო" - "მარსელი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:15, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ქრონიკა"
10:25 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი"
13:15 "სარკის წინ"
13:45 "ფარი და ბურთი" - ტელეჟურნალი
14:30 სპორტული ტანვარჯიში. "სტელა ზახაროვას თასი"
15:30 როდეო. "Bull Riders"
16:30 ჰოკეი. სტენლის თასის რეტროსპექტივა. 2002 წელი. ფინალი. "OTTAWA SENATORS" - "TORONTO MAPLE LEAFS". მე-4 მატჩი.
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. პლეი-ოფი. შესვენებისას (21:00) - პრესცენტრი
22:05 ფიგურული სრიალი. კრისტი იამაგუჩის შოუ
23:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". შედეგები
00:05 ახალი ამბები
00:20 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "FRANKFURT GALAXY" - "BERLIN THUNDER"
02:35 02:35-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. ხულიო სეზარ ჩავესი - ივან რობინსონი. პირდაპირი ტრანსლაცია აშშ-დან

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში
11:30 ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი
12:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი"
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 ველორბოლა. იტალიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი ტურინგის კლასში
23:15 მებრძოლთა კლუბი
01:00 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
01:30 ახალი ამბები
01:45 მულტისპორტი. VIP - საშვი
02:00 რალი რეიდი. მსოფლიო თასი მაროკოში
02:15 მებრძოლთა კლუბი

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი: გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგიული მკურნალობა;

II ლოტი: მოზრდილთა გულის ქირურგია.

***შენიშვნა: მომსახურება განხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ქ. თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქ. ფოთის მოსახლეობის გარდა.***

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 15 ივნისიდან 16 ივნისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

***პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში***, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში ***(საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად).***

***პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას***:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ვ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 17 ივნისიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში (თითოეულ ლოტზე) გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე, ქეთევან ხარაძე, თინათინ ხეჩინაშვილი, ალექსანდრე მამალაძე, ტ. 694871, 696590, მაკა ჩაჩანიძე ტ. 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: Procurement-Ge@yahoo.com .

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ორგანოთა და ქსოვილთა ტრანსპლანტაციის კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია: თირკმლის ქრონიკული უკმარისობის ტერმინალური სტადიით დაავადებულ პაციენტთა თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაციით უზრუნველყოფა.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 15 ივნისიდან 16 ივნისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

***პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში***, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში ***(საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენასთან ერთად).***

***პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას***:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ე) ინფორმაცია გასაწევი მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება 2005 წლის 17 ივნისიდან, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარილი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე, ქეთევან ხარაძე ტ. 694871, 696590, მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: Procurement-Ge@yahoo.com .

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი აცხადებს ღია ტენდერს ავტომანქანების შეკეთების მმსახურებისა და შესაბამისი ავტონაწილების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს მასში მონაწილეობის მისაღებად.

დაფინანსების წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.

შესყიდვის ობიექტი: ავტომანქანების შეკეთების მომსახურება და შესაბამისი ავტონაწილები.

| N | პროდუქტის დასახელება | თანხა წლიურად | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1. | სარემონტო სამუშაოები მარაგნაწილებით | 60000 | მოთხოვნის მიხედვით | ქ.ბათუმი |

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, გაზეთში გამოქვეყნებიდან 15 დღის გასვლის შემდეგ 5 დღის ვადაში, საღამოს 18 საათამდე, მისამართზე: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №9, აჭარის ავტონომიური რესპუბლიის მთავრობის აპარატი.

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისაწინებული პირობების შესაბამისად. ამასთან, კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები უნდა გადაიხადოს საქონლის მიმწოდებელმა პირმა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

- ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მათი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს მის მიმართ სანაციისა და გაკოტრების საქმის წარმოება;
- ცნობა საჯარო რეესტრის შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მათ ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მათი ხელმძღვანელი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობისას იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ბანკიდან, რომ ანგარიშზე ერიცხებათ გარკვეული თანხა და არ აქთ დავალიანება;
- საგადასახ-ადოდან, რომ ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხებათ დავალიანება.

დაინტერესებული პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ ზემოთ აღნიშნულ ვადებში არ წარმოადგენენ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე წარმოდგენილი ცნობა ან ინფორმაცია აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინაში 500 ლარის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2005 წლის 16 ივნისიდან 20 ივნისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №9, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ, ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. №9, - მთავრობის აპარატის ადმინისტრაციულ შენობაში. ტელ: 3 20 16, მობ. 877 75 91 66.

*სატენდერო კომისია*

# საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს პირადი შემადგენლობის თეთრეულის სამრეცხაო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

| გასაწევი მომსახურეობის დასახელება | რაოდენობა | მომსახურეობის გაწევის ადგილი |
|---|---|---|
| პირადი შემადგენლობის თეთრეული | 46 092 კგ | ქ. ქუთაისი |
| | 93580 კგ. | ქ. თბილისი |

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული მომსახურება უნდა განხორციელდეს 2005 წლის 6 ივლისიდან 2005 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მომსახურების ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯი, გარდა თეთრეულის ტრანსპორტირების ხარჯისა. ასევე კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
3. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკიურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

**დამატებითი მოთხოვნები როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

- ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ.

- ინფორმაცია საკუთარი საწარმოო სიმძლავრეების შესახებ.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2005 წლის **13 ივნისიდან** 2005 წლის **17 ივნისის 14 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0177, ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2 შესყიდვების დეპარტამენტი მე-6 სართული ოთახი N609**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2005 წლის 17 **ივნისს 17 საათზე** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს 2005 წლის **22 ივნისიდან 2005 წლის 24 ივნისის 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: **0177, ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2. თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული ოთახი N609.** სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 28 ივნისის** 15 **საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 28 ივნისს** 15 **საათზე.** პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონze **25-17-74.**

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა, საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშის N000115007, კოდი 220101107) აცხადებს ღია ტენდერს ალავერდი-ალვანის საავტომობილო გზაზე, მდინარე ალაზანზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო (რეგულაციის აღდგენა) სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** სამუშაოების შესრულების ვადა - მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად (სავარაუდოდ: 2005-2006წ.წ.)

დაინტერესებულ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში.

**3.** დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2005 წლის 14 ივნისის 1000 საათიდან 2005 წლის 14 ივნისის 1700 სთ.-მდე, ორ ეგზემპლიარად შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

**4.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1** ცნობები:

**4.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**დ)** ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

**ე)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**4.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

**4.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, ერთობლივი საქმიანობა, თხოვნება და ა. შ.) შემდეგი მანქანა-მექანიზმები:

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ექსკავატორი ციცხვის მოცულობით 0.65 მ$^3$ | 1 |
| 2 | ვიბროზური | 1 |
| 3 | ამწე ტვირთამწეობით 10 ტ | 1 |
| 4 | ბულდოზერი | 1 |
| 5 | პნევმატური სატკეპნი 25 ტ | 1 |

ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.

- იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თუ იმყოფება საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს მონაწილის ბალანსი, სადაც აღრიცხული იქნება შესაბამისი მანქანა-მექანიზმები.

- ცნობა ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად. დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

| N | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

- ცნობა სუბ-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, სუბ-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ. ცნობა წარმოადგინეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | |

- ლიცენზია.

**4.2.** ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს;

| შესასრულებელი სამუშაოს სახე | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | |

- ინფორმაცია იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ განხორციელებული ანალოგიური სახის სამუშაოების გამოცდილების შესახებ;

**5.** მონაწილის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

**6.** მონაწილე ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინასაკვალიფიკაციო მოთხოვნას.

**7.** საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

**8.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9.** სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) ტენდერში დაშვებულ პრეტენდენტებს შეეძლებათ 2005 წლის 20 ივნისის $10^{00}$ საათიდან 2005 წლის 21 ივნისის $17^{00}$ საათამდე, 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უნდა წარმოადგინოს ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არა ნაკლებ 5% ოდენობით.

**10.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოში, საკონტაქტო ტელეფონი 37.63.95 გია დიასამიძე.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, ქ. თბილისი, 0105, ლერმონტოვის ქ.N10, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ენერგეტიკული სექტორის სუბსიდირებისთვის განკუთვნილი ასიგნებების ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" რეაბილიტაციის პროგრამების ღონისძიებებზე *შემდეგი ლოტების მიხედვით:*

**ლოტი I - გამრიცხველიანების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი საქონლის შესყიდვა-მოწოდების განხორციელებას:**

| | |
|---|---|
| ცალფაზიანი მრიცხველი<br>სამფაზიანი მრიცხველი | რაოდენობა 105440 ცალი<br>რაოდენობა 300 ცალი |
| ერთმრიცხველიანი მრიცხველის კარადა თავისი სამაგრით 1 ფაზა (წყალგამძლე) | რაოდენობა 60859 ცალი |
| სამმრიცხველიანი მრიცხველის კარადა თავისი სამაგრით 1 ფაზა (წყალგამძლე) | რაოდენობა 3964 ცალი |
| ცხრამრიცხველიანი მრიცხველის კარადა 1 ფაზა (წყალგამძლე) | რაოდენობა 310 ცალი |
| თორმეტმრიცხველიანი მრიცხველის კარადა 1 ფაზა (წყალგამძლე) | რაოდენობა 536 ცალი |
| თექვსმეტმრიცხველიანი მრიცხველის კარადა 1 ფაზა (წყალგამძლე) | რაოდენობა 449 ცალი |
| ოცდაოთხმრიცხველიანი მრიცხველის კარადა 1 ფაზა (წყალგამძლე) | რაოდენობა 441 ცალი |
| 63 ამპერიანი ორფაზა ავტომატური ამომრთველი<br>100 ამპერიანი სამფაზა ავტომატური ამომრთველი | რაოდენობა 104990 ცალი<br>რაოდენობა 846 ცალი |
| 200 ამპერიანი სამფაზა ავტომატური ამომრთველი | რაოდენობა 860 ცალი |

**ლოტი II - გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგი საქონლის შესყიდვა-მოწოდების განხორციელებას:**

| | |
|---|---|
| გამანაწილებელი სადენი 2X6მმ² (სპილენძი)<br>სადენი ძალოვანი კარადიდან მრიცხველის კარადამდე 4X35მმ² (ალუმინი) | 1290000 მეტრი;<br>21700 მეტრი; |
| სადენი ძალოვანი კარადიდან მრიცხველის კარადამდე 4X50მმ² (ალუმინი) | 22000 მეტრი; |
| ძალოვანი სადენის 4X35მმ²-ის (ალუმინი) ბუნიკი | 7000 ცალი; |
| ძალოვანი სადენის 4X50მმ²-ის (ალუმინი) ბუნიკი | 7300 ცალი; |
| სადენის სამაგრი ჩამჭერები 2X6მმ²-ისთვის | 164300 ცალი; |
| დაბალი ძაბვის იზოლატორები თავისი სამაგრით | 79200 ცალი; |
| გამანაწილებელი სადენის 2X6მმ²- სამაგრები (სპილენძის) | 1290000 ცალი; |
| ძალოვანი სადენის 4X35მმ²-ის (ალუმინი) სამაგრი | 21700 ცალი; |
| ძალოვანი სადენის 4X50მმ²-ის (ალუმინი) სამაგრი | 22000 ცალი; |
| ქუდი 150 მმ-ის | 68000 ცალი; |
| ქუდი 1000 მმ-ის<br>პოლიეთილენის (პლასტმასის) მილი D=100 | 290000 ცალი;<br>27300 მეტრი; |
| პოლიეთილენის მილის სამაგრები 50მმ² ის<br>დამიწების სადენი D=6მმ (კატანკა)<br>მეროთიული რკინა D=18მმ | 27300 ცალი;<br>191000 მეტრი;<br>135700 მეტრი; |
| ძალოვანი კაბელები: | |
| 3X50 10 კვ<br>3X70 – 10 კვ | 10 კმ<br>10 კმ |
| 3X95 10 კვ<br>3X120 – 10 კვ | 30 კმ<br>40 კმ |
| 3X185 – 10 კვ | 25 კმ |
| 3X240 – 10 კვ | 5 კმ |
| 3X25+1X16 – 0.4 კვ | 20 კმ |
| 3X50+1X25 0.4 კვ<br>3X70+1X35 – 0.4 კვ | 15 კმ<br>15 კმ |
| 3X95+1X50 0.4 კვ | 10 კმ |
| 3X120+1X70 – 0.4 კვ | 5 კმ |
| თვითმზიდი იზოლირებული კაბელი 4X16 0.4 კვ | 40 კმ |
| თვითმზიდი იზოლირებული კაბელი 3X25+1X54 – 0.4 კვ | 50 კმ |
| შიშველი ალუმინის გამტარები: | |
| 80 ტონა AC 35 | 10 ტონა |
| 50 ტონა AC 35 | 30 ტონა |
| 70-იანი AC-35<br>საყრდენები და იზოლატორები: | 15 ტონა |
| რკინაბეტონის ბოძი 10 კვ | 4000 ცალი |
| რკინაბეტონის ბოძი 0.4 კვ | 1000 ცალი |
| იზოლატორი 10 კვ | 10000 ცალი |
| იზოლატორი 0.4 კვ | 4000 ცალი |

**ლოტი III - ქვესადგურებისა და ტრანსფორმატორების შესყიდვა-მოწოდების პროგრამა**

ძალოვანი ტრანსფორმატორები

| ტიპი | სიმძლავრე (კვ) | რაოდენობა |
|---|---|---|
| 160 კვა | 10/0.4 | 50 ცალი |
| 400 კვა | 10/0.4 | 30 ცალი |
| 630 კვა | 10/04 | 25 ცალი |
| 160 კვა<br>400 კვა | 6/0.4<br>6/0.4 | 50 ცალი<br>30 ცალი |
| 630 კვა | 6/0.4 | 25 ცალი |

ძაბვის ტრანსფორმატორები

| სიმძლავრე (კვ) | რაოდენობა |
|---|---|
| 6 | 100 კომპლექტი |
| 10 | 100 კომპლექტი |
| 35<br>110 | 10 კომპლექტი<br>10 კომპლექტი |

სატრანსფორმატორო ქვესადგური 10/0.4-ზე და 6/0.4 კვ-ზე

| ტიპი | სიმძლავრე (კვ) | რაოდენობა |
|---|---|---|
| 400 კვამ | 10 | 30 ცალი |
| 400 კვა | 6 | 20 ცალი |

აკუმულატორი

| ტიპი<br>(ა) ტიპის ან მსგავსი | სიმძლავრე (კვ)<br>220 VDC | რაოდენობა<br>3 ცალი |
|---|---|---|
| დამტენი მოწყობილობა საკუმულატორო ბატარეებისათვის | 380 V | 4 ცალი |

| № | სპეციფიკაცია | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | პერსონალური კომპიუტერი, 17"მონიტორი, უწყვეტი კვების ბლოკი (UPS) | 361 |
| 2 | მცირე სიმძლავრის სერვერი (Workstation) და უწყვეტი კვების ბლოკი | 48 |
| 3 | სერვერი | 6 |
| 4 | უწყვეტი კვების წყარო მონიტორინგით Online რეჟიმში | 28 |
| 5 | გენერატორი | 28 |
| 6 | ქსელური პრინტერი | 86 |
| 7 | ქსელური პრინტერი | 36 |
| 8 | სკანერი | 41 |
| 9 | ასლის გადამღები აპარატი | 65 |
| 10 | ფაქსის აპარატი | 65 |
| 11 | ლეპტოპი თავისი ჩანთით | 22 |
| 12 | სისკოს დამცავი გადამრთველი (Switch) | 28 |
| 13 | სისკოს როუტერი | 1 |
| 14 | საკასო აპარატი | 51 |
| 15 | ქსელის გადამრთველი (Switch) | 44 |
| 16 | ქსელური როუტერი | 28 |
| 17 | პროგრამული უზრუნველყოფა ბილინგის სისტემისათვის | 1 |

| ტიპი | რაოდენობა |
|---|---|
| ელექტრო ლაბორატორია საკაბელო ხაზების დაზიანების ადგილების მოწყობილობით<br>მრიცხველების ლაბორატორია | 12 ცალი<br>20 ცალი |
| ავტომანქანა საბურღი დანადგარით<br>ამწე კალათა 22 მეტრიანი | 12 ცალი<br>18 ცალი |
| ამწე კრანი 5 ტონიანი | 6 ცალი |
| ამწე კრანი 10 ტონიანი | 6 ცალი |
| ავტო კარი სატრანსფორმატორო და სასაწყობო მეურნეობისათვის | 20 ცალი |
| ზეთის რეგენერაციის მობილური მოწყობილობა (წარმადობა საათში 3 ტონა) | 6 ცალი |
| ექსკავატორი | 12 ცალი |
| სატვირთო მანქანა 10 ტონიანი | 12 ცალი |

**ლოტი V - სპეციალური ტექნიკის შექენა-მოწოდების პროგრამა**

და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. ტენდერში შესაძლებელია თითოეულ ლოტზე ერთი გამარჯვებულის გამოვლენა. თოთოეულ ლოტზე, დასაშვებია მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა დახურულ კონვერტში, რომელშიც უნდა მიეთითოს შემოთავაზებული ლოტის დასახელება და წინადადების ფასი ამ ლოტზე. კომისია მოახდენს წინადადების შეფასებას თითოეული ლოტის მიხედვით.

2. სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა 2005 წლის 15 ნოემბერი, მიწოდების ადგილი - დანიშნულების ადგილი.

- დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე ან საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში აღიარებულ უცხო ენიდან ქართულ ენაზე ნათარგმნი ნოტარიულად დამოწმებული სახით უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 14 ივნისიდან 17 ივნისის 17.00. სთ-მდე მისამართზე, ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ.N10, სამინისტროს კანცელარიაში სატენდერო კომისიის აპარატი - მე-4 სართული ქ-ნ ი. მშვიდობაძესთან.

- სხვა ინფორმაციას, რის წარმოდგენასაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ლოტისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1 საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული რეზიდენტი იურიდიული პირისათვის:

ა) რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) რაიონული სასამართლოდან ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე;

ე) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას საბიუჯეტო ვალდებულებების შესახებ.

3.2. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი რეზიდენტი ფიზიკური პირისათვის:

ა) შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან ცნობას რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტროდან ცნობას რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;

გ) რაიონული სასამართლოდან ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) საგადასახადო სამსახურიდან ცნობას საბიუჯეტო ვალდებულებების შესახებ.

3.3. ტენდერში მონაწილე უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ ზემოხსენებული საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან.

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-3 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

5. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ქართულ ენაზე, ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო მოსაკრებლის სპეციალურ სალარე ანგარიშზე: ბანკის კოდი 220101107 ა/ა. 000141408 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005 წლის 22 ივნისის 17 სთ.-მდე მისამართზე: ენერგეტიკის სამინისტრო, ლერმონტოვის ქ.N10., სატენდერო კომისიის აპარატი.

6. სატენდერო კომისიაში დასაშვებია თითოეულ ლოტზე ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენა, რომელშიც უნდა მიეთითოს შემოთავაზებული ლოტის დასახელება და წინადადების ფასი ამ ლოტზე. კომისია მოახდენს წინადადების შეფასებას თითოეული ლოტის მიხედვით. ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა ტენდერში გათვალისწინებული არ არის.

7. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შესაძლოა ითვალისწინებდეს წინასწარ ანგარიშსწორებას. Aამ შემთხვევაში მან უნდა წარადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტია, როგორც ხელშეკრულების უზრუნველყოფის საშუალება სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრული პირობების დაცვით.

8. დასაშვებია პრეტენდენტმა (გამარჯვებულმა) სატენდერო დოკუმენტაციაში (ხელშეკრულებაში) განსაზღვრული მისი ვალდებულებებების დაკისრება ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე დაავალოს სუბკონტრაქტორს, რომელიც აგრეთვე უნდა აკმაყოფილებდეს ზემოხსენებული მე-5 მუხლის მოთხოვნებს და სატენდერო დოკუმენტაციის საერთო პირობების მოთხოვნების დაცვით დადგენილი წესით ეს უნდა შეთანხმდეს სატენდერო კომისიასთან.

9. სატენდერო კომისია ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად გამოიყენებს შეფასების შემდეგ კრიტერიუმებს:

| შეფასების კრიტერიუმი | პრიორიტეტულობის კოეფიციენტი |
|---|---|
| სატენდერო წინადადების ღირებულება | 0.55 |
| შესასყიდი საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და დონე<br>სამუშაოს შესრულების ვადები | 0.25<br>0,15 |
| ანგარიშსწორების ფორმები და პირობები<br>სულ | 0.05<br>1.0 |

II, III, IV და V ლოტის პრეტენდენტებისთვის

| შეფასების კრიტერიუმები<br>სატენდერო წინადადების ღირებულება | პრიორიტეტულობის კოეფიციენტი<br>0,70 |
|---|---|
| სამუშაოს შესრულების ვადები | 0,20 |
| ანგარიშსწორების ფორმები და პირობები | 0.10 |
| სულ | 1,0 |

**I ლოტის პრეტენდენტებისთვის**

10 დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: იზოლდა მშვიდობაძე მისამართზე: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ.N10., საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო სატენდერო კომისიის აპარატი, მე-4 სართული; ტელ: 99 60 98.

*საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სატენდერო კომისია*

## TV პროგრამა, 28 მაისი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "სოლარისი" (გ) **15.20** მხ. ფილმი "ინგლისური მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ადამსების ოჯახი" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.10** მხ. ფილმი "ვერცხლისფერი ქორი" (გ) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ფსიქო" - "ერთი სიგიჟის ისტორია" (გ) (რეჟ. მარკო ფერერი) **01.00** კურიერი **01.20** მხ. ფილმი "პეპლის ეფექტი" (18)

### [მთავარი]

**08.00** "მთავარი" **08.15** ანიმ. ფილმი "ტენტენის თავგადასავალი" **08.40** საბავშვო სერ. "მაუგლი" **09.10** მომავლის ცირკი **09.45** სპექტაკლი **11.30** "ტაქსი" - ა. ალექსიშვილი **12.00** "მთავარი" **12.20** დოკ. ფილმი "ველური ღამეები" **13.20** მხ. ფილმი "კაცია-ადამიანი?!" **14.55** ფორმულა-1 **16.00** "ჰოლმარკი" - "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" **17.00** დოკ. ფილმი "ავღაანეთი - დაკარგული საგანძურის ძიებაში" **18.00** "მთავარი" **18.10** 21-ე საუკუნის ოქროს ფონდი **18.30** "მრწამსი" - კათოლიციზმი **19.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა"- კვიპროსი **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** სერიალი "დანაშაული" **21.30** "რაციო" - შ. აფრიდონიძე **22.30** "ჩვენ" **23.45** ბიოგრაფიული პორტრეტები **00.45** მხ. ფილმი "კიდევ ერთი კარგი რამ" (12) **02.00** საინფორმაციო გამოშვება

### მზე

**08.50** მუსიკა **09.30** ანიმაც. სერიალი "იასამნისფერი ციხესიმაგრე" **10.00** ანიმაც. ფილმი "მხიარული მელოდიები" **11.00** სერიალი "დაკარგული ქვეყანა" **12.00** "ფოკუსის ისტორია" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.00** ჯეოსტარი -ფილარმონია. (განმ.) **14.00, 17.00, 20.00** მზერა **14.15** გადაცემა "მედი" **14.30** ჯეოსტარი - ფილარმონია. (განმ.) **15.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **16.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.20** სერიალი "სენიორ ვიანელო" **17.50** მარიონეტები "ყოჩაღები" **18.20** საფესტივალო ჩვენება: "მზერა წმინდა მიწიდან". **20.30** "ქართული ხმები" ფილმი მე-2. **21.30** მხ. ფილმი "ყვითელი შადრევანი" (გ) **23.30** ფარული კამერა **00.00** მხ. ფილმი "ნამდვილი სიყვარული" (გ) (ჰიუ გრანტი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "ამბები ბავშვობის შესახებ" **20.30** დოკ. ფილმი "დიზაინი" **20.30** დოკ. ფილმი "მთვარის გლობუსი" **21.50** კინოსეანსი "ბუქსირი"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 00.45** ქრონიკა **09.10** იმედის მელოდიები **10.00** ანიმ. ფილმი "მოხუცი ჯადოქრის ზღაპრები" **10.30** "უცხო სუნელი" **11.00** "ჩვენი ეზოს ამბები" **11.20** "რაო, რაო?" **11.30** "დილის ფოსტა" **12.25** "იმედითა შენითა" **12.40, 16.15, 00.55** ტვ-მარკეტი **13.15** "ერთხელ ჰოლივუდში" **13.45** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.15** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.30** "ნზა"-ს ჟურნალი **17.10** დოკ. სერიალი "ჰოლივუდის წყვილები" 1-ლი ს. **18.05** "პირველი ნაბიჯი" **19.30** ვაკაჭი-ნიუსი **19.55** "არ იდარდო" **21.15** ტვ-ლოტო **22.30** მხ. ფილმი "ვან ჰელსინგი" (გ) (ჯ. ჰეკმანი) **01.30** იმედის მელოდიები

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** მულტფილმი **10.30** დოკ. ფილმი **11.40** თეატრი **14.30** "ფეხბურთი და ჩვენ" **15.25** სათავ. ფილმი "ლემონი სნიკეტი: 33 უბედურება" **17.10** "ჭიტა-ჭიტა" **17.30, 20.30** "ახალი ამბები" **18.10** კომედია "ბითუმად უფრო იაფია" **21.05** "ფერისცვალება" **21.30** მხ. ფილმი "ქარწაღებულნი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.20** ღამის კინოკლუბი **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости. **06.10** Сериал **"МАКСИМАЛЬНОЕ ВЛИЯНИЕ". 06.40** Александр Абдулов в прикл. фильме **"КОНТРАБАНДА" 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря. **09.10** Здоровье. **10.10** "Три окна" Андрея Макаревича. **10.50** Док. фильм "Русская любовь Кристины Онассис". **12.10** История с географией. "Золотой треугольник". **13.20** Дисней-клуб: "Микки Маус и его друзья". **13.40** Умницы и умники. **14.20** "Пестрая лента". Виталий Соломин. **15.20** Вэл Килмер в триллере **"ПРИЗРАК И ТЬМА" 17.20** Субботний "Ералаш". **17.50** Классика Уолта Диснея. Впервые в России. **18.10** "Новые песни о главном". **20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время. **21.20** "Розыгрыш". **22.40** "Золотой граммофон". **23.40** Адам Сэндлер в комедии **"ПУЛЕНЕПРОБИВАЕМЫЙ".** Секретный сотрудник полиции Джек Картер работает над операцией по задержанию крупного наркобарона Фрэнка Колтона. Однажды, во время кабацкой драки, он выручает из беды молодого преступника Арчи Моусеса. Проникшись благодарностью и симпатией к своему спасителю, Арчи вводит "новоиспеченного друга" в гангстерскую среду, а затем берет на "крупное дело", во время которого Джек предпринимает попытку арестовать мафиози. Но неожиданно все идет наперекосяк... **01.20** Гаэль Гарсиа Берналь в фильме **"СУКА ЛЮБОВЬ". 04.10** Гари Хэмлин в триллере **"СЕЗОН ОХОТЫ".** Самолет, перевозящий 12 миллионов долларов, терпит крушение в труднодоступной гористой местности. Пилота найти не удается, бесследно исчезают и деньги. Честолюбивая агент страховой компании Саманта Кларк, загоревшись перспективой раскрыть крупное дело, соглашается начать расследование и отправляется к месту катастрофы. В пути она знакомится с загадочным охотником по имени Док Ковак, который вызывается проводить ее до места. Неожиданно ему приходит мысль поохотиться. А роль жертвы отведена Саманте...

### НТВ

**06.05** Мультфильм "Каникулы Бонифация". **06.25** Джеймс Белуши в комедии **"ОДНАЖДЫ ПРЕСТУПИВ ЗАКОН". 08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.15** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА: ХАМЕЛЕОН". 08.50** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.25** "Дикий мир" **10.15** "Растительная жизнь". **10.55** Кулинарный поединок. **11.55** Квартирный вопрос. **13.20** Особо опасен! **13.55** Чемпионат России по футболу. **"Локомотив" - "Динамо".** Прямая трансляция. **16.20** "Женский взгляд". Александр Попов. **16.55** Своя игра. **17.55** Лжец. **19.35** Профессия - репортер. **20.05** "Программа максимум". Скандалы. Интриги. Расследования. **20.55** Одри Хэпберн в комедии **"РИМСКИЕ КАНИКУЛЫ".** Принцесса Анна, совершающая турне по европейским столицам, сбегает от свиты и случайно знакомится с журналистом Джо, не ведающим, с кем он имеет дело. Началось самое прекрасное, романтичное приключение юной царственной особы, окунувшейся в гущу жизни. **23.30** "Мировой бокс". **00.50** Настасья Кински в фильме **"ЗОЛОТАЯ ПЫЛЬ". 1867** год, Америка строит железную дорогу для освоения "дикого запада". В маленький городок, где хозяйничает мистер Дилан, приезжают его бывшая жена и взрослая красавица-дочь, которых он когда-то продал за слиток золота. Былое восстает в нем и терзает душу. Дилан решает круто изменить свою жизнь и попытаться начать все сначала. Но судьба - не телега, ее за оглобли не повернешь... **03.20** Футболлистика. **04.15** Мишель Родригес в фильме **"ЖЕНСКИЙ БОЙ".** Родные брат и сестра, они словно поменялись ролями: он мечтает о живописи, а она без ума от бокса. Записанный отцом в школу бокса, брат тайно уступает свое место сестре, и она доказывает, что он сделал это не зря. Одерживая одну победу за другой, однажды она встречается на ринге с тем, кого любит...




# დამბლდორის სიკვდილზე ფსონები მიიღება



"ჰარი პოტერის" ახალი, მეექვსე წიგნი ივლისში იხილავს დღის სინათლეს. თუმცა, სათავგადასავლო რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის - პროფესორ დამბლდორის შესაძლო ბედზე უკვე ფსონებს დებენ.

ფსონების დადება რვა თვის წინ დაიწყეს. მიზეზი გახდა წიგნის ავტორის ჯოან როულინგის დამაინტრიგებელი განცხადება წიგნის ერთ-ერთი მთავარი გმირის დაღუპვის შესახებ.

თუმცა, ჰოგვორტსის ჯადოსნური სკოლის დირექტორის დაღუპვის მომხრეების დიდი რაოდენობის გამო სამშაბათს ფსონების მიღება შეწყდა. ბუკმეიკერებმა ჩათვალეს, რომ ინფორმაციამ გაჟონა.

გამომცემლობა Bloomsbury-მ, რომელიც თავის თავზე იღებს "ჰარი პოტერის" გამოცემას, ახალგაზრდა ჯადოქრის თავგადასავლის თაყვანისმცემლებს თავიდანვე ურჩია, ჭორებს სკეპტიკურად მისდგომოდნენ. "გაიხსენეთ, რამდენ ჭორს იგონებდნენ "ჰარი პოტერისა და ფენიქსის ორდენის" გამოსვლამდე, - განაცხადა გამომცემლობის წარმომადგენელმა, - თუმცა, არც ერთი მათგანი არ გამართლდა".

ინტერნეტ-საიტი Blue Square-ის წარმომადგენლები ეჭვობენ, რომ ხელნაწერი უცხო პირებს ჩაუვარდათ ხელში. ეს ეჭვი იმანაც გაამძაფრა, რომ ფსონების უმრავლესობას საგრაფო საფოლკიდან, ქალაქ ბუნგაიდან დებდნენ. სწორედ აქ არის განლაგებული Bloomsbury-ის მთავარი ოფისი. ამჟამად ფსონების მიღება დამბლდორის სიკვდილზე განახლებულია, თუმცა, კოეფიციენტით ერთი ხუთთან.

ახალგაზრდა ჯადოქრის თავგადასავლის მეექვსე წიგნის პრეზენტაცია 16 ივლისს, შოტლანდიაში, ედინბურგის ციხესიმაგრეში შედგება. წიგნს "ჰარი პოტერი და ნახევარპრინცი" ჰქვია. ჯოან როულინგი კი მეშვიდე, დასკვნით ნაწილზე მუშაობს.

ჯოან როულინგმა დეტალების დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა. თავის ვებ-საიტზე კი განაცხადა: იმ შემთხვევაშიც კი, თუ მკითხველი რომანს არ მიიღებს, ის მის ყველაზე საყვარელ წიგნად დარჩება.

დღესდღეობით მსოფლიოში ჰარი პოტერის 250 მილიონ ეგზემპლარზე მეტია გაყიდული. აქედან 13,5 მილიონი დიდ ბრიტანეთზე მოდის.










ათეულები

**კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მიხედვით**

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ხალხური (შემდგენელი ვახტანგ კოტეტიშვილი) | "მოლექსეები" | "დიოგენე" | 6.4 |
| სერგო ედიშერაშვილი | "საქართველო" | | 6 |
| გორა მანველიძე | "მგლები 2" | "თბილისელები" | 3.6 |
| პითერ ამერი და სხვები | "ფერმწერი მთები" | "გია ქარჩხაძის გამომცემლობა" | 3.6 |
| რამფენიძე | "15 საუკეთესო მოთხრობა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.4 |
| ლაშა ბუღაძე | "ბოლო ზარი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2.4 |
| ბექა ქურხული | "სახლი სხვაგან" | "საარი" | 2 |
| დათო ტურაშვილი | "გურჯი ხათუნი" | "ლიტერა" | 2 |
| პოლ ლოუსველი | "ცხოველები" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" | 2 |
| ანა კალანდაძე | "ანა" | "ქართული ენა" | 2 |

**თანამედროვე როკის კვირის საუკეთესო სიმღერები ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით**




| შემსრულებელი | სიმღერა | წინა კვირის პოზიცია | ჩარტებში გატარებული პერიოდი |
|---|---|---|---|
| "ნაინ ინჩ ნეილზი" | The Hand That Feeds | 2 | 9 კვირა |
| "გრინ დეი" | Holiday | 1 | 17 კვირა |
| უიზერი | Beverly Hills | 3 | 8 კვირა |
| "ფუ ფაიტერზი" | Best Of You | 5 | 4 კვირა |
| "სისტემ ოფ ა დაუნი" | B.Y.O.B. | 7 | 8 კვირა |
| ბეკი | Pro-Back | 6 | 15 კვირა |
| "აუდიოსლეივი" | Be Yourself | 4 | 10 კვირა |
| "ქოლდფლეი" | Speed Of Sound | 8 | 4 კვირა |
| "უაით სტრაიპსი" | Blue Orchid | 9 | 4 კვირა |
| "მადვეინი" | Happy? | 12 | 14 კვირა |



**გასული კვირის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინოთეატრების მონაცემებით**

| ფილმის სათაური | რეჟისორი | მსახიობი | უიკენდის შემოსავალი $ | საერთო შემოსავალი $ |
|---|---|---|---|---|
| "ვარსკვლავური ომები: ეპიზოდი III – სითის შურისძიება" | ჯორჯ ლუკასი | ჰეიდენ კრისტენსენი, ნატალი პორტმანი, იუან მაკგრეგორი, სემუელ ლ. ჯექსონი | 108,435,841 | 158,449,700 |
| "მონსტრი დედამთილის როლში" | რობერტ ლუკეტიკი | ჯეინ ფონდა, ჯენიფერ ლოპესი, უანდა საიქსი | 14,350,134 | 44,174,005 |
| Kicking & Screaming | ჯესი დილანი | უილ ფერელი, რობერტ დიუვალი, კეიტ უოლში | 10,721,710 | 34,196,720 |
| "კრაში" | პოლ ჰაგისი | სანდრა ბალოკი, დონ ჩიდლი, მეტ დილონი, ჯენიფერ ესპოზიტო | 5,546,006 | 27,648,811 |
| Unleashed | ლუი ლეტერიე | მორგან ფრიმენი, ჯეტ ლი, ბობ ჰოსკინსი | 4,123,556 | 17,880,310 |
| "სამოთხის სამეფო" | რიდლი სკოტი | ორლანდო ბლუმი, ლიამ ნისონი, ჯერემი აირონსი, ევა გრინი | 3,537,201 | 41,218,400 |
| "ცვილის სახლი" | ხაუმე კოლეტ-სერა | ელიშა კატბერტი, ჩედ მაიკლ-მიურეი, პერის ჰილტონი | 3,288,419 | 26,912,839 |
| "თარჯიმანი" | სიდნი პოლაკი | ნიკოლ კიდმანი, შონ პენი, კეტრინ კინერი | 2,910,580 | 65,403,045 |
| "მგზავრის გზამკვლევი გალაქტიკაში" | გარტ ჯენინგსი | მარტინ ფრიმენი, მოს დეფი, ზოი დეშანელი | 2,084,904 | 46,902,603 |
| Midhunters | რენი ჰარლინი | ველ კილმერი, კრისტიან სლეიტერი | 1,005,839 | 3,562,161 |